



### ინტერვიუ 112-ის ხელმძღვანელთან



რამდენად მომზადებული შეხვდა გადაუდებელი დახმარების ცენტრი თბილისში დატრიალებულ ტრაგედიას?

**EXCLUSIVE**

სააკელაციო სასამართლოს უპრეცედენტო გადაწყვეტილება



ვის დაკითხავს პროკურატურა? ვინ აგებს პასუხს და დაასახელებს თუ არა პროექტის ავტორი უბუღავს?



„არ ვარ კარგად, ცუდად ვარ, საერთოდ წამოვუვდი თბილისიდან“

### ჩვილი ბავშვებით ვაჭრობის შემზარავი ფაქტები რუსთაველი



დადებს ჯანმრთელ ბავშვებს ფარულად უცვლიდნენ

**SCANDAL**

ახალდაბადებულებს რუსეთში ყიდდნენ

რა სქემას უიჭრავს გამომძიება

**EXCLUSIVE**




აკაბულების საქმის მოსამართლე დამნაშავედ გამოცხადდა?

**EXCLUSIVE**

ზოოპარკის დირექტორის სკანდალური ინტერვიუ შავ მაგიაცა



„მგლის ქონი, მგლის ბანვი, მგლის ეშვი, სასქესო ორგანოებიც უნდოდათ. ეს ატრიბუტები შავ მაგიაცაში გამოიყენება“



### რა ფოტო მოიპოვა „პრანიმემა“

რა უცნობი ნაგებობა ფიქსირდება 2010 წლიდან სტიქიის ზონაში

ბუნებრივი პროცესი თუ ქანებზე ხელოვნური ზემოქმედება



ბასაიდუმლოებული ფაქტები რას უყვება „პრანიმემა“ ზოოპარკის თანამშრომელი

„სტიქიამდე მარტო ლომი სამჯერ გაიქცა...“



ექსკლუზიური ინტერვიუ კაცთან, რომელიც ირაკლი ოქრუაშვილის აივნებიდან ხტებოდა

ზოოპარკის ყოფილი დირექტორი ზენოლაზე საუბრობს **EXCLUSIVE**

**ევექსი**  
სამედიცინო კორპორაცია

მსოფლიო დონის ქართველი ექიმები, რომლებიც „ევექსის“ მეშვეობით, ქართველ პაციენტებს მკურნალობენ

# ჩვილების საქმის გაუხ

**ერთ-ერთი ახალშობილის ოჯახი ანარმობდა მოლაპარაკებას, რომ შენადამკვითავული ახალშობილი იმავე დანესეხულეხავი დახადეხულ ჯანმრთელ ბავშვში მალულად გადაეცვალათ**



**მირიან ბოქლოძევილი**

საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში ტრეფიკინგთან მიმართებაში ერთიანი პოლიტიკა არ არსებობდა. შესაბამისად, არ არსებობდა სისტემური მიდგომა ამ დანაშაულთან ბრძოლის წინააღმდეგ. დოკუმენტი მხოლოდ 2014 წელს შეიქმნა და ის ყველა სახელმწიფო უწყებას გადაეგზავნა. ამ დოკუმენტის პრაქტიკაში დანერგვამ კი, როგორც ჩანს, თავისი პირველი შედეგიც გამოიღო. საქმე ეხება ახალშობილი ბავშვებით ვაჭრობას.

ეს სკანდალური საქმე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა გასულ კვირას გამოააშკარადა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მისცა „რუსთავის სამშობიარო სახლის“ გენერალური დირექტორი ალექსანდრე ბარაკოვი, მისი მოადგილე კონსტანტინე მანჯავიძე, „ახალი სამშობიარო ცენტრის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი მზია უგრეხელიძე და დანაშაულში მონაწილე კიდევ 6 პირი.

„პრაიმტიმისთვის“ ცნობილი გახდა ჩვილებით ვაჭრობის საქმის გაუხმარებელი დეტალები, მათ შორის ფარული ჩანაწერები, სადაც, სავარაუდოდ, სამშობიარო სახლში ახალშობილთა ფარულ გაცვლაზეა საუბარი. ამ სტატიაში, ასევე, მოგიყვებით რუსთავის სამშობიაროს ირგვლივ აგორებულ სხვა არაერთ სკანდალზეც, თუმცა მა-

ნამდე გაცნობთ საგამოძიებო სამსახურის ოფიციალურ განცხადებას ჩვილების საქმესთან დაკავშირებით.

უწყების ცნობით, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებითა და მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით ჩვილი ბავშვებით ვაჭრობა განიზრახეს.

„განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, აღნიშნული პირები სამშობიაროში კონსულტაციაზე მისულ ფეხმძიმე ქალბატონებს სთავაზობდნენ თანხის სანაცვლოდ ახალშობილი ბავშვის მიტოვებას, რომლის გასხვისებაც შემდეგ თავად უზრუნველყოფდნენ. საგამოძიებო სამსახურის მიერ აღნიშნული პირების მონაწილეობით გამოვლენილია ჩვილი ბავშვებით ვაჭრობის ორი ფაქტი, რადროსაც ბრალდებულებმა ერთ შემთხვევაში აიღეს 3 000 ლარი, ხოლო მეორე შემთხვევაში – 5 000 დოლარი“, – აცხადებენ საგამოძიებო უწყებაში, სადაც ასევე განმარტეს, რომ ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ბრალდებულებს 14-დან 17 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.

ჩვენი ინფორმაციით, რუსთავის სამშობიარო სახლის დირექტორი ალექსანდრე ბარაკოვი და მისი მოადგილე კონსტანტინე მანჯავიძე საეჭვო საქმიანობაში ადრეც იყვნენ შემჩნეულნი. ამ შემთხვევაში საუბარია სამშობიაროში ჩვილების გაცვლაზე. როგორც კონფიდენციალური წყარო გვიყვებს, გამოძიებაში დევს ფარული ჩანაწერები, სადაც სწორედ ბავშვების გაცვლის შესახებ არის საუბარი.

კერძოდ, ერთ-ერთი ახალშობილის ოჯახი სამედიცინო დანესებულების დირექტ-

# ბავშვები რუსეთში გაჰყავდათ?! EXCLUSIVE

**ალექსანდრე ბარაკოვი და მისი მოადგილე, კონსტანტინე მანჯავიძე საბოლოო განაჩენს სასჯელადსრულების დანესეხულეხავი დაელოდებიან...**



**კონსტანტინე მანჯავიძე**

ორთან ანარმობებს ფარულ მოლაპარაკებას, რომ სმენადაქვეითებული ახალშობილი, იმავე დანესებულებაში დაბადებულ ჯანმრთელ ბავშვში მალულად გარდაეცვალათ.

სავარაუდოდ, სწორედ ამ ოპერატიული ინფორმაციის გადამონების შემდეგ გავიდა გამოძიება ჩვილებით ვაჭრობის საქმეზე. ირკვევა, რომ სქემა, რომლითაც ეს ჯგუფი მოქმედებდა, საკმაოდ კარგად იყო ორგანიზებული: სოციალურად დაუცველ ორსულს „რუსთავის სამშობიარო სახლში“ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ჰპირდებოდნენ კონსულტაციას, მშობიარობის შემდეგ კი გარკვეული თანხის სანაცვლოდ ჩვილის სამშობიაროში დატოვებას სთავაზობდნენ. ალექსანდრე ბარაკოვი და კონსტანტინე მანჯავიძე შუამავლების მეშვეობით პარალელურად ეძებდნენ ბავშვის აყვანის მსურველებს, ძირითადად რუსეთის ფედერაციაში. მშობიარობის შემდეგ, როგორც წესი, ყველა სამშობიარო დანესებულება ვალდებულია, შესაბამის უწყებას გადაუგზავნოს მონაცემები ჩვილის მშობლების შესახებ. რუსთავის სამშობიარო სახლი კი აყალბებდა ამ მონაცემებს და ბავშვის მშობ-

ლებად მითითებული გახლდათ არა ბიოლოგიური დედა და მამა, არამედ ის წყვილი, ვისთანაც უკვე შემდგარი იყო უკანონო მოლაპარაკება ჩვილის აყვანასთან დაკავშირებით. ამის შემდეგ საქმეში უკვე ერთვებოდა შპს „ახალი სამშობიარო ცენტრის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი მზია უგრეხელიძე, რომელსაც გამომძიების ინფორმაციით, ჩვილი გადაჰყავდა „ახალ სამშობიარო ცენტრში“, იქ ხდებოდა არარსებული მშობიარობის დარეგისტრირება და გაყალბებული მონაცემები შესაბამის უწყებას ეგზავნებოდა.

ეს სქემა „პრაიმტიმის“ ამ საქმეში ოთხიდან ერთ-ერთი შუამავლის ადვოკატმა ანონიმურად გაანდო. მისი დაცვის ქვეშ მყოფმა დანაშაული აღიარა. გამოძიებასთან თანამშრომლობის გამო ოთხივე შუამავლის მიმართ პროკურატურამ წინასწარ აღმკვეთ ღონისძიებად, პატიმრობის ნაცვლად, გირაო მოითხოვა, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა კიდევ 10-ათასლარიანი გირაოს სანაცვლოდ წინასწარი პატიმრობიდან განთავისუფლდა 72 წლის მზია უგრეხელიძეც, ალექსანდრე ბარაკოვი და მისი მოადგილე, კონსტანტინე მანჯავიძე საბოლოო

# მაშრეპელი დეტალები



**ალექსანდრა ბარაკოვი: „სამი შვილი რომ გყავს, რაღად გინდა მეოთხე?!“**

„მაგალითად, სამი შვილი რომ გყავს, რაღად გინდა მეოთხე?! ზოგს არ შეუძლია შვილის გაზრდა. მერე ნავლენ და მშობიარობის ფულსაც არ იხდიან. ათასობით ვალი აქვთ ჩემი. საქველმოქმედო ორგანიზაცია ხომ არ მაქვს. არადა, ჩვენთან მშობიარობა ძალიან იაფი ჯდება, შეიძლება ითქვას, სასაცილო ფასებიც კი გვაქვს. 400 ლარად დღეს ვერსად ვერ გააჩენენ ბავშვს“, – განუცხადა „პრაიმტიმის“ ალექსანდრე ბარაკოვი.

თავს. მშობიარობა ჩვეულებრივ დროულად მოუწია. რა თქმა უნდა, მის სიკვდილში მთავარი დამნაშავე ექიმი იყო. ბავშვი სრულიად ჯანმრთელი გახლდათ. კარგი მდგომარეობა ჰქონდა. მაღლე იმშობიარებო, მაგრამ დროს რატომღაც გვიწვავდნენ და ბლოკში არ შევყავდათ. ექიმი იყო დათო ხმელიძე, რომელსაც ვკითხე, რატომ არ იწყებთ მშობიარობას-მეთქი. შევთავაზე, თუ რამე პრობლემაა, საკეისრო გაუკეთოთ-მეთქი. ბავშვს ძალიან ძლიერი ტკივილები ჰქონდა და თავად ითხოვდა საკეისროს. ექიმისგან კატეგორიული უარი მივიღეთ, – ფიზიოლოგიურად ვამშობიარებო. ხმელიძე პრინციპზე ნავიდა და საკეისრო არ გააკეთა. ასე დავგვათენდა თავზე. მე ცოტა ხნით საავადმყოფოს ეკლესიაში გავედი. როცა დავბრუნდი, ჩემმა დამ მითხრა, – იამ იმშობიარაო, ნუ ინერვიულებ, მაგრამ ბავშვი მკვდარი დაიბადო. მარწმუნებდნენ, ია კარგად არისო. არადა, ჩემი შვილი გარდაცვლილი ყოფილა. ხმელიძემ თავისი არაპროფესიონალიზმის გამო ბავშვის სონა ვერ განსაზღვრა და დაჟინებით მოითხოვდა საკუთარი პრინციპის გატანას. თითქოს საკუთარ პროფესიონალიზმს ავლენდა, რეალურად ჩემს შეილზე ექსპერიმენტი ჩაატარა. ბავშვს ისეთი ტკივილები ჰქონია, რომ ფანჯრის რაფებს კანრავდა თითებით, ეხვეწებოდა, საკეისრო გამიკეთეთო, მაგრამ არ ქნა“.



ბარაკოვის სამშობიაროში მშობიარეების ბურუსით მოცული გარდაცვალების რამდენიმე ფაქტს პროკურატურა ადრეც სწავლობდა. მათ შორის გახლავთ 33 წლის ირმა კიკილაშვილის გარდაცვალებაც. ახალგაზრდა ქალბატონი რუსთავის სამშობიარო სახლში სრულიად ჯანმრთელი მიიყვანეს, გარდაცვალებამდე ის თავს მშვენივრად გრძობდა, თუმცა მოულოდნელად, რამდენიმე წამში დაიღუპა. „პრაიმტიმის“ საუბრისას გარდაცვლილის ოჯახის წევრები სამშობიარო სახლს საკმაოდ მძიმე ბრალდებებს უყენებდნენ და მომხდარში ექიმებს ადანაშაულებდნენ. ირმა კიკილაშვილს ორი ვაჟი დარჩა. იგი მესამეს, გოგოს ელოდებოდა, თუმცა ბავშვიც მუცელშივე დაიღუპა.

სხვათა შორის, სამშობიაროს ხელმძღვანელობა და უშუალოდ ალექსანდრე ბარაკოვი თავის დროზე ექიმის ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფდა. კიკილაშვილის შემთხვევაში თუ გარდაცვალების მიზეზად ტრომბული ემბოლია დასახელეს, მეკომპივილის ნაყოფის სიმანინჯე დაუდგინეს, რამაც ვითომდა სიკვდილი გამოიწვია. მაშინ გამოძიებამ ექიმი დამნაშავე ცნო. დათო ხმელიძე აეროპორტში ქვეყნიდან გაქცევის მომენტში დააკავეს. ის ინგლისში აპირებდა გაქცევას. დამნაშავე ექიმს 4-წლიანი პატიმრობა მიესაჯა.

ერთ-ერთი ვერსიით, მშობიარეს დამაჩქარებლის დიდი დოზა გაუკეთეს. ამ ვერსიას თავად ოჯახის წევრები ყვებიან. მეორე დღეს საავადმყოფოში მორივე ბრიგადა იცვლებოდა, ამიტომ შესაძლოა, ვიღაცას სურდა, საკუთარ ცვლაში მოესწრო მშობიარობა და, შესაბამისად, ანაზღაურებაც მას მიეღო.

ირმა კიკილაშვილი ერთადერთი არაა, რომელიც რუსთავის სამშობიარო სახლში მშობიარობას გადაყვა. მანამდე იქ კიდევ ერთი გოგონა, ია მეკომპივილი სწორედ ექიმის არაპროფესიონალიზმს ემსხვერპლა.

**ნანა მეკომპივილი, იას დედა:** „17 წლის იყო ჩემი შვილი, როცა ეს ტრაგედია დამატყდა

სავარაუდოდ, 4 წელს არ აკმარებენ თავად ალექსანდრე ბარაკოვს, თუ მას წარდგენილი ბრალი დაუმტკიცდა და სასამართლომ ჩვილებით ვაჭრობის საქმეში დამნაშავედ ცნო.“

განაჩენს სასჯელსრულების დაწესებულებაში დაელოდებიან. ბარაკოვი ამჟამად ციხის საავადმყოფოში ჰყავთ გადაყვანილი, რადგან დაკავების შემდეგ მას გულის შეტევა დაემართა, თუმცა, ექიმების განმარტებით, მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მისი ადვოკატი, გიორგი კონდახაშვილი აცხადებს, რომ „ბარაკოვი წარდგენილ ბრალს არ აღიარებს და მას მშობიარეებთან შეხება საერთოდ არ ჰქონია“. ბრალის ფორმულირებას არ ეთანხმება არც მანჯავიძე, რომლის ადვოკატიც ამტკიცებს, რომ „ჩვილების ყიდვა-გაყიდვას ადგილი არ ჰქონია“.

სტატიკაზე მუშაობის პროცესში რედაქციას მოგვწერა რუსეთში

მცხოვრებმა აბესალომ გოგნაძემ, რომელიც გვატყობინებს, რომ მისმა დამ, 2012 წელს იშვილა ბავშვი, თუმცა ალექსანდრე ბარაკოვი ცდილობდა, ბიოლოგიური დედა ბავშვის გაყიდვაში დაერწმუნებინა.

„2012 წლის 6 აპრილს ჩემმა დამ იშვილა პირდაპირი მიშვილებით ბავშვი. რამდენიმე დღეში ბატონმა ბარაკოვმა ბავშვი ლუდუშაურის საავადმყოფოში გადაიყვანა, რის მიზეზადაც მოიძო ბავშვის მძიმე მდგომარეობა. სინამდვილეში კი პატარა ანგელოზი პალატაში ჰყავდათ ჩაკეტილი და ძილის წამლებით გაჭყეპილი. მის ბიოლოგიურ დედას სთავაზობდნენ ფულს, რომ ბავშვი გაეყიდა. რაზეც ჩემმა დამ ადეკვატური რე-

აქცია მოახდინა და საქმეში სამართალდამცავი ორგანოები ჩარია, რის შემდეგაც ბავშვი დაიბრუნა“, – გვწერს აბესალომ გოგნაძე რუსეთიდან.


ფაქტია, რომ ალექსანდრე ბარაკოვსა და მის მოადგილეს საგამოძიებო ორგანოებთან პრობლემები წარსულშიც ჰქონდათ. „პრაიმტიმის“ არაერთხელ წერდა რუსთავის სამშობიარო სახლის ირგვლივ აგორებულ სკანდალებზე. მაგალითად, ჩვენ რამდენჯერმე გავაშუქეთ აღნიშნულ დაწესებულებაში მშობიარეთა ბუნდოვანი გარდაცვალების ფაქტი. ჯერ კიდევ მაშინ, სიტუაციის ადგილზე გასარკვევად მისულეებს ალექსანდრე ბარაკოვმა ერთობ უცნაური პასუხი გაგვცა.

**„პატარა ანგელოზი პალატაში ჰყავდათ ჩაკეტილი და ძილის წამლებით გაჭყეპილი. მის ბიოლოგიურ დედას სთავაზობდნენ ფულს, რომ ბავშვი გაეყიდა“**



**როგორ ვაჭრობდა რუსთავში ცნობილი ექიმი ახალშობილებით და რა ფარულ ჩანაწერებს ფლობს საგამოძიებო ორგანო?**

# რა უცნობი ნაგებობა ფიქსირდება



## ზედხედი

### თამარ გორთამაშვილი

სანამ ქვეყანა სტიქიის შედეგებს ებრძვის და ცხოვრების ნორმალურ რიტმში ჩადგომას ცდილობს, საზოგადოებაში ბევრი უპასუხო კითხვა ჩნდება. ყველა კითხვა ლეგიტიმურია, რომელიც თუნდაც იოტისოდენ ეჭვს აჩენდეს იმისა, რომ სტიქიას ადამიანმა უბიძგა... ჩვენ ვდავობთ ტექნიკურ დეტალებზე, მაგრამ შესაძლოა, ყურადღების მიღმა დარჩეს ტრაგედიის სათავე წერტილი, საიდანაც თბილისის სიკვდილი დაეცა.

მენყრის მასშტაბი, რომელიც წყნეთი-ბეთანიის გზაზე, სოფელ ახალდაბის მთის ფერდობზე ჩამოწვა, ყველაზე დიდია ბოლო წლებში საქართველოში ჩამონოლილ მენყრებს შორის. დღეს სპეციალისტები მენყერსაშიშ არაერთ ზონაზე მიუთითებენ, მათ შორისაა ვერეს ხეობაც... ამ ზონების შესახებ არერთხელ თქმულა და დანერგა, თუმცა, სამწუხაროდ, ასეთ საგანგაშო სიგნალებს საზოგადოება, მხოლოდ ფაქტის წინაშე დადგომის შემდეგ აღიქვამს... ისევე, როგორც ახლა... უდავოა და ამას სპეციალი-

სტის რჩევა არ სჭირდება, რომ მდინარის კალაპოტში არ შეიძლება მშენებლობის დაწყება, მით უფრო საცხოვრებელი სახლების... მდინარეს თავისი, შემოსაზღვრული კალაპოტი აქვს, რომლის ცვლილებაც ყოველთვის მძიმე შედეგით სრულდება. რამ შეიძლება გამოიწვიოს მენყერი? - მენყრის მიზეზია ქანების წონასწორობის დარღვევა, რასაც იწვევს ფერდობის ძირის გამორეცხვა, გამოფიტვის ან გადამეტებული ტენიანობის გამო ქანების სიმტკიცის შესუსტება, სეისმური ბიძგები, ადამიანის სამეურნეო სა-

ქმიანობა ადგილის გეოლოგიური პირობების გაუთვალისწინებლად და სხვ. 13 ივნისს თბილისსა და მის შემოგარენში გადაუღებლად წვიმდა. როგორც სინოპტიკოსები ამბობენ, ამ ღამეს ტენიანობის რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა... სავსებით შესაძლებელია, სწორედ გადამეტებული ტენიანობა გამხდარიყო მიწის მოწყვეტის მიზეზი, თუმცა არსებობს სხვა ვარაუდებიც, რომელთა ყურადღების მიღმა დატოვება, ალბათ, არ ღირს... საუბარია ქანებზე ხელოვნურ ზემოქმედებაზე, რამაც მისი წონასწორობა დაარღვია... ამ ვარაუდს

პირად საუბრებში გამოთქვამენ გარემოს დაცვითი ორგანიზაციები, თუმცა ჯერჯერობით ამაზე ხმამაღლა საუბარი არ სურთ, სანამ სახელმწიფო კომისია საკუთარ დასკვნას არ დადებს... სანამ მიზეზების გარკვევაზე მიდის მუშაობა, „პრაიმტიმმა“ დამენყერილი ტერიტორია სატელიტის საშუალებით დაათვალიერა... ჩვენ მიერ შემოთავაზებული ფოტომასალა ამოღებულია Google Earth-ის პროგრამით. ფოტოებზე მკაფიოდ ჩანს ღვარცოფის სათავე წერტილში არსებული ორი ნაგებობა, რომელიც, თუ წლების



# 2010 წლიდან სტიქიის ზონაში



2015 წელი

EXCLUSIVE

მიხედვით მივყვებით Google Earth-ის მონაცემებს, იმ ტერიტორიაზე 2010 წლიდან, წინა ხელისუფლების დროს ჩნდება. მანამდე იქ მხოლოდ ტყე იყო... ჩვენთვის უცნობია, რა დანიშნულებისაა ეს ნაგებობები, რადგან არც მერიის ურბანისტებმა და არც სხვა სპეციალისტებმა (რომლებმაც, წესით, უნდა იცოდნენ, თბილისში არსებული ნაგებობები) არ იციან, რა არის ის, რასაც თქვენ ახლა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ხედავთ... იმის გამო, რომ ნაგებობები ჩვენს მიერ მოპოვებულ ფოტოებზე 2010 წლიდან ფიქსირდება, ჩვენ კითხვით სწორედ წინა

ხელისუფლების წარმომადგენელს, თავდაცვის მინისტრის ყოფილ მოადგილეს მივმართეთ. ბათუ ქუთელის განცხადებით, მას ამ ობიექტების შესახებ ინფორმაცია არ აქვს. „ზუსტ ინფორმაციას არ ვფლობ, თუმცა, მეჭვჭვება იმ ადგილას რაიმე ობიექტი ყოფილიყო...“ - გვითხრა ქუთელიამ.

ფოტოები ადასტურებს, რომ იმ ტერიტორიაზე შენობები დგას. უცნობია ან ნაგებობების აშენების დროს იყო თუ არა გათვალისწინებული გარემოს დაცვითი და უსაფრთხოების ნორმები, ანუ ხომ არ მოხდა მშენებლობის დროს ქანების

დაზიანება, რამაც მისი მდგრადობა შეასუსტა და ძლიერ ტენიანობას ველარ გაუძლო... „პრაიმტიმში“ მომავალ ნომერში შეეცდება, კიდევ უფრო მეტი ინფორმაცია მოიპოვოს არსებულ ნაგებობებზე და ფოტოებს უკვე არა სატელიტიდან, არამედ მეწყრის სათავე წერილიდან შემოგთავაზებთ, იმ ტერიტორიიდან, სადაც ეს ორი ნაგებობა დგას. მანამდე კი ვტოვებთ კითხვებს, რომლებზეც ჯერჯერობით პასუხები არ გვაქვს. რა ნაგებობებია მეწყრის სათავე ტერიტორიაზე და შესაძლოა თუ არა, ძლიერ ნალექთან ერთად, სწორედ მათი მშენებ-

ლობა გამხდარიყო სტიქიის გამო-მწვევი ერთ-ერთი მიზეზი.


**ნინო ჩხოზაძე (საქართველოს მწვანეთა მოძრაობის - „დედამინის მეგობრები“ თანათავმჯდომარე):**

- გასარკვევია ზუსტად, სად არის ნაგებობა და სად არის მეწყერი, რა შემოქმედება აქვს მას, იმიტომ რომ, როგორც სპეციალისტები ამბობენ, რაღაც საყრდენი იყო მოცილებული, მაგრამ რა ხდებოდა ზუსტად არ ვიცი. შეიძლება გზა გამოიყენეს უფრო ინტენსიურად, შეიძლება რაღაცა მოხდა, არ ვიცი, სანახავია. მეწყერი არის ბზარი და როცა შენ გზას აფართოებ, ან რა-

ღაცას აკეთებ, შეიძლება ამ დროს დაზიანო ქანები და ჩამოიშალოს. არ ვიცი, აუცილებლად სანახავია.

**- საყრდენის გამოცლა ბუნებრივად შეიძლება მომხდარიყო, თუ ადგილი ჰქონდა ქანების ხელოვნურ რღვევას, რასაც შეიძლება მეწყერი გამოეწვია?**

- ეს გამოძიების საკითხია, სანახავი და საკვლევი. მე პირველი ვერსია მქონდა, წყალი ხომ არ იყო დაგროვებული, მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ არ არის. ამიტომ ეჭვი ყოველთვის არსებობს, თუმცა ექსპერტების გარეშე ამას ვერავინ იტყვის.



2009 წელი

არც ერთი ნაგებობა 2009 წლის ფოტოებზე არ ფიქსირდება

Imagery Date: 5/2/2009



# სამართლე დამნაშავედ გამოცხადდა?



## სააკლაციო სასამართლოს უპრეცედენტო გადაწყვეტილება

დასჭირდა ჯუღელს პროცესის განვლვა. არ არის გამორიცხული, ამ საკითხის შესწავლა შესაბამისმა ორგანიზაციებმა დაიწყონ.

მანამდე კი ეჭვების შესახებ. ხომ არ გაიყვანა მოსამართლემ დრო იმისთვის, რომ დაკავებული პირებისთვის წინასწარი პატიმრობის მ-თიანი ვადა ამონურულიყო და ისინი გარეთ გამოემშვა?

წინასასამართლო პროცესი მართლაც უპრეცედენტოდ გაიწვია. ის სამ თვეს გაგრძელდა და საბოლოოდ დაკავებულების სხდომათა დარბაზიდან გაშვებით დასრულდა. სხდომაზე პროცესის გაჭიანურება ადვოკატებმა თავის თავზე აიღეს.

მოსამართლემ კი, თავის მხრივ, განმარტა, რომ სასამართლო პრაქტიკას მსგავსი შემთხვევები ახსოვს. დავით ჯუღელის განმარტებით, პროცესი გაიწვია საქმის სირთულის გამო. საინტერესოა, რომ ჯუღელს ჰქვიათ, ეგებ გაგვიზიაროთ საკუთარი პრაქტიკა და დავისასხელოთ წინასასამართლო პროცესის გაჭიანურებული საქმეები, თუმცა, მოსამართლემ ვერ დაასახელა.

ასე რომ, არსებითი განხილვა ჯერ არ დაწყებულა. კაბელების საქმეზე ხმაური, როგორც ჩანს, კიდევ გაგრძელდება.

ირაკლი ალასანიამ ეს, როგორც მოსამართლემ თქვა, რთული საქმე უკვე მონათლა გამარჯვებულად. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის წინააღმდეგ კი სერიოზული ბრალდება ააგორა, – დაკვეთას ასრულებენ, ივანიშვილს შეხვდნენ და დავალებები უშუალოდ მისგან მიიღესო.

კაბელების თემა ირაკლი ალასანიამ უკვე გაიფორმა, როგორც ტრიუმფალური გამარჯვება. ახლა ის შეეცდება, ეს დროშა არჩევნებამდე აფრიალებული ატაროს და რაც შეიძლება მეტი სარგებელი ნახოს. ეს ცუდია? ეს კანონზომიერია.

თუმცა, ამ სიცრუეზე აგებულ კანონზომიერებას გამარჯვებამდე ჯერ არავინ მიუყვანია. ასე რომ, არ არის გამორიცხული, ალასანიას წინ კიდევ ერთი გაკვეთილი ელოდებოდეს.

განჩინების სარეზოლუციო ნაწილში არაფერია ნათქვამი სასაქონლო ექსპერტ დავით ამაშუკელის დაკითხვის ოქმზე. ის არც ყოფილა დაკითხული. პროკურატურა მის დაკითხვას საქმის არსებითი განხილვის დროს აპირებდა.

### სასაქონლო და საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნასთან დაკავშირებით:

„სასაქონლო ექსპერტის მიერ შპს „დელტა კომისთვის“ მიმართვისა და იქიდან წერილობითი პასუხების მიღების დროს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 52-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა დარღვევას ადგილი არ ჰქონია“.

„პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა მოკლებულია საფუძველს და არ გამომდინარეობს როგორც ზოგადად ექსპერტის უფლება-მოვალეობების, ისე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებიდან. საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ აღნიშნული ნორმა ექსპერტს უფლებას აძლევს, მოითხოვოს როგორც უშუალოდ, ისე ექსპერტის ინიციატორი მხარისგან, საქსპერტო კვლევისთვის საჭირო დამატებითი მასალა ან/და ინფორმაცია“.

„საგამოძიებო კოლეგია იზიარებს საჩივრის ავტორთა პოზიციას, რომ ექსპერტის მიერ დასახელებული კომპანიისთვის წერილის გაგზავნა და იქიდან საჭირო მონაცემების მიღება სხვა არაფერია, თუ არა ბაზრის კვლევის პროცესი, ხოლო მიღებული ინფორმაცია – ბაზრის კვლევის დამატებითი მასალა“.

„თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია არ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს ცალმხრივ დასკვნებს“.

„მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოსთვის ექსპერტიზის დასკვნის წარმომავლობა ცნობილია, ის მოპოვებულია კანონით დადგენილი წესით და არანაირი ეჭვი ხსენებული ექსპერტიზის დასკვნის გამოცვლის, მისი ნიმან-თვისებების შეცვლის ან შინაარსობრივი გადაკეთებისა თუ სხვა უკანონო მანიპულაციების შესახებ არ არსებობს. შესაბამისად, საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ ექსპერტიზის დასკვნა ავთენტურია, ნამდვილია და მასში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს“.

„სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სასაქონლო ექსპერტის მიერ „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 და 21-ე მუხლების დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ამიტომ, ამ მოტივით სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნის დაუშვებლად ცნობა და ექსპერტ დავით ამაშუკელის ბრალდების მხარის მონმედ საქმის არსებითი განხილვაზე არდაშვება, სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია დაუსაბუთებლად“.

„სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნა მოპოვებულია კანონის სრული დაცვით და მის საფუძველზე მიღებული საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნაც კანონშესაბამისია“.

**წინასასამართლო პროცესი უპრეცედენტოდ გაიწვია. ის სამ თვეს გაგრძელდა და საბოლოოდ დაკავებულების სხდომათა დარბაზიდან გაშვებით დასრულდა...**

### წინასასამართლო პროცესი


მოსამართლემ დავით ჯუღელის მიმართ სხვა კითხვებიც დაისვა. მაგალითად, მიზანმიმართულად განვლდა სასამართლო პროცესი.

ამონარიდი პროცესის გადადებთან დაკავშირებით:

„საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლით დადგენილი და პრაქტიკაში დამკვიდრებული წესის საწინააღმდეგოდ, წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ გაურკვეველი დროით ისე გადადო სხდომა, რომ არ გადაწყვიტა საქმის არსებითი განხილვისთვის გადაცემის საკითხი“.

თუკი სააპელაციომ დაადანაშაულა მოსამართლე ჯუღელი პროცესის განვლვაში, მაშინ, ბუნებრივია, ჩნდება ეჭვები და ვერსიები, რატომ





## ევექსი

სამედიცინო კორპორაცია



ლეჰან სუხიშვილი

### გიორგი ურუშაძე

ისინი წარმატებული ქართველი ექიმები არიან. ზაზა ქაცარავას, ლევან სუხიშვილს და ნიკოლოზ ვაშაყმაძეს გარდა პროფესიისა, ბევრი რამ აკავშირებთ. წარმატებული კარიერა და გერმანიაში მიღებული გამოცდილება, მათ მსოფლიოს საუკეთესო ექიმთა რიგში აყენებს. თუმცა, ეს ყველაფერი არ არის. მათ სამედიცინო კორპორაცია „ევექსი“ აერთიანებს. ისინი ხომ ახლა ქართველი პაციენტების ჯანმრთელობაზე ზრუნავენ.

ზაზა ქაცარავა პროფესიით ნევროლოგია. მისი სამედიცინო კარიერა შთამბეჭდავია. საქართველოში დაწყებული განათლების მიღების პროცესი, ჯერ გერმანიაში და შემდეგ უკვე ამერიკაში, ჰარვარდის უნივერსიტეტში დააგვირგვინა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: „96 წელს მოვიგე დაადის სტიპენდია, რომლითაც გერმანიაში წამოვედი, კერძოდ, ქალაქ ესენის უნივერსიტეტში. აქ, ხელმეორედ დამჭირდა რეზიდენტურა, მომიწია სალიცენზიო გამოცდების ჩაბარება. 2002 წელს,

წარმატებული მეცნიერული ნამუშევრებისთვის და უნივერსიტეტის შუამდგომლობით მომანიჭეს გერმანიის მოქალაქეობა, გამონაკლისის სახით. 2002-დან 2004-მდე ვისწავლე ბოსტონში, ჰარვარდის უნივერსიტეტში. 2005 წელს დავამთავრე გერმანიაში ნერვოლოგიის რეზიდენტურა. ამავე წელს ერთწლიანი სწავლა დავამთავრე ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტში და მივიღე სერტიფიკატი სამედიცინო ხარისხის დაცვის სპეციალობით. 2006 დავიცავი სადოქტორო დისერტაცია. 2008 წელს დავამთავრე ერთლიანი სწავლა კიოლინის უნივერსიტეტში, სამედიცინო მენეჯმენტის განხრით. 2011-ში გავხდი ესენის უნივერსიტეტის პროფესორი. ასევე, ამ წელს გავხდი ქალაქ უნას ევანგელური ჰოსპიტალის ნერვოლოგიური დეპარტამენტის დირექტორი. ამჟამად ვარ უნას ევანგელური საავადმყოფოს ნერვოლოგიური დეპარტამენტის დირექტორი. ამასთან ერთად გახლავართ „თავის ტკივილის ევროპული საზოგადოების“ ვიცე-პრეზიდენტი.

რეგალიები, დამეთანხმებით, მეტად შთამბეჭდავია. თუმცა, ყველაზე მნიშვნე-

ლვანი მისთვის სამედიცინო კორპორაცია „ევექსის“ მეშვეობით ქართველი პაციენტების დახმარება და მხარდაჭერაა.

**ზაზა ქაცარავა:** „ერთი-ორი წლის წინ „ევექსმა“ ნახა ჩვენი კონფერენცია და მოინდომა ჩემთან თანამშრომლობა. შემუშავდა პროექტი, რომლის მიხედვითაც, ჯერ ქუთაისში, შემდეგ უკვე ბათუმსა და თბილისში უნდა დაინერგოს მწვანე სისხლძარღვოვანი პათოლოგიის, ანუ მწვანე ინსულტის სწორი და ადეკვატური მკურნალობა, რაც, პირველ რიგში, მწვანე სისხლძარღვოვანი განყოფილებების შექმნას და მწვანე ინსულტიანი ავადმყოფისთვის სისტემური თრომბოლიზის ჩატარებას გულისხმობს. ქუთაისში ეს პროცესი უკვე დაიწყო. ამის შესაქმნელად 2 წელიწადზე მეტია ვმუშაობთ. ბევრი რამ გაკეთდა. ქუთაისელი ექიმები ჩემთან იყვნენ ჩამოსულნი და აკვირდებოდნენ პროცესებს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში პირველი ორი წარმატებული შე-

მთხვევაც დაფიქსირდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ორი მამაკაცი, რომელიც მწვანე ინსულტით შემოვიდა, ანუ მძიმე ხარისხის დამბლით, სრულიად ჯანმრთელი გაენერა საავადმყოფოდან. ასე რომ, ჩემთვის „ევექსთან“ თანამშრომლობა და ამით საქართველოსთან კავშირი უმნიშვნელოვანესია. ის მორალური კმაყოფილება, რომელსაც მე ეს საქმე მანიჭებს, შეუფასებელია“.

ლევან სუხიშვილი, კიდევ ერთი წარმატებული ქართველი ექიმია. საქართველოში რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციის ხელმძღვანელის პოსტზე ყოფნის დროს საკუთარი რესურსების ამონურვა იგრძნო და ამიტომ, მისთვის ყველაზე ხელსაყრელ ქვეყანაში, გერმანიაში გაემგზავრა.

**ლევან სუხიშვილი:** „გერმანიაში მუშაობა დავიწყე ქ. კრონანში, ფრანკენვალდკლინიკაში, შემდეგ გადავედი სხვა მხარეში დიდ კარდიოქირურგიის ცენტრში

„შუბტერმანის“ კლინიკაში. გერმანიაში სულ 3 წელი დავყავი. შემდეგ კი საქართველოში დაბრუნება გადავწყვიტე. გერმანიაში ყოფნის დროს, „სამედიცინო კორპორაცია „ევექსის“ ხელმძღვანელობა დამიკავშირდა და თანამშრომლობა შემომთავაზა. მათ მითხრეს, რომ კომპანია „ევექსი“ არის მზარდი კომპანია, გამაცნეს განვითარების მათი ხედვა და ის, რომ უცხოეთში ახალ პროფესიონალ კადრებს ეძებდნენ, რომელთაც სამშობლოში დაბრუნება უნდოდათ. ჩემთვის ეს იყო მოულოდნელი და სასურველი შემოთავაზება.

კომპანია „ევექსმა“ დაიწყო დასავლური მიდგომების დაწინაურება, მუდმივად ვმუშაობთ ევროპიზაციის მიმართულებით, ჩვენ გვაქვს უმაღლესი სტანდარტების აპარატურა და კლინიკები დაკომპლექტებულია უაღრესად ნიჭიერი მედპერსონალით, რაც პაციენტების მკურნალობისთვის მაღალი სტანდარტების უსაფრთხო გარემოს ქმნის. კომპანიის კლინიკები იმართება ახალი დასავლური სტანდარტის საუკეთესო პრაქტიკის რეგულაციებით, რომლებიც მტკიცებულებით მედიცინას, ანუ უზარმაზარ კვლევებს ეფუძნება. ჩვენი კლინიკური შედეგები პროგრესირებს, და ხშირად უტოლდება საზღვარგარეთის საუკეთესო კომპანიების შედეგებს. ჩვენთან უკვე შესაძლებელია ისეთი შედეგების მიღება, რაც აქამდე შეუძლებელი იყო.

მისივე თქმით, „სამედიცინო კორპორაცია „ევექსი“ მუდმივად განვითარების პროცესშია, რისთვისაც იხარჯება მნიშვნელოვანი ინტელექტუალური და მატერიალური რესურსები, რათა სამედიცინო საქმიანობის ხვალისდელი დღე უფრო მეტად დაუახლოვდეს საუკეთესო დასავლურ სტანდა-



ზაზა ქაცარავა





# სის“ გეგეჰით, ქართველ პაციენტებს გეგეჰით

რტებს, რაშიც ის ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

**ლევან სუხიშვილი:** „დასავლეთში მოქმედებს სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს პაციენტზე მორგებულ მომსახურებას და მაღალი დონის რეაბილიტაციას. იგი მიზნად ისახავს, სამკურნალო პროცესის ისე ორგანიზებას და წარმართვას, რომ პოტენციური გართულებების რისკი მინიმუმამდე იქნას დაყვანილი და მკურნალობის პროცესი წარმატებული შედეგით ანუ პაციენტის სრული გამოჯანმრთელებით დასრულდეს. ვფიქრობ, ზუსტად ასეთი პრინციპების მშენებლობა მიმდინარეობს კორპორაცია „ევექს“-ში. ჩვენთან ხომ პაციენტები ხშირად უმძიმესი პათოლოგიებით ხვდებიან, რომელთაც დაუყოვნებელი მულტიდისციპლინური დახმარება ესაჭიროებათ. ასევე კორპორაცია ახორციელებს ისეთ ინოვაციებს, რომლებიც საქართველოში ჯერ არსად დანერგილა, მაგ: ცოცხალი დონორიდან ღვიძლის ტრანსპლანტაცია, ურთულესი ოპერაციები გულის პათოლოგიების დროს, რომელთა წარმატებით განხორციელება უახლესი დასავლური გამოცდილების და კლინიკური საქმიანობის ტრანსფორმაციის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა“.

ნიკოლოზ ვაშაყმაძე მორიგი წარმატებული ქართველი ექიმია. მისი კარიერაც გერმანიაში განვითარდა.

**ნიკოლოზ ვაშაყმაძე:** „2000 წელს წარჩინებით დავამთავრე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. მოგესვენებთ როგორი რთული დრო იყო მაშინ კარდიოქირურგიაზე ოცნებაც წარმოუდგენელი იყო, ამიტომ გადავწყვიტე ჩემი კარიერა ევროპაში გამეგრძელებინა. იმავე წელს სწავლა გავაგრძელე კიოლის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე (გერმანია). 2003 წელს წარმატებით დავასრულე საუნივერსიტეტო განათლება სახელმწიფო გამოცდით და შევუდექი საექიმო საქმიანობას, ჯერ ფრაიბურგის საუნივერსიტეტო კლინიკის კარდიოქირურგიის განყოფილებაში (ბადროინგენი), ხოლო შემდგომში ნორდრაინ-ვესტფალენის გულისა და დიაბეტის ცენტრში (ბადოინჰაუზენი). 2011 წლიდან ოლდენბურგის საუნივერსიტეტო კლინიკის სერტიფიცირებული კარდიოქირურგი გახვდები. საქართველოში დაბრუნება, მიუხედავად ევროპაში წარმატებული კარიერისა, ყოველთვის ჩემი და ჩემი ოჯახის ოცნება იყო. მიუხედავად ემიგრაციაში ხანგრძლივი ყოფნისა, საქართველოსთან კონტაქტი



ნიკოლოზ ვაშაყმაძე

არასოდეს გამიწყვეტია და ვცდილობდი, ჩემი წვლილი შემეტანა ქართული მედიცინის განვითარების საქმეში. 2010 წლიდან, ჩემი მასწავლებლის, პროფესორ და პუნტის უშუალო ხელშეწყობით მოვიხიეთ თანხები ოლდენბურგის კლინიკაში და საფუძველი ჩავუყარეთ ქართველი სტუდენტების გაცვლით პროგრამას. მე დღეს ამაყ ვარ, რომ დღემდე სამოცმა ნიჭიერმა ქართველმა სტუდენტმა შეძლო სამთავიანი სტაჟირების გავლა გერმანიაში. სტუდენტები უზრუნველყოფილი იყვნენ უფასო ბინითა და კვებით. აღნიშნული პროექტი გრძელდება და 15 ივლისს შემდეგ ექვსკაციან ჯგუფს გავაცილებთ ჩემს ყოფილ კლინიკაში“.

ოქტომბრის თვეში სამედიცინო კორპორაცია „ევექსი“-სგან მივიღე შემოთავაზება. გავეცანი კორპორაციის მიზნებს, საქართველოს სამედიცინო სფეროში არსებული პრობლემატიკის მოგვარების ხედვას, რის შემდეგ დიდი დაფიქრება არ დამჭირდა, გადაწყვეტილება მივიღე და დაებრუნდი.

სამედიცინო კორპორაცია „ევექსი“ მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა კვალიფიციური კადრების მოძიებას საზღვარგარეთ და მათ დაბრუნებას სამშობლოში. მე ვფიქრობ, „ევექსის“ მხრიდან საკმაოდ პატრიოტულ საქმეს ეყრება საფუძველი. წარმატებას მედიცინაში მართო მაღალი ტექნოლოგ-

ები ვერ განსაზღვრავს, მაღალი ტექნოლოგიების უკან მაღალი კვალიფიკაციის კადრები უნდა იდგნენ, მხოლოდ მაშინაა სამედიცინო სერვისი წარმატებული. „ევექსის“ მიზანიც ესაა და ეს მისასაღმებელი რეალობაა დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში.

რეფერალურ კლინიკაში მუშაობის დაწყებიდან საკმაოდ მოკლე დროში შევქელით კარდიოქირურგიული მკურნალობის სპექტრის გაშლა. დღეს ჩვენთან კეთდება ყველა სახის კარდიოქირურგიული ოპერაცია - კორონარული არტერიების შუნტირება მფეთქავ გულზე, სისხლის მიმოქცევის ხელოვნური აპარატის გარეშე, ისევე, როგორც სარქველოვანი აპარატის პლასტიკა, პროთეზირება, აღმავალი აორტის და რკალის პროთეზირება, ხელოვნური სისხლის მიმოქცევის აპარატის თანხლებით. ვამაყობ, რომ პირველებმა დავნერგეთ წარმატებით დასავლეთ საქართველოში აორტის აპრეგების ქირურგიული მკურნალობა, ასეთი პაციენტები ქირურგიული ჩარევის გარეშე, თითქმის სრული ალბათობით იღუპებიან პირველ 24 საათში. პირველებმა დავინყეთ ბიოლოგიური სარქველების იმპლანტაცია, რაც განსაკუთრებით ხანშიშესულ პაციენტებშია მნიშვნელოვანი, ასეთ პაციენტებს აღარ სჭირდებათ სისხლის გამათხელებელი მედიკამენტების ყოველდღიური მიღება და შესაბამისად, დაცული არიან მათთან დაკავშირებულ სასიცოცხლო მნიშვნელობის გართულებებისგან. უახლოეს მომავალში ვგეგმავთ მინიმალინვაზიური კარდიოქირურგიის ეტაბლირებას ქუთაისში. ჩვენი კლინიკა აგრძელებს, „ევექსის“ ქსელის უშუალო ხელშეწყობით, თანამშრომლობას გერმანიისა და ავსტრიის უმსხვილეს ცენტრებთან, როგორცაა ოლდენბურგის და ბადოინჰაუზენის გულის ცენტრი, გრაციის საუნივერსიტეტო კლინიკა. „ევექსის“ ქსელი აქტიურად არის ჩართული სამედიცინო პერსონალის გადამზადებაში. ჩვენი კლინიკის მედპერსონალს ვთავაზობთ გერმანული ენის ყოველდღიურ კურსს პირველი ივლისიდან. იგეგმება საშუალო და საექიმო პერსონალის სტაჟირება გერმანიის წამყვან კლინიკებში. სიტყვიერი და წერილობით თანხმობა გერმანული მხარისგან უკვე მიღებული გვაქვს. „ევექსის“ ქსელი სრულად ფარავს, როგორც ენის კურსის ასევე სტაჟირების ხარჯებს. მიმდინარეობს სამედიცინო ტექნიკის განახლება ულტრა-ათანამედროვე ტექნოლოგიებით. ასე რომ, „ევექსთან“ თანამშრომლობა საკმაოდ საინტერესო და საქმიან ფაზაში გადაიზარდა. მიხარია, „ევექსის“ მიერ შემოკრებულ მაღალკვალიფიციურ პერსონალთან თანამშრომლობა, დღეს ბევრი მათგანი ჩემი ახლო მეგობარია. მიმაჩნია, რომ მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით იქნება შესაძლებელი დასახული პროექტების სისრულეში მოყვანა. (A)

**ლევან სუხიშვილი:**  
**„ევექსი“**  
**მოსახლეობას მხოლოდ**  
**მტკიცებულებაზე**  
**დაყრდნობილ სამედიცინო**  
**სერვისებს სთავაზობს“**

# ზოოპარკის დირექტორის სკანდალური

# ზოოპარკში მგლის ქონის



ირაკლი მამალაძე

სტიქიის შემდეგ ზოოპარკის დირექტორის ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები, შეიძლება ითქვას, იმის პირველი სიმპტომი იყო, რომ ზოოპარკში რაღაც ისე არ არის, როგორც უნდა იყოს.

ზოოპარკის თანამშრომლები ამ სიმპტომებზე პირად საუბრებში დიდი ხანია ლაპარაკობენ. ახლა კი იქ არსებული სერიოზული პრობლემები უკვე ღია დისკუსიის თემა გახდება.

სტიქიური უბედურების ზონა ჯერ სხვა გამონევენების წინაშე აყენებს საზოგადოებას, თუმცა, არ არის გამორიცხული, მოგვიანებით უკვე ხმამაღლა დაიწყოს საუბარი იმაზე, რატომ არ ჰქონდა ზოოპარკს ცხოველების შესახებ ზუსტი მონაცემები, რატომ არ იყო ზოოპარკი აღჭურვილი უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით, რატომ არ ჰქონდათ ცხოველებს, განსაკუთრებით კი მტაცებლებს, ჩიპები – გაქცევის შემთხვევაში მათი ადგილად პოვნისთვის.

კი, სტიქიამდე და მანამდეც, სანამ იმ მომენტამდე ქალს დაგლეჯდა. უბრალოდ, ეს არ გახმაურებულა. ერთ-ერთი მორიგი გაქცევის დროს იმდენი მოახერხა, რომ მზიურის ტერიტორიაზე გადავიდა და იქიდან ძლივს მოაბრუნეს.

**– როგორ მოაბრუნეს?**

– ერთ-ერთმა თანამშრომელმა დაინახა და დააძინეს, ისე მოიყვანეს უკან... იმ ქალის ინციდენტი უკვე უსაფრთხოების პრობლემზე მიუთითებდა. იყო ხარვეზები. როცა ქალაქის ცენტრში ამდენი მტაცებელი ცხოველი გყავს და გაქცევის პრობლემა გაქვს, უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებზეც ხომ უნდა იფიქრო, არა?... „ჯიბისის“ სახელურები ან ინჰალატორები უნდა გაუკეთდეს ცხოველებს, აღარ იქნებოდა ამხელა პრობლემა ახლა. თანამედროვე სტანდარტებზე თუ მიდიოდნენ, ეს უნდა გაეკეთებინათ.

სხვათა შორის, გველი რომ ეკვინა ვინმესთვის, იმის წამალიც არ ჰქონდათ... ბევრი სერიოზული პრობლემა იყო...

ის, რომ პრობლემები იყო და უკვე დიდი ხანია, ამას 2006 წელს „ალ-



თბილისის ზოოპარკში მგლის ქონით ვაჭრობის შესახებ ინფორმაცია „ალიას“ კონფიდენციალურმა წყარომ მოანოდა. წყაროს მტკიცებით, ზოოპარკის ადმინისტრაცია მგლის ქონს ფარულად ყიდის და მისი მყიდველები ძირითადად შავი მაგიის წარმომადგენლები არიან, რომლებიც საკმაოდ სოლიდურ თანხას იხდიან ცხოველის ქონში. ჩვენთვის, ასევე, ცნობილი გახდა მგლების ხშირი სიკვდილიანობის ფაქტები, რომლებიც, სავარაუდოდ, ცხოველის ქონით ვაჭრობას უკავშირდება. აღნიშნული ინფორმაციები „ალიამ“ ზოოპარკში გადაამოწმა. თავდაპირველად იქ მომუშავე ადამიანები გამოვიკითხეთ.




**ნოდარ ფერაძე, ზოოპარკის თანამშრომელი:**

– მგლის ქონის შექმნის მიზნით მართლა შემოდიან ადამიანები ზოოპარკში?

– კი, ბევრჯერ უკითხავთ ჩემთვისაც, ისიც უთქვამთ, რიგში ვდგავარ და მგელი ხომ არ გარდაცვლილა, ქონი რომ წავიღო.

– ვინ არიან ეს ადამიანები?

– ძირითადად ქალები მოდიან.



ამ კითხვებს საზოგადოება უკვე სევამს, პრობლემებზე კი თანამშრომლები საუბრობენ. „პრაიმტიმმა“ ერთ-ერთი მათგანი ჩაწერა. მის სახელსა და გვარს შეგნებულად არ ვასახელებთ.

**ზოოპარკის თანამშრომელი ლომის გაქცევის უცნობ ფაქტებზე საუბრობს:**

– ზოოპარკში უსაფრთხოების ნორმები, ზოგადად, ძალიან დაბალ დონეზე იყო. ერთ-ერთი ფაქტი გახლდათ ის, რომ მარტო ლომი სამჯერ გაიქცა.

იაში“ გამოქვეყნებული სკანდალური მასალაც ადასტურებს. მაშინ გაზეთმა იმედი გამოთქვა, რომ ამ სერიოზული ფაქტებით გამოძიებაც დაინტერესდებოდა. ამ მძიმე ინტერვიუს მაშინ ზოოპარკის ახალი დირექტორი ზურაბ გურიელიძე გამოეხმაურა და სასამართლოთი დაემუქრა გაზეთს, თუმცა ჩანანერის შემდეგ უკან დაიხია.

**გთავაზობთ ამ სკანდალურ ინტერვიუს:**



– და რას ამბობენ, რაში გვჭირდება?

– მაგას არ ამბობენ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზებს ასახელებენ. ერთი ქალი იყო მოსული... ის ხშირად მოდის და ამბობს, უცხოეთში ვაგ ზავნიო.

– ამდენი მგლის ქონი საიდან გაქვთ?

– ვერ ხედავთ, ხროვაა. ზოგს ჭირი უჩნდება, კვდება. რომელიც ბებერია, იმას ისეთი მოვლა არ აქვს და თავისით კვდება. ეს კიდევ ცოტაა, ადგილი არ გვექონდა, მერე ზოგი ბათუმისა და რუსთავის ზოოპარკებს მივეცი.

– თუ სისტემატურად მოდიან და კითხულობენ, ესე იგი, ყიდით ხომ?

– ვიცი, რომ მოდიან და კითხულობენ. თუ არის, აძლევენ. რა ვიცი, წამლებს ამზადებენ და სჭირდებათ.

– პირადად თქვენ თუ მიგიყიდიათ?

# ინტერვიუ შავ მარიაზე შესაძენად რიგები ღვას!

## უკომენტაროდ



– არა, მე არ მაქვს მაგასთან შეხება.

მარინა კურტანიძე, ზოოპარკის ადმინისტრაციის თანამშრომელი:

– ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ზოოპარკში მგლის ქონით ვაჭრობენ...

– ადმინისტრაცია აქ არაფერ შუაშია. ეს, ალბათ, მომვლელების დონეზე ხდება, ფარულად. ეს მაინც გარიგებაა და ასეთი რაღაცეები ჩუმად ხდება.

– თუ ასეთი რამ ხდება, ხომ შეიძლება, რომ ამ ბიზნესის გამო, ცხოველებიც დახოცონ მიზანმიმართულად?

– არა, ჩვენთან ექსპერტიზა ტარდება, როცა ცხოველი ილუპება. არ ვიცი, ასეთ დეტალებზე სჯობს, დირექტორს დაელაპარაკოთ, მან უკეთ იცის ეს პროცედურები.

როგორც გავარკვეით, თბილისის ზოოპარკს ახალი დირექტორი ჰყავს. ზურაბ გურიელიძემ ინტერვიუზე უარი განვიცხადა და ამის გამო მისი ჩანერა ფარულად მოგვინია. ახალი დირექტორი ზოოპარკის ტერიტორიაზე მგლის ქონით ვაჭრობის ფაქტს არ გამორიცხავს, თუმცა

პასუხისმგებლობას იხსნის და თავისი წინამორბედისკენ იშვერს ხელს.

– ბატონო ზურაბ, პირველ რიგში, გვინტერესებს, რამდენად ხშირად იხოცებიან ზოოპარკში მგლები?

– კი, ხშირია. ნებისმიერი ახალდაბადებულის გაზრდა გარკვეულ რისკებთან არის დაკავშირებული, იზრდება მხოლოდ 25 პროცენტით. ეს არის ჩვეულებრივი მოვლენა.

– ჩვენ გვინტერესებს შემდეგი თემა, რომელიც სწორედ გარდაცვლილ ცხოველებს უკავშირდება. კერძოდ, თუ გსმენიათ, რომ ადამიანები ზოოპარკში მოდიოდნენ და მგლის ქონის შექენას ითხოვდნენ?

– დიახ, ამის შესახებ ვიცი. იცით, რა? მგლის ქონს იყენებენ, ასე ვთქვათ, შავი მაგიისთვის. როგორ გითხრათ, ზუსტად არ ვიცი, რისთვის არის, მაგრამ როგორც ვიცი, თუ ვინმეს საყვარელი ჰყავს, რომ მოამორონ.

– და გაიცემა მგლის ქონი ზოოპარკიდან?

– რაც მე დავინიშნე, ვერ გეტყვით, ეჭვი მეპარება, რომ მსგავს რამეს ადგილი ჰქონდეს.

– ეს ინფორმაცია უკვე დაგვიდასტურეს თქვენმა თანამშრომლებმა...

– არ ვიცი, ჩემამდე რა ხდებოდა. ზოოპარკში ძველი თანამშრომლები არიან, მათზე ვერაფერს გეტყვით.

– და ახლა ხომ თქვენ ხართ დირექტორი. თუ არ გაიცემა მგლის ქონი, მაშინ რატომ მოდიან მისი შექენის მსურველები?

– ჰო, გეთანხმებით, არ შეიძლება, ზოოპარკი შავი მაგიისთვის რაღაც გაყიდვის პუნქტი იყოს. ეს არის სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაცია... გაძლევთ პირობას, თუ ჩუმად ყიდიან, სამსახურებს დატოვებენ.

– ანუ ადასტურებთ, რომ ეს პრობლემა არსებობს?

– კი, არსებობს. პირადად, ჩემთვისაც მოუმართავთ... მგლის ქონი, მგლის ბენეფიცი, მგლის ემეი, სხვათა შორის, სასქესო ორგანოებიც უნდოდან. ეს ატრიბუტებია, რომელიც შავ მაგიაში გამოიყენება.

ზოოპარკის ახალი დირექტორი, ჩვენდა გასაკვირად, მგლის ქონით ვაჭრობის საკითხებში საკმაოდ ჩახედული აღმოჩნდა. არის თუ არა ჩართული ზურაბ გურიელიძე ამ შავ ბიზნესში? იმეღია, ამას შესაბამისი ორგანოები დაადგენენ.

გაზეთი „ალია“, არქივი



**16:10/14.06.2015**  
ზურაბ გურიელიძე, ზოოპარკის დირექტორი:

„ლომების, ვეფხეებისა და მაიმუნების გადარჩენა ვერ მოხერხდა, მათ გალიიდან გასვლის შესაძლებლობა არ ჰქონდათ, შესაბამისად, სტიქიას ემსხვერპლნენ“.

**21:52/15.06.2015**  
ზურაბ გურიელიძე, ზოოპარკის დირექტორი:

„არც ერთი მტაცებელი ცხოველი ზოოპარკის გარეთ აღარ არის და ქალაქში არ დადის. მოსახლეობას საფრთხე არ ემუქრება და არც აქამდე ემუქრებოდა. ის ფოტოები და ინფორმაციები, რაც ცხოველების ქალაქში ყოფნასთან დაკავშირებით ვრცელდებოდა, ძირითადად ფოტომონტაჟი და არასწორი იყო“.

**17:46/17.06.2015**  
ზურაბ გურიელიძე, ზოოპარკის დირექტორი:

„ყველა ინფორმაციით, რაც გუშინ საღამოს გვექონდა, ეს საფრთხე აღარ არსებობდა. ამის მიუხედავად, შსს პატრულირება ტერიტორიებზე, მაგრამ შიგნით შენობებში ძებნა არ ხორციელდებოდა. ვაცნობიერებ იმას, რომ, ჩემი ინფორმაციით, სახელმწიფო სტრუქტურებმა გაავრცელეს ეს ინფორმაცია, ჩემი შეტყობინების შემდეგ ჩაითვალა, რომ საფრთხე აღარ არსებობდა და ეს ყველაფერი ჩემი ბრალი“.

„იმ ადგილიდან, სადაც ეს უბედური შემთხვევა მოხდა, გუშინ ამოყვანილი იქნა მკვდარი ვეფხვი. ჩემი მონაცემებით, მოკლული ვეფხვების რაოდენობა ემთხვეოდა ჩვენი ვეფხვების რაოდენობას. აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ იყო. როგორც ჩანს, ერთი და იგივე ვეფხვის შესახებ ინფორმაცია ორჯერ მივიღე. მუშაობა მიმდინარეობს სტრესულ მდგომარეობაში, უამრავი ხალხი

მუშაობს, უამრავი ინფორმაცია მოდის სხვადასხვა მხრიდან. როგორც ჩანს, დაშვებული იქნა შეცდომა“.

ზოოპარკის ადმინისტრაციის განცხადებით, ეძებენ ერთ მცირე ზომის ვეფხვსა და ზოლიან აფთარს, თუმცა სწორედ ამის შემდეგ ერთი ვეფხვი თითქმის მეორე დღეს გამოჩნდა ლაგუნა ვერეს მიმდებარე ტერიტორიაზე და მეორეს დღესანს ეძებენ მონადირეები. გამოჩნდნენ სხვა ცხოველებიც.

**10:08/19.06.2015**  
ზოოპარკიდან სტიქიის დამეს დაკარგული ორი ცხოველი იპოვეს – პინგვინი და გარეული ტახის გოჭი.

**18:21/14.06.2015**  
ფაქტი:

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდის“ წყალარინების საავარიო ბრიგადამ ვაზისუბნის მე-3 მიკრორაიონის, მე-15 კორპუსის მიმდებარე სკვერში დათვის ორი ბელი აღმოაჩინა. ზოოპარკიდან გაქცეული დათვის ბელემა კომპანის თანამშრომელმა ბესო ქაშიაშვილმა დაიჭირა და თუნუქის ყუთში უსაფრთხოდ მოათავსა. დათვის ორივე ბელი, საპატრულო პოლიციის დახმარებით, ზოოპარკს დაუბრუნდა.

**21:22/15.06.2015**  
„რაც კი საქართველოში ცხოველი ცხოვრობს, ყველა ჩვენგან გაქცეული არ არის... ზოოპარკს ბელები არ ჰყოლია“

**18:39 | 17.06.2015**  
ზურაბ გურიელიძე, ზოოპარკის დირექტორი:  
„კიდევ ერთი პატარა ვეფხვი და აფთარია დაკარგული“

**12:18 20-06-2015**  
თვითმხილველი:  
„ჩემი თვალთ დავინახე, ლომი იყო აგურისფერი“.



# ინტერვიუ 112-ის ხელმძღვანელთან

რამდენად მომზადებული შეხვდა გადაუდებელი დახმარების ცენტრი თბილისში დატრიალებულ ტრაგიდიას?



მირიან ბოქლოიშვილი

თბილისის სტიქიამ მომენტალურად შეცვალა ქვეყანაში არსებული დღის წესრიგი... მთელი რიგი სახელმწიფო უწყებები მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავიდნენ. განსაკუთრებული დატვირთვით მუშაობდა 112. მოქალაქეები 112-ში რეკავდნენ, როგორც გადაუდებელი დახმარებისთვის, ისე სტიქიასთან დაკავშირებით, თუნდაც უმნიშვნელო ინფორმაციის მიღების მიზნით. ამან კი ერთხანს 112-ში შემავალი ზარების შეყოვნებაც კი გამოიწვია. მოგვიანებით უწყებებს სპეციალური განცხადების გაკეთებაც კი მოუწია, სადაც მოქალაქეებს სთხოვდა, თავი შეეკავებინათ არაგადაუდებელი ზარებისგან.

**112-ის დირექტორი, გიორგი ბიჭაშვილი „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ უშუალოდ სტიქიის ღამეს და მომდევნო დღეებში უწყების ხელმძღვანელობამ სამსახურის თანამშრომლების რაოდენობა გააორმაგა.**

**გიორგი ბიჭაშვილი, 112-ის ხელმძღვანელი:**  
- იყო საუბარი, რომ თქვენი სამსახური ვერ აუდიოდა ზარების მიღებას და ხშირი იყო მოლოდინის რეჟიმი...

- დიხ, ამაზე მინდა გავაკეთო განმარტება. უმოკლეს დროში ჩვენთან შემოვიდა ძალიან ბევრი ზარი. წარმ-

# EXCLUSIVE

ოდგენით, მთელი საქართველოს მასშტაბით რამდენიმე საათის განმავლობაში ქოლ-ცენტრში შემოვიდა 10 ათასამდე ზარი. ისე სწრაფად შემოდიოდა ზარები, რომ, ბუნებრივია, ზოგიერთ ზარს უწევდა მოლოდინის რეჟიმში ჩაყენება წუთნახევრიდან 4 წუთამდე. ამ სიტუაციასთან გასამკლავებლად, მოვასდინეთ ტექნიკური სამსახურის მობილიზება, რომელიც მუშაობდა იმისთვის, რომ დიდი დატვირთვის მიუხედავად, ზარები შეუფერხებლად შემოსულიყო. ამ პერიოდის განმავლობაში ათასობით ადამიანს დავეხმარეთ, შესაბამის სამსახურებთან ინფორმაციის გადაცემით. უწყვეტ რეჟიმში ვანვლიდით ინფორმაციას შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სა-

აგენტოს, შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს და სასწრაფო დახმარების სამსახურს. ჩვენი მიზანი იყო მაქსიმალურად სწრაფად და შეუფერხებლად მიგველოცა ინფორმაცია და გადაგვეცა რეაგირებისთვის, რასაც პირადად ვაკონტროლებდით.

**- სულ რამდენი ოპერატორი მუშაობდა სტიქიის ღამეს და შემდგომ დღეებში?**

- იმ საათებში, როდესაც ძლიერი წვიმა დაიწყო, ქოლ-ცენტრში დაახლოებით 70-მდე თანამშრომელი იჯდა. ჩვენ მაშინვე მოვასდინეთ ყველა თანამშრომლის მობილიზება, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, გავაორმაგეთ მათი რაოდენობა, ეს

მომხდა სალამოს 10 საათიდან. ავტომატურ რეჟიმში ავამოქმედეთ სარეზერვო ცვლები. ჩვენი პრაქტიკიდან გამომდინარე, წვიმის და ზოგადად, ამინდის გაუარესების შემთხვევებში ერთავე სარეზერვო ცვლებს. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. ასევე მოხდა ტექნიკური სამსახურის მობილიზება, რომელიც ზარების შეუფერხებელი შემოსვლის პროგრამულ უზრუნველყოფაზე მუშაობდა.

**- რამდენად ხშირი იყო ცრუ შეტყობინებების შემთხვევები?**

- წვიმის დაწყების მომენტიდან მოქალაქეები რეკავდნენ ნებისმიერი სახის ინფორმაციასზე, რაც არასწორი იყო და რამაც გამოიწვია გადატვირთვა, რაზეც ვსაუბრობდი. არ დაგვავინწყდეს, რომ მსგავსი მასშტაბის სტიქია თბილისის რამდენიმე ათწლეულია არ ახსოვს.

ის, რომ ყველა სამსახურელო ბრიგადას ანერია - „112“, არ ნიშნავს, რომ ისინი ჩვენი სამსახურის დაქვემდებარებაში შემოდის. ამიტომ მინდა განვმარტო ჩვენი ფუნქციები: 112 არის ქოლ-ცენტრი, რომელიც იღებს მოქალაქეების ზარებს და გადასცემს იმ სამს-

ახურებს, ვისაც ევალება მომხდარზე რეაგირება. ჩვენი მთავარი მიზანია მოქალაქისგან ინფორმაციის მიღება და მისი ოპერატიული მიწოდება შესაბამისი სამსახურებისთვის, რასაც 24-საათიან რეჟიმში ვწარმოებთ. ოპერატორმა უნდა განსაზღვროს თუ რომელ სამსახურს გადასცეს მოქალაქის შეტყობინება. ჩვენს ოპერატორებს სხვადასხვა სახის ტრენინგები აქვთ გავლილი, მუდმივად ვახდენთ თანამშრომლების გადამზადებას. ხშირად ოპერატორები არა ერთ კითხვას უსვამენ მოქალაქეებს მხოლოდ იმიტომ, რომ ზუსტი ინფორმაცია მიიღონ მათგან, რათა რაიმე შეცდომა არ იქნეს დაშვებული. ეს ისევე მოქალაქეების სასიკეთოდ კეთდება.

ტრაგედიის შემდგომ, როცა გავრცელდა ინფორმაცია ცხოველებზე გაქცევასთან დაკავშირებით, რეკავდნენ მოქალაქეები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ შეინძნეს რაღაც მტაცებელი. ჩვენ ვაღიარებდით ვერც ყველა ასეთი ინფორმაცია მივართობოთ შესაბამის სამსახურს და ასევე ვიქცევით ნებისმიერ შემთხვევაში, თუმცა ადგილზე გადაამონებინ

შემდეგ ირკვეოდა, რომ ან საერთოდ არანაირი ცხოველი არ ყოფილა, ან მაგალითად, იყო კატა და მოჩვენა, რომ მტაცებელი დადიოდა. პრინციპში, ადამიანების ემოციური და სოკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ეს გასაგებიც არის.

**- გასულ კვირას თქვენს სამსახურს განცხადების გაკეთებაც კი მოუწია, რომ არასაგანგებო სიტუაციების გარდა, მოქალაქეებს თავი შეეკავებინათ 112-ში დარეკვისგან...**

- დიხ, როგორც კი დავინახეთ, რომ ძალიან ხშირი იყო არასაგანგებო და არაგადაუდებელი ზარები, მოუწინაოდად მოქალაქეებს, რომ მათ თავი შეიკავონ არაგადაუდებელი ზარებისგან, ზარებისგან, რომლებიც მოითხოვს ინფორმაციას და არა რეაგირებას. ზარების გადატვირთვა აქამდე ამ მასშტაბით არ მომხდარა. წარმოიდგინეთ, ჩვეულ რეჟიმთან შედარებით 3-ჯერ მეტი ზარი შემოვიდა, რაც თავისთავად, გარკვეულ შეფერხებებთან იქნებოდა დაკავშირებული, თუმცა ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ამის მიუხედავად, 112-ის სამსახურის პარალიზება არ მომხდარა. რასაკვირველია იყო შეფერხებები, საზღვრები გადაიტვირთა, რამაც გამოიწვია გასაგებო უკმაყოფილება, თუმცა ამის პარალელურად, დღემდე უამრავი ადამიანი რეკავს და მადლიერებას გამოხატავს, როგორც ჩვენი სამსახურის, ასევე სხვა უწყებების მუშაობის გამო, მათი ზარები ძალიან ემოციური მოსასმენია.

**- მტაცებელ ცხოველებთან დაკავშირებით რამდენად ხშირი იყო ზარები?**

- დაახლოებით ექვსი დღის განმავლობაში დედაქალაქის მასშტაბით მტაცებელ ცხოველებთან დაკავშირებით 112-ში 500-მდე საქმეა დარეგისტრირებული, რაც გულისხმობს რომ ოპერატორმა მიიღო ინფორმაცია და გადასცა რეაგირებისთვის შესაბამისი სამსახურს. მაგრამ ძირითადად იყო ზარები, როდესაც არ დადასტურდა მტაცებლის არსებობა, თუმცა კიდევ ვიმეორებ, ესეც გასაგებია. თუ მოქალაქეს მცირედი ეჭვი მაინც აქვს, რომ მტაცებელი შეინძნა, ცხადია გადაამონებდა აუცილებელია და ამ ინფორმაციის გადაცემა ჩვენი ვალდებულებაა, თუნდაც აღმოჩნდეს, რომ მოქალაქემ ძალიან დაინახა და მგლად მიიჩინა. ამავე დროს, რაც ბოროტ ხუმრობას წარმოადგენდა და ეს ძალიან სამწუხაროა.

## ბიოგრაფიული



**„ჩვეულ რეჟიმთან შედარებით 3-ჯერ მეტი ზარი შემოვიდა, რაც თავისთავად გარკვეულ შეფერხებებთან იქნებოდა დაკავშირებული, თუმცა, ამის მიუხედავად, 112-ის სამსახურის პარალიზება არ მომხდარა“**

Fly With us!  
იფრინეთ ჩვენთან ერთად!



**Georgian Airways**  
ტორპიან ეარვაისი

# თბილისი მორიბი კა



მირიან ბოქოლიშვილი

თბილისში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ სპეციალისტები და რიგითი თბილისელები დედაქალაქში არსებულ ყველაზე სახიფათო ზონებში გეოლოგიურ შემოწმებას ითხოვენ. ირკვევა, რომ თბილისის მასშტაბით არაერთი მენეჯერსაში ადგილია, რაც შესაძლოა, კიდევ ერთი და გაცილებით დიდი კატასტროფის მიზეზი გახდეს. მორიგი ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად, ამ ტერიტორიებზე პრევენციული ღონისძიებების გატარებას ითხოვენ.

მათ შორის უპირველესად მთაწმინდის ქედზე, საიდანაც მიწის მასა პერიოდულად დაბლა იწევს და მოსახლეობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის. მთაწმინდის მშრალმა მენეჯერმა 2003 წელს სამი ადამიანი ჩაიყოლა. საუბარია მაყაშვილის ქუჩაზე.

კულტურის ყოფილი მინისტრი ნიკა რურუა ხელისუფლებას მთაწმინდის ქედის დაუყოვნებლივ შესწავლას სთხოვს, ვინაიდან მისი ვარაუდით, აქ მთის მასივის მოწყვეტის ალბათობა საკმაოდ მაღალია, რამაც შესაძლოა, კატასტროფული შედეგები გამოიწვიოს.

ნიკა რურუა, კულტურის ყოფილი მინისტრი:

– დედაქალაქში დატრიალებული ტრაგედიის მიზეზი გახლდათ ის, რომ მოწყდა მთა, წამოვიდა მილიონი კუბამეტრი მიწა, თან დაერთო ძალიან დიდი ნალექი და ამ ყველაფერმა სრული ქაოსი გამოიწვია. საქართველოს დედაქალაქი არის ერთ ძალიან დიდ ხეობაში აშენებული, თბილისს ორივე მხრიდან შემოსაზღვრული აქვს მთები. განსაკუთრებით გამოყოფილი მტკვრის მარჯვენა მხარეს, სადაც მთაწმინდის სახით თბილისს გადმოჰყურებს საკმაოდ დიდი ქედი. არ დაგვაინყდეს, რომ, ასევე, მთაწმინდაზე ყველაზე სიმბოლური და წმინდა ადგილი, საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი, რომელიც შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. სიმართლე გითხრათ, ეს სამიმროება დიდი ხანია მანუხებს და ბოლო სტიქიამ კიდევ უფრო დამანახა პრევენციული ღონისძიებების აუცილებლობა კონკრეტულად ამ ტერიტორიაზე. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ იქაც რაიმე უბედურება მოხდეს, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ მთაწმინდაზე უკვე არის უამრავი დასახლება, თავისი უამრავი კომუნიკაციით. ეს არის ძალიან სახიფათოდ გადმოკიდებული ქედი. ალბათ, დროა, ძალიან დეტალურად იქნას შესწავლილი ეს ქედი. დარწმუნებული ვარ, დიდი ხანია არ შესწავლილა. შეისწავლონ ქანები, იქ ჩამდინარე ნალექების რაოდენობა, ნიადაგის მდგომარეობა. წარმოდგენაც არ მინდა, რა შეიძლება მოხდეს, თუ ოდესმე ამ ქედის ნაწილი მოწყდება და ქალაქზე წამოვა. გარდა ფიზიკური ზარალისა, ამას იქნება უდიდესი ფსიქოლოგიური დარტყმა მთელი ერისთვის. კიდევ ვიმეორებ, იქ არის ჩვენი ეროვნული მოღვაწეების განსასვენებელი და განსაკუთრებით დასაცავია. არ მინდა, ვინმე შეეპატიოს, მაგრამ აუცილებლად დროულად უნდა აღუდგეთ წინ შესაძლო კატასტროფას. დაუინებოთ მოვითხოვ, გეოლოგებმა შეამ-



## სპეციალური არსებულ დაუყო

ონმონ მთაწმინდის ქედი, მით უმეტეს, რომ აქ ერთხელ უკვე მოხდა მენეჯერი, რამაც სამი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ეს მოხდა მაყაშვილის ქუჩაზე.

– ბოლოს როდის მოხდა ამ ქედის შესწავლა, თუ გაქვთ ინფორმაცია?

– რამდენაც ვიცი, რალაც პერიოდის წინ, დაახლოებით 10 წლის წინათაა გაკეთებული გეოლოგიური შემოწმება, თუმცა დღეს ეს ყველაფერი თავიდან არის გასაკუთრებული. ამ ტრაგედიამ მოგვცა სიგნალი, რომ უფრო რაციონალური გავხდეთ ბუნებისა და დაგეგმარების მიმართ. ეს უნდა გააკეთონ პროფესიონალებმა. მე იქ ვცხოვრობ და საკუთარი თვალთვლით ვხედავ, რამდენად დელიკატური გარემოა. წარმოიდგინეთ, ეს მთა რომ დაიძრას, კონკრეტულ ზარალსა და სიცოცხლეებს თავი რომ დაავანებოთ, რამხელა შოკი იქნება მთელი ქვეყნისთვის. თანამედროვე ტექნოლოგიებისთვის ამის გამაგრების ათასგვარი საშუალება არსებობს, პოსტფაქტუმ სტიქიაზე რეაგირება უკვე დაგვიანებული იქნება.

# ტასტროფის წინაშე



**ლაშა ჩხარტიველი:**  
„რისკები გაზრდილია და სამსახურად, უახლოეს მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება... დედაქალაქი მომავალშიც აღმოჩნდება სტიქიის ეპიცენტრში“

**ნინო ჩხოვაძე:**  
„კიდევ გაიხსნა მენყრული ზონები, თანაც საკმაოდ ბევრი“

**ნიკა რუსუა:**  
„წარმოდგენას არ მიწინაა, რა შეიქცევა მოხდეს, თუ ამ ქალის ნაწილი მოწყდება და ქალაქზე წამოვა“



## ღრმად დასაქალაქებში მთებისა და მდინარეების ნებლივ შესწავლას ითხოვენ

მეწარმე ზონების გააქტიურებაზე საუბრობს გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი ნინო ჩხოვაძე. მისი თქმით, აუცილებელია გარემოს დაცვის მონიტორინგის აღსრულება, ახუ პრევენცია, რაც თბილისთან მიმართებით ადგილობრივი თვითმმართველობის პრეროგატივაა. სამსახურად, თბილისში ასეთი სტრუქტურა შექმნილი არ არის, რომელიც სახიფათო ზონებზე მუდმივ დაკვირვებას აწარმოებს.

**ნინო ჩხოვაძე, გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი:**  
– თბილისში ძალიან ბევრი სუსტი წერტილია. სტიქიამ დაგვარწმუნა, რომ კიდევ გაიხსნა მეწარმე ზონები, თანაც საკმაოდ ბევრი. ჩვენთვის ცნობილი იყო 7-მდე მეწარმე ზონა, თუმცა აღმოჩნდა, რომ მდგომარეობა გაცილებით რთულია. თბილისის ირგვლივ მთებში საკმაოდ ბევრი მდინარე და პატარა-პატარა შენაკადი არსებობს, სულ 60-მდე, თუმცა ძირითადი

არის ათი. ყველა მათგანი წარმოშობს გარკვეულ საფრთხეს, რამდენადაც ეს არის მთის მდინარეები, მათთვის დამახასიათებელია ღვარცოფი და ღვარცოფული მოვლენები. შესაბამისად, პრევენციული ღონისძიებები თუ არ გატარდა, არაფერი გამოვა.

**– რა უნდა გაკეთდეს კონკრეტულად?**  
– როცა 50-იან წლებში თბილისის აბანოებში ხალხი დაიხრჩო, შეიქმნა სპეციალური სამსახური, რომელიც მონიტორინგს აკეთებდა ყველა ამ მდინარეზე. ხდებოდა სათავე ნაგებობების პერიოდული განმეხდა, ნარჩენებისგან და ა.შ. სამსახურად, ბოლო პერიოდში ძალიან დავეკვირეთ, რომ საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენებს ვყრით პირდაპირ მდინარეებში, რაც, რა თქმა უნდა, ხერხავს მდინარეს და იხვევს ასეთ პროცესებს. ამას თუ დაუმატებთ ბუნებრივ მოვლენებს, იქნება ეს ხეობაში ხეების გაზრდა, თუ მორების

თვითნებური ჩადინება, მივიღებთ საკმაოდ რთულ სურათს. ძლიერი წვიმის დროს ხდება ამ მდინარეების ადიდება, სწრაფი მოვარდება და თუ იქ არის დაბრკოლება, ამ შემთხვევაში ვითარდება ღვარცოფული პროცესები. ეს ყველაფერი საკმაოდ სერიოზული პრობლემაა თბილისის ყველა მუნიციპალიტეტში.

**– ყველაზე სერიოზო ზონა მაინც რომელია?**  
– კრწანისის ხევი, ლეღვთახევი, გლდანულა, დიდშულა, ლოჭინის ხევი და ა.შ. მაგალითად, ლეღვთახევი, რომელიც ბოტანიკური ბაღიდან გამოდის, იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტრაგედიის მიზეზი თბილისში, როცა ხალხი დაიხრჩო აბანოებში. მაგ დროს დადასტურდა, რომ ხევის სათავეში ბევრი ხე და მცენარე იყო გაზრდილი, მოხდა ჩახერგვა, მდინარემ გააკეთა ხელოვნური შეტბორვა და შემდეგ დიდი ტალღით წამოვიდა. იგივე განმეორდა 2012 წელს კრწანის

სის ხევი, რომელიც ასევე მსხვერპლი დასრულდა. პრინციპში, იგივე ტიპის მოვლენა იყო, ოდნავ სხვადასხვა გარემოებით, ვერცხეობაში განვითარებული მოვლენებიც. არსებობს კიდევ ერთი პატარა მდინარე – ვარაზი, რომელსაც ჩვენ ვერ ვხედავთ. ვარაზის ხევი უერთდება ვერცხე, შესაბამისად, ესეც დიდი პრობლემაა.

**ბიოლოგ ლაშა ჩხარტიველის თქმით კი, მეწარმე პროცესების გააქტიურება გლობალური დათბობის შედეგია. მისი ინფორმაციით, ბოლო წლებში დედაქალაქში ნალექების რაოდენობა 25 პროცენტით არის გაზრდილი. ლაშა ჩხარტიველი, ბიოლოგი:**  
– რისკები გაზრდილია და სამსახურად, უახლოეს მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. საქართველოში გლობალური დათბობა აქტიურ მოქმედებაშია. ეს დასტურდება შესაბამისი კვლევებით, რომლის შედეგადაც ნალექების

რაოდენობა საქართველოს დედაქალაქში 25 პროცენტით არის გაზრდილი. ეს თავისთავად ხელს უწყობს მეწარმეებისა და გეოლოგიური პროცესების გაძლიერებას. სახელმწიფოს ამ ეტაპზე, ცალკე აღებულს, არ შეუძლია გლობალური დათბობის მეჩრეობა, მაგრამ მას შეუძლია პრევენციული ღონისძიებების გატარება. იმედია, ახლა მინც სერიოზულად მივუდგებით იმ თემებს, რომელიც გარემოს დაცვას ეხება. გარდა იმისა, რომ ამ სფეროში რეგულაციები მოშლილი, პრობლემა ამ დარგის საკმაოდ მკვირვ დაფინანსებაა.

**– ყველაზე ცხელი წერტილების შესახებ რას იტყვი?**  
– ცხელი წერტილები, როგორც თბილისში, ისე მთელ საქართველოში, არის მდინარეების ხეობები, პირველ რიგში იმ მდინარეების, რომლის სათავეები მაღალმთიანეთში მდებარეობს. გარდა ამისა, მეწარმე ზონების რაოდენობა მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. ამიტომ აუცილებელია მშენებლობებზე სანებართვო სისტემის გამკაცრება. ხშირ შემთხვევაში ნებართვების გაცემა ხდება არაკვალიფიციურად, ტერიტორიის გეოლოგიური შესწავლის გარეშე, მხოლოდ მერკანტილური ინტერესებიდან გამომდინარე. საბოლოოდ კი ამან შესაძლოა, მომავალში ის შედეგი გამოიწვიოს, რაც ჩვენ უკვე ვიხილეთ ვერცხეობაში. თბილისში მოედინება რამდენიმე მდინარე, რომელიც განსაკუთრებით სარისკოა. პირველ რიგში, ვგულისხმობ მდინარე ვერცხე, თუმცა არის სხვა მკვირვ მდინარეებიც. შესწავლა უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ, რადგან სტიქიების ალბათობა იზრდება. დედაქალაქი მომავალშიც აღმოჩნდება სტიქიების ეპიცენტრში. მთავარია, ამ ყველაფერმა კატასტროფის სახე არ მიიღოს. ამისთვის კი საჭიროა ზრუნვა იმაზე, რომ გატარდეს პრევენციული ღონისძიებები და დეტალურად იქნას შესწავლილი ყველა სარისკო ზონა. მაღალი ალბათობით, ნალექების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება.

**P.S. პრესა ამ დრომდეც არაერთხელ წერდა, რომ საქართველო კავკასიის რეგიონში ერთ-ერთ ყველაზე რთულ რელიეფურ ზონაში მდებარეობს და მუდმივად რისკის ქვეშაა. სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში 53 ათასი მეწარმე ზონა და 3 000-მდე ღვარცოფსაშიში მდინარეა აღრიცხული, მეზობელ აზერბაიჯანში კი, რომელიც საქართველოზე დიდია, 9 ათასი მეწარმე ზონაია, სომხეთში – 3800. სტიქიურად საშიში ზონები საქართველოს თითქმის ყველა რაიონში მდებარეობს. რაც შეეხება უშუალოდ დედაქალაქს, სპეციალისტების თქმით, თბილისში არა მხოლოდ დამეწარმე ზონები, არამედ ღვარცოფსაშიში ტერიტორიებიც უხვადაა. მათი თქმით, ინტენსიური წვიმების შედეგად, ძველ უბნებში სანიაღვრე სისტემები ვერ ატარებს წყალს, რაც დიდი ტერიტორიების დატბორვას იწვევს. მაგალითად, ორთაჭალაში, ფონიჭალაში, სადაც დაბლობი ადგილებია და ვაკე რელიეფი, ვერდობიდან ჩამოტანილი წყალი დიდ სიმაღლეზე გროვდება და საფრთხეს უქმნის მოსახლეობას. თბილისში ერთსაათიანი ინტენსიური წვიმის შედეგად, შესაძლოა, დიდი ტერიტორიები დაიტბოროს, რასაც დიდი ზარალი მოაქვს.**



## my View

ნინო მჭაღლიძე

ხელოვნების ოჯახში გაიზარდა, მკაცრი მშობლებისა და ბებუების წყალობით მსახიობობაზე სიტყვა არ დასცდენია. პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თბილისში ჩამოვიდა საცხოვრებლად. სწორედ აქ აიხდინა ოცნება და მუშაობა სასოფლო ინსტიტუტის „სახალხო თეატრში“ დაიწყო. ნანოს, რომ თეატრალურში არ ჩააბარა, თუმცა ბედნიერია, რომ დღეს ქუჩაში ცნობენ, ეფერებიან, თბილი სიტყვებით ანებივრებენ.

დღეს მედია ლორთქიფანიძის ცხოვრების გზას გავეყუევით და მისი ცხოვრებიდან ძალიან ბევრი აქამდე უცნობი დეტალი შევიტყუეთ. ასე რომ, წინ საკმაოდ საინტერესო ინტერვიუ გელით.

### ცხენოსანი პოლონელი ბებია

- 1938 წელს დაიბადა, ფოთში, ხელოვნების მუშაკთა ოჯახში. საკმაოდ მოხუცი ვარ, მაგრამ თავს მაინც ახალგაზრდად ვგრძნობ. ხომ იცით, გული არ ბერდება. მამაჩემი, თეიმურაზ ლორთქიფანიძე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო, დედა, თამარა პაკოვსკაია - მსახიობი. დედა პოლონელი იყო, მაგრამ საქართველოში დაიბადა და გაიზარდა. ახლა გვიამბობთ, როგორ მოხვდა დედა საქართველოში. ბებია რომ გიმნაზიაში სწავლობდა, გორში ცხოვრობდნენ. ზედა სართულზე ისინი ცხოვრობდნენ და ქვედა სართულზე - სტალინის დედა თავის ქმართან ერთად. დიდი მინისძვრის შემდეგ, გორში, ბებიჩემმა, სხვა ნივთებთან ერთად, თავისი ქალიშვილობის ფოტოებიც დაკარგა. ბებიჩემის დის ქმარი სკოლის დირექტორი იყო, ცოლი - მასწავლებელი. მათთან სტუმრად წასულა ბებია, რომელიც ცხენოსანი იყო. ბაბუაჩემს თურმე ძალიან უყვარდა მოგზაურობა, არ ვიცი პოლიტიკოსი იყო, მოგზავნილი, თუ ვინ, მაგრამ საკუთარი სალონ-ვაგონით დადიოდა ყველა ქვეყანაში. საქართველოშიც ჩამოვიდა და როგორც საპატიო სტუმარი, სკოლის დირექტორს მიუყვანეს სახლში. ამ დროს ბებიჩემმა ცხენი შემოაგვლვა და დაადავა თვალი პეტრემ. ბებიჩემს უთქვამს, შენ, რამდენ ქალაქშიც დადიხარ, ყველგან ცოლს თხოულობ ალბათო და უარით გაისტუმრა. ჩავიდა პეტრე პოლონეთში და იქიდან წერილებს და ლექსებს სწერდა ბებიჩემს. ვერ გაძლო და ისევ დაბრუნდა საქართველოში. შეუჩნდნენ ბებიჩემს ახლობლები, კარგი კაცია, ერთი წელია უყვარხარო და გაჰყვა ბებია პეტრეს. ახლა ერთად დაიწყეს მოგზაურობა. მოიარეს საფრანგეთი, სპარსეთი. მეც ძალიან მიყვარს მოგზაურობა, თითქმის მთელი ევროპა შემოვლილი მაქვს, ინდოეთშიც ვიყავი, რუსეთის ყველა ქალაქში ვარ ნამყოფი. საქართველოში რომ დაბრუნდა, ბებია ფეხმძიმედ იყო. აქ იმშობიარა. მის მერე ბაბუა გაქრა. დაიჭირეს, მოკლეს თუ რა ბედი ენია, არავინ იცის. ასე მოხვდა დედა თბილისში.

### ბებიის დარიგებებიდან რა გახსოვთ ყველაზე კარგად?

- მხრებში გაიშალეო, მეტყოდა ხოლმე. მოკუზული ჯდომბა, ამხელა ქალი ვარ და დღესაც არ შემიძლია, მისი წყალობით სულ გაჭიმული დავდივარ და ვიზივარ...

### ნათლობა ჩუმად და საქულელო ნათესავი „ილინი“

ნათესაობაში ძალიან ბევრი ხელოვნების მუშაკი მყავს. ჩემი ნათლია იყო მედია ჯაფარიძე, მისა კოსტავა. მამინ ეკლესიაში ჩუმად დადიოდნენ. მეც ჩუმად მომნათლეს, სოფელში. სანამ მამას

„ნათესაობაში ძალიან ბევრი ხელოვნების მუშაკი მყავს“

ქუთაისში გადმოიყვანდნენ, ფოთში ვიზრდებოდი. ჩემს სახლში იკრიბებოდნენ ხელოვნების მუშაკები. გული მნდებდა, რომ დაკარგულია კომპოზიტორი, გიორგი ჩუბინიშვილი, რომელმაც დაწერა სიმღერები: „თვალები რად გიციმციმებს“, „ქალო განახე ფეხშიშველი“. ეკა მამალაძის გოგო მღერის ამ სიმღერას და არსად არ არის ნახსენები კომპოზიტორი. მთელი მისი შემოქმედება ჩემს სახლში იქმნებოდა. გიორგის ომის პერიოდში ფეხი მოაჭრეს, უსიამოვნება მოსვლია დასთან და ჩვენთან ჩამოვიდა. ბებიჩემის ბიძაშვილი იყო. მამინ ფორტეპიანოს „ფისგარმონია“ ჰქონდა ანუ ფეხის პედლის დახმარების გარეშე ვერ დაუკრავდი. ისე მეზიზღებოდა ეს კაცი, ფორტეპიანოს რომ მიუჯდებოდა, ტირილს ვინებდი, მე უნდა

დავხმარებოდი ფეხით, რომ დაეკრა. ილინი იყო, ვერ ვამბობდი ამ სიტყვას, ეს „იჩ-იჩ-ილი“ როდის წავა აქედან-მეთქი, შევიჩინებდი დედაჩემს.

### დაბნეული მარილი და მამის სასჯელი

#### - განსაკუთრებული დარიგება გახსენდებთ მშობლების მხრიდან?

- ყველა მშობელი ერთსა და იმავეს გაიძახოდა მამინ, ჩვენ დროს ასე არ იყო. მგონი ახლაც ასეა. დედაჩემი რომ თეატრალურ სტუდიაში შევიდა, ბებიჩემი ბრაზობდა, როგორ შეიძლება, ჩემ დროს პატიოსან ქალს თეატრალურზე ეფიქრაო. დედაჩემი ცეკვის გამო მეჩხუბებოდა, სწავლას მოუკელიო. ახლა მე ვეჩხუბები ჩემს შვილს, გამოდღლეხილი შარვლებით რომ დადიან, არ მომწონს.

#### - მამაზე რას მეტყვი?

- მამაჩემი ძალიან მკაცრი კაცი იყო. მამინ 16 წლამდე ბავშვებს თეატრში არ უშვებდნენ. ერთხელ შევიპარე თეატრში. დამთავრდა სპექტაკლი. ვიფიქრე, მამამ არ მიმასწროს-მეთქი და

გამოვიქეცი. ჩვენ სახლთან ახლოს იყო თეატრი. მამინ მამა ქუთაისის თეატრის მთავარი რეჟისორი იყო. ვხედავ ჩემ წინ მიდის მამაჩემი. რომ დავგაზე მეორე გზაზე, ფეხებს თავში ვიციმციმი. მოკლე გზით ჩავხტი ეზოში. ზუსტად ამ ადგილას ტუალეტი იდგა. ზედ დავახტი. ვილაც კაცი ყოფილა ტუალეტში. იქ ნივილ-კვილი ატყადა... ვინ ვის ასწრებდა, ვერ გაიგებდით. გადავრჩი. მამამ ვერ გაიგო, რომ თეატრში ვიყავი... ძალიან ვცელქობდი, მაგრამ დასჯა არ იცოდნენ ჩემმა მშობლებმა, არასდროს გავუღახვივარ. ახლა ვფიქრობ, ჩემი შვილი ასე რომ მოქცეულიყო, არ დარჩებოდა, მერე ფენდნენ მზეზე და აშრობდნენ. მე, როგორც ეშმაკის ფეხი, ავედი და მარილი სულ ძირს გადმოვყარე. თან, თოვლი მოდის-მეთქი, ვყვიროდი. მამამ კარადაში ჩამკეტა. იქ რა გამაჩერებდა, უკანა კედელი გამოვიღე, კარადის თავზე ავფოფხდი,

გადმოვხტი და გავედი ეზოში. მთელი ოჯახი მეძებდა. რამეს რომ დავაშავებდი, საწოლის ქვეშ ვიმალებოდი. მამინ ზამბარებანი საწოლები იყო. ერთხელ ამეხლართა ზამბარებში ეს ხვეული თმა, ძლივს გამოვიყვანეს იქიდან. ჩემი თმაც შეენიროს ამ ამბავს. კარგა ხანს კუთხებში ვიდექი...

### სახლიდან მოპარული პურის ნატეხები და მალღობრივი გერმანელი ტყვე

- ფოთში, ჩემი სახლის გვერდით სამხედროების შენობა იყო, იქვე სარდაფში გერმანელი ტყვეები ჰყავდათ. ძალიან მეცოდებოდნენ ეს ადამიანები, განსაკუთრებით ერთი, სულ მონყენილი იჯდა. ჩუმად მოვიპარავდი პურს სახლში, მივიღოდი ხოლმე ლობესთან და გადავუდებდი. სულ მადლობას მიხდიდა ეს კაცი გერმანულად. ერთხელაც მივედი და იმანაც რალაც გადმომიგლო. სულ გვაფრთხილებდნენ, ხელი არ მოჰკიდოთ გერმანელების და ამერიკელების მონოდებულს არაფერსო (მთელ ფოთში ამერიკელები დადიოდ-

„ისე მეზიზღებოდა ეს კაცი, ფორტეპიანოს რომ მიუჯდებოდა, ტირილს ვინებოდი“

„მოიპოვებ, მერე მანქანით გასაქირნება შემოგთავაზა, ბოლოს მითხრა, მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი არ მიყვარს, მინდა ჩემი ყვავილობის დედა გახდეთო“



# ნელა ტყემა მედეა ლორთქიფანიძეს

„ისეთი  
ბაჭირვება  
ვნახე იმ  
წლებში,  
ვნატრობდი,  
ნეტავ ბაღის  
ბავშვებს  
პერიენია ან  
პარაქიანი  
კური დარჩეთ,  
რომ ბავიას  
ნავულო-მეტიქი“

„ჩემი  
ქმარი  
გარდაიცვალა  
და ჩემი მზეც  
ჩაესვენა“

## „ჩემი ქმარი რომ გარდაიცვალა, 14 წელიწადი ეზოში არ ჩავდიოდი“

ვიტყვი, მაგრამ ქუთაისში ორჯერ რომ გაგველო ბაღის კიდევ, მეტი კი არ უნდოდით ქორიკანა ხალხს. ვუფრთხილდებოდი ოჯახს.

- მეუღლე როგორ გაიცანით?

- ექიმთან გავყვე მეგობარს, ნიბელი პომადა მესვა, ნიბელი საყურე მეკეთა, მოკლე კაბა მეცვა. შემოვიდა კაცი კაბინეტში, ამხედ-ჩამხედა ბოზური თვალებით. ჩამოვიწიე კაბა, შემრცხვა. მოკლედ, ამ ექიმმა პაციენტისა და მეგობრის წყალობით მოახერხა ჩემი გაცნობა. თავიდან, რომ არ მომწონდა, მიზეზებს ვიგონებდი, სადმე რომ მპატივებდნენ, სველი თმა მაქვს, ვერ წამოვალ-მეთქი, ვეუბნებოდი. ხან ფეხს შევიხვევდი, მტკივამეთქი. ბოლოს საგზურები მომიტანა, შენ და ჩვენი საერთო მეგობარი, ნუნუ ნადით, დაისვენეთო. ვიფიქრე ეს თუ არ წამოვა, წავალ, დავისვენებ-მეთქი. საღამოს გამოვივლით, მატარებელზე მივაცილებითო. ველოდები და, სად არის... გაცოფებული ვარ, ვინ არის მაგის მოსატყუებელი-მეთქი. დილის რვა საათზე დამადგინე მანქანით, გადავწყვიტე, მეც წამოვალ. წავედი ბუბუში, სოხუმთან ახლოს. ერთი თვე ვიყავით იქ. იქიდან შევევარებული წამოვედი. უგანათლებულესი და უკეთილშობილესი აღმოჩნდა. ჩემი ქმარი რომ გარდაიცვალა, 14 წელიწადი ეზოში არ ჩავდიოდი. კაცი ტვინით გატენილი იყო, მოსკოვში ჰქონდა განათლება მიღებული, მაგრამ არასდროს გაგრძობინებდა, რომ შენ მასზე ნაკლები იცოდი. მეტყობდა, იცი, უბრალოდ აღარ გახსოვსო. 20 წელი ვიყავით ერთად. 9 წელი ველოდებოდი შვილს. ერთი ქალიშვილი მყავს, შორენა და ორი შვილიშვილი. ჩემი ქმარი გარდაიცვალა და ჩემი მზეც ჩაესვენა. მეზობლები და მეგობრები რომ არ მყოლოდა, არ ვიცი რა მეშველებოდა. გავიდა ათი წელი და ჩემი მეგობრები გადამეკიდნენ, უნდა გაგათხოვოთო. მსახიობი, გურამ თავბერიძე შემომიჩინდა განსაკუთრებით. ერთხელ, კარზე კაკუნია. შემოვიდა ვიღაც გამხრადი, ხანშიშესული კაცი, გასაღებს ატრიალებს ხელში. ჩემი ქმრის მეგობარი მგონია (15 წლით იყო ჩემი ქმარი ჩემზე უფროსი), მცვია გულამოღებული სარაფანი, თან რაღაცას ვკერავ. მომიკითხა, მერე მანქანით გასეირნება შემომთავაზა, ბოლოს მითხრა, მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი არ მიყვარს, მინდა ჩემი ყვევითობის დედა გახდეთო. რა, ბატონო-მეთქი, გავიოცე, გამიმეორა. გაებრაზდი, კი მაგრამ, მკვდარი სახლიდან გააქეთ და მე სახლში შემოვიყვანო-მეთქი, ასე ვაჯახე უზრდელად. წამოხტა და გავარდა. გურამ თავბერიძე კინალამ მოვკალი ამ სურპრიზის გამო.

- თქვენი გმირი სერიოზული ქოთქოთა ქალია, თქვენ როგორი იყავით ქმართან ურთიერთობაში?

- სულ სიხარული გვქონდა, სულ ვხალისობდით, ვმასხრობდით. ქოთქოთა და მოჩუბარი არასდროს ვყოფილვარ. ვერავინ იტყვის ჩემზე, მანყენინაო. მეგობრისთვისაც კი არ მითქვამს ხმამალაღი სიტყვა.

- დედამთლი თქვენგან არ გამოვა, ერთი ქალიშვილი გყავთ, სიდედრი როგორი ხართ?

- მე და ჩემს სიძეს ერთმანეთისთვის, ალბათ, სულ 50 სიტყვა გვაქვს ნათქვამი ამ ერთ წელიწადში. ის წყნარი სვანია, მე კიდევ სიძესთან ძალიან მორიდებული. საქმიანი ბიჭია, მშრომელი, აღმერთებს ჩემს შვილს და რა გვაქვს საჩუბარი?

- დასასრულ, შეცდომებზეც გკითხავთ. შეცდომებს ყველა ვუშვებთ, მაგრამ ერთი და მთავარი, რომელსაც ყველაზე მეტად დარდობთ, რომელია?

- ალბათ ის, რომ თეატრალურში არ ჩავაბარე. არ შემინყვეს ხელი ზოგიერთმა ახლობელმა, თორემ ახლა შეიძლება დამსახურებული მსახიობი ვყოფილიყავი. ახლა ცნობადი ვარ, ყველა მცნობს, ქუჩაში ვერ გამივლია. იცი როგორ მსიამოვნებს... მოკლედ, უკან რომ დავბრუნებულიყავი ქმარს გავაცოცხლებდი და თეატრალურში ჩავაბარებდი.

ნენ მამნი). ვერ მოვითმინე, მაინტერესებდა რა იყო. მივედი, გავხსენი და რას ვხედავ, ცოცხისგან გაკეთებული თოჯინა. გახარებულმა, სახლში წამოვიღე, დიდხანს ვინახავდი სათუთად... ერთხელ, ამერიკელებისგან დედამ პარაშუტი იყიდა, იმისგან კაბა შემიკერა, ძალიან ლამაზი, ფეხსაცმელიც მათგან მიყიდა. ჩავიცვი ორივე და დავედივარ ამაყად, ვფიქრობ, ნეტავ შემომხედოს ვინმემ ფეხზე რა ლამაზი ფეხსაცმელი მაცვია-მეთქი. წამოვიდა წვიმა. კაბაც ზედ შემომადნა და ფეხსაცმელიც დაიშალა. ერთჯერადი ყოფილა ყველაფერი, მიცვალებულებს აცმევდნენ თურემ ამერიკაში.

მშობლების გარეშე დარჩენილი მსახიობის ყველაზე დიდი გაჭირვება - რა პროფესიის ხართ? - ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი დავამთავრე, ისტორია-ფილოლოგის განხრით. მსახიობობაზე ვფიქრობდი, მაგრამ ქუთაისიდან თბილისში მარტო არ გამომიშვებდა მამაჩემი. არც მითქვამს.

- პირველი ხელფასი, პირველი სამსახური...

- მშობლები რომ გარდამეცვალა, საბავშვო ბაღში დავიწყე მუშაობა, მასწავლებლად. მამა რომ დაიღუპა, 17 წლის ვიყავი. მაშინ გორის თეატრის მთავარი რეჟისორი იყო. ავარიში მოყვეით ერთად. ჩემს თვალწინ დაიღუპა... უშიშესი ტრაგედია იყო ეს ჩემთვის. 19 წლის ვიყავი დედა რომ გარდამეცვალა. დედასთან უფრო ვმეგობრობდი, მისი გარდაცვალება გაცილებით მძიმედ გადავიტანე. ისეთი გაჭირვება ვნახე იმ წლებში, ვნატრობდი, ნეტავ ბაღის ბავშვებს შეჩენია ან კარაქიანი პური დარჩეთ, რომ ბებუას ნაფულო-მეთქი. ეს ის ბებიია, მალალაშვილის ქალი, ზემოთ რომ გიამბობდით. რომელსაც ისეთი ცხოვრება ჰქონდა ნანახი, ბევრს არც დაესიმრებოდა და საბავშვო ბაღის ბავშვებს იმედადლა დარჩა. ამ დროს ჩემმა მამამ სასოფლოში ჩააბარა, სწავლობდა თბილისში. რომ დაამთავრა ქუთაისში ჩამოვიდა, ცოლი მოიყვანა. მე თბილისში ჩამოვედი, ბუბიაჩემი ერთ-ერთ დასთან. არც სამსახური მქონდა, არც ფული,

არც ჩანერული ვიყავი თბილისში, მაშინ ეს მნიშვნელოვანი იყო იმისთვის, რომ სამსახური გემოვნა. ბუბიაჩემის და მასწავლებელი იყო და მამაჩემზე უარესი, 8 საათზე სახლში უნდა ვყოფილიყავი. ვამბობდი, ნეტავ სადმე ერთი „პადვალი“ მანახა, რომ შევიდე და მარტომ ვიცხოვრო, რომ არ მესმოდეს ლიზას ლაპარაკი და ჭკუის დარიგება-მეთქი. ერთხელაც, მამაჩემის მეგობარი, ჯონი ჭაჭანიძე შემხვდა, სასოფლოში „სახალხო თეატრი“ ჩამოვყალიბეთ და წამოდი. ბინასაც ვაგვიკეთებთ, სამსახურსაც გიშოვნით და ინსტიტუტშიც მოგანყოფითო. მის მერე, სანამ გავთხოვდებოდი, ამ თეატრში ვიყავი.

- მოკლედ, ეს პედაგოგი ქალი, უცებ მსახიობი გახდით?

- უცებ რატომ? მანამდე ქუთაისში მოყვარულთა თეატრი მქონდა, ძალიან ბევრი როლი ვითამაშე, მათ შორის „ქრისტინეც“. ჩემი პარტიორონი იყო რეზო მიშველაძე, ისარის თამაშობდა. რუსეთი გასტროლებით მოვიარეთ.

15 წლით უფროსი ქმარი და 9 წელი შვილის მოლოდინში

- რომ გათხოვდით, რამდენი წლის იყავით?

- უფ, მაგი არ მკითხო, ძალიან დიდი, ორმოც წელს მიტანებული.

- რატომ ასე გვიან?

- სულ თეატრში ვიყავი, გასტროლები, სპექტაკლები... იქ ძალიან მეგობრული ურთიერთობა მქონდა ყველასთან. ზოგჯერ სანოლები რომ არ გვყოფნიდა გასტროლებზე, ასე ერთად, „სილიოტკებივით“ ჩავმწკრივებდით-ხოლმე. რომან ჩირუა იყო ჩვენთან, თმა არ ჰქონდა თავზე, ერთხელ, გადაამეკიდა, შენსა და ვერიკოს შუაში ჩავენებო, უარი ვუთხარი, რომ დამეკარგო სანოლში, თმაც არ გაქვს, როგორ ამოგქაჩო-მეთქი, ვუთხარი.

- ასე მგონია, წუნია იქნებოდა...

- არა, არა, არავინ გიჟდებოდა ჩემზე. ლამაზი გოგო კი ვიყავი, მაგრამ ყველასთან ვმეგობრობდი. თაყვანისმცემლები არ მყავდაო, მაგას ვერ

**რა დაგვანახა  
13 ივნისის  
მოვლენებმა**



**ხათუნა ლაგაზიძე, ექსპერტი:**  
– გუშინ ხელისუფლებამ ზღვარზე გაიარა. 13 ივნისის შემდეგ ხელისუფლებამ იმ ადამიანების სიმპათიაც კი დაიმსახურა, რომლებიც მათ მიმართ კეთილგანწყობით არასდროს გამოირჩეოდნენ. მათ აჩვენეს ის სახე, რომელიც საზოგადოებას ასე სურდა: ხელისუფლების ადამიანური სახე. ამ დღეებში ხელისუფლებამ ლამის აკრიფა ის რეიტინგი, რომელსაც მეთოდურად კარგად და 2012 წლის 1-ლი ოქტომბრის მერე.

მაგრამ გუშინ, კიდევ ერთი ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ, როცა ვეფხვმა ადამიანი დაგლიჯა და განტეხების ვაცის ძიება დაიწყო, რალაც მომენტში ხელისუფლება რელსებიდან გადავიდა. ძალიან მძიმე სანახავე იყო ზოოპარკის დირექტორს ამოფარებული ხელისუფლება – დამაფიქრებელი იყო არა იმდენად ის, როგორ ახოცავდნენ გურიელიძეს ხელს, არამედ ის, როგორ რეაგირებდნენ კრიტიკულ სიტუაციაში ხელისუფლების წარმომადგენლები.

თუმცა ხელისუფლება სწრაფადვე გამოერკვა პირველი შოკიდან და განაცხადა, რომ ის ხელს არავისკენ იმერს, პასუხისმგებლობას არ იხსნის და გურიელიძის გარდა, პროკურატურამ კრიზისების საბჭოსა და შსს-ს თანამშრომლებიც დაკითხა. კარგია, რომ ეს ხელისუფლება საკუთარი შეცდომების აღიარება-გამოსწორების უნარს ინარჩუნებს.

**იმედია, გუშინდელიდან დასკვნებს გამოიტანენ. კერძოდ:**  
ირაკლი ლარიბაშვილი კანცელარიაში მყოფ ზურაბ გურიელიძესთან ერთად კანცელარიის წინ შეკრებილ ხალხთან რომ გამოსულიყო, მაღლობა გადაეხადა ყველაფრისთვის, მიესამძიმრებინა კიდევ ერთხელ, ეთქვა, რომ ამ უმძიმეს დღეებში, სამწუხაროდ, შეცდომებისგან დაზღვევა ვერ მოხერხდა და კიდევ ერთი ტრაგედია თავიდან ვერ ავიცილეთ, რომ ხელისუფლება პასუხისმგებლობას არ იხსნის და რომ ამ კრიზისულ სიტუაციაში მთავრობა და ხალხი ერთია – წარმოგიდ-



გენიათ, რა მოხდებოდა?!  
ეს პიარი კი არა, პოლიტიკაა, რომელიც ხალხის მხარდაჭერის გარეშე არ კეთდება. სულ რომ ნაცების ორგანიზებული ყოფილიყო ის აქცია, ლარიბაშვილი იქ ნაცებთან კი არა, იმ ხალხთან გავიდოდა, ტელევიზორებს რომ იყო მიციებული და ხელისუფლების ადამიანური, თუნდაც გმირული ნაბიჯები ენატრება. ეს არის მანსი, როცა შეგიძლია ტექნოკრატად კი არა, მომავლის მქონე ლიდერად ჩამოყალიბდე და რეალობა წმირად არ გაძლევს ასეთ მანსს.

ხელისუფლება ფარად არ უნდა ეფარებოდეს საკუთარ ჩინოვნიკებს და მათ შეცდომებზე კოლექტიურ თვითგვემას არ უნდა ეძლეოდეს: დაამაჯა, შეეშალა?! გაუშვი რა, სანამ შენც არ ჩაუთრევიხარ შეცდომების მორევში.

თბილისის ქუჩებს მოდებული ახალგაზრდობა ამიერიდან გაცილებით უფრო აქტიური, მომთხოვნი და კრიტიკული იქნება, ვიდრე დღემდე იყო, იმიტომ რომ მათ იგრძნეს – ეს მათი ქვეყანა და მათი ქალაქია. შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლებას მათი სახით ყველაზე მგრძობიარე ფენა გაუჩნდა. ვეთანხმები ჩემს „ფეისბუქ-ფრენდს“, რომ „ახალგაზრდობის მასობრივი გამოსვლა დასუფთავების აქციებზე სწორედ რომ არაპირდაპირი პროტესტად უფროსი თაობის მიმართ, რასაც ვერც მხეცების შიში და ვერც ნვინის პროგნოზები ვერ აკავებს. თუ რამე მოხდა და ვინმემ შეცდომა დაუშვა, მერე უკვე ნორლანდიც ველარ უშველის“.

ახალი თაობა – ეს ის ძალაა, რომელზეც ხელისუფლებამ ქვეყნის აღმშენებლობა შეიძლება დააფუძნოს, მაგრამ ამავე დროს ეს ის ძალაა, რომელსაც, შეცდომების კასკადის შემთხვევაში, შეუძლია ნებისმიერი მთავრობა წალეკოს.

ასე რომ, იმედია, ხელისუფლება ცოტა უფრო ღრმად ჩაიხედავს ბოლო დღეების მოვლენებში და „ფეისბუქზე“ საკუთარი მომხრეების კონვენუსიური გააქტიურების ნაცვლად, იმაზე იზრუნებს, აკრეფილი პოზიტივი როგორ შეინარჩუნოს.

# პირველად



## ექსკლუზიური ინტერვიუ კაცთან, რომელიც ირაკლი ოქრუაშვილის აივნისიდან სტეპოდა EXCLUSIVE

**მარიამ ნადირაძე**

ჩვენი მკითხველის უმეტესობას, ალბათ, არ ახსოვს ის შთამბეჭდავი კადრები, რომელიც ტელევიზიით დაახლოებით რვა წლის წინათ გავრცელდა: მაშინ როდესაც სააკაშვილის ხელისუფლება ქვეყნიერებას იმას ამბობდა, რომ წერტილი დაესვა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პოლიციის შენობების ფანჯრებიდან აღამიანების პანტაფონტით ცვენას, სამინისტროს მეშვიდე სართულის აივანზე გადაკიდებული კაცი ოქრუაშვილმა დიდი ვაი-ვაგლასით გადაიყვანა სამშვიდობოს... მაშინ ამ ინციდენტმა საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო ვარდების ხელისუფლება, თუმცა მალე ამ ისტორიას აღარავინ მიზრუნებია.

როგორც „პრაიმტიმმა“ გაარკვია, ეს აღამიანი გახლდათ ზოოპარკის ყოფილი დირექტორი, დავით ნარსია, რომელიც ავსტ-

რიაში შვიდწლიანი დევნილობის შემდეგ ქვეყანაში ერთი წლის წინათ დაბრუნდა. ის პირველად სწორედ ჩვენს მკითხველს უამბობს, რა მოხდა რეალურად და რატომ გადაწყვიტა შინაგან საქმეთა სამინისტროს პირველი მოადგილის კაბინეტის აივანიდან გადახტომა.

**დავით ნარსია:**  
– დღემდე ვერ გავიგე, ჩემგან რა უნდოდათ.  
– როგორ დაიწყო თქვენზე ზეწოლის ისტორია?  
– როცა ახალი ხელისუფლება მოვიდა, ყველანი გახარებულები ვიყავით. მე მათგან ბევრს კარგად ვიცნობდი. ზოოპარკის დირექტორი გახლდით და სწორედ მოდიოდნენ პოლიტიკოსები ჩემთან სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარების თხოვნით.  
– პირადად სააკაშვილთან თუ გქონდათ მანამდე რამე შეხება?  
– არავითარი... ერთადერთი ის იყო, რომ როდესაც სასოფლოში ვს-

წავლობდი, ბაბუამისი იყო ჩემი პრორექტორი.

– ეს ის ბაბუაა, რომელიც იმ ზოოპარკში, სადაც თქვენ დირექტორად მუშაობდით, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნეს?  
– დაახ... ეს, მეგონი, 2005-ში მოხდა.

– თქვენ ხელისუფლებასთან ურთიერთობა მანამდე დაგეძაბათ?  
– დაახ. მე ეს ვიგრძენი.

– რაში გამოიხატებოდა ეს დაძაბულობა?  
– როგორ გითხრათ, ვგრძობდი ამას...

– ზოოპარკის დირექტორი იყავით, პოლიტიკასთან რა შეხება გქონდათ?  
– თქვენ სწორად ბრძანეთ, რა შეხება უნდა მქონოდა პოლიტიკასთან? ჩემთან განურჩევლად ყველა პარტია მოდიოდა...

– რატომ მოდიოდნენ? ფული უნდოდათ თქვენგან?  
– არა, არა, არა... ერთადერთი ის იყო, რომ როდესაც სასოფლოში ვს-





მაგდა კლდიაშვილი

## გიორგი ილურიძე ბიჭს ელოდება

**გორის „დილას“ თავდამსხმელი, გიორგი ილურიძე მამა გახდება**

ფეხბურთელი მარიამ ახალაიაზე ოქტომბერში დაქორწინა. ჯვარი „სიონში“ დაინერეს, ქორნილი კი არ გადაუხდიათ.

წყვილისთვის ეს ბავშვი პირველია და სქესიც უკვე ცნობილია მათთვის. გიორგი ბიჭის მამა სექტემბრის ბოლოს გახდება.



## ეკა ქარდავა სპორტულ ტელევიზიაში დაბრუნდა



## ნილო ჟიჟილაშვილი TVS-ზე



ჟურნალისტი ეკა ქარდავა სპორტულ ტელეარხ ტვს-ზე საინფორმაციო სამსახურის უფროსად დაბრუნდა. გასულ წელს, როდესაც სპორტული არხის ხელმძღვანელობამ სპორტული პროფილის შეცვლის გადაწყვეტილება მიიღო, ქარდავა საინფორმაციო სამსახურის უფროსად დანიშნა. უეცრად გაჩენილი ფინანსური კრიზისის გამო

კი ქარდავას ტვს-ის დატოვება მალევე მოუხდა. მოგვიანებით, ტელევიზია ეთერში კვლავ სპორტით დაბრუნდა და პირვანდელი სახე დაიბრუნა. თუმცა, კვირაზე მეტია, სპორტული ტელევიზია საზოგადოებრივ-პოლიტიკური არხის სტატუსით მაუწყებლობს, ქარდავა კი კვლავ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელად დაბრუნდა.

მას შემდეგ, რაც სპორტულმა ტელევიზიამ, TVS-მა კვლავ გადაწყვიტა პროფილის შეცვლა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ არხად გადაკეთდა, ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ არსზე სამუშაოდ მალე ტელეწამყვანი, ნილო ჟიჟილაშვილი გამოჩნდება. ტელეკომპანიაში უკვე მუშაობენ ლევან ჯავახიშვილი და ვახო სანაია, საინფორმაციო სამსახური კი ეკა ქარდავამ ჩაიბარა. თავად ჟიჟილაშვილი „პრაიმტიმთან“ საუბარში ადასტურებს, რომ არხიდან შემოთავაზება ჰქონდა. „არხიდან შემოთავაზება იყო, მაგრამ შორეულ პერსპექტივებზე სასაუბროდ ახლა მზად არ ვარ“, - განაცხადა წამყვანმა. ჯერჯერობით, უცნობია, როდის და რა სახით წარსდგება ჟიჟილაშვილი მაყურებლის წინაშე - საკუთარი გადაცემით თუ საინფორმაციოს წამყვანის რანგში.



## თორნიკე შალიკაშვილი „ტორკედოში“ იტამაშებს

24 წლის მცველი, თორნიკე შალიკაშვილი კარიერას მშობლიურ ქალაქში, „ქუთაისში“ გააგრძელებს. ახალგაზრდა მცველმა კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და მომდევნო ერთი წლის განმავლობაში, სწორედ გიორგი დარასელიას შეგივრდი იქნება. შალიკაშვილი მანამდე „სამტრედიაში“ ასპარეზობდა, სადაც 2013 წლიდან 2015 წლის სეზონის დასრულებამდე 20 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ სამტრედიაში მცველის დატოვების სურვილი ჰქონდა, ფეხბურთელმა მაინც საკუთარი ქალაქის გუნდი არჩია.



## „ბარსელონა“ საქართველოში 9 აგვისტოს ჩამოვა



11 აგვისტოს საქართველოს დედაქალაქი უფას სუპერთასს მასპინძლობს, სადაც ერთმანეთს ორი ესპანური გრანდი - „ბარსელონა“ და „სევილია“ დაუპირისპირდებიან. ცნობილი გახდა თბილისში „ბარსელონას“ ჩამოსვლის თარიღი. ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული და ესპანეთის ჩემპიონი ჩვენი ქვეყნის დედაქალაქს 9 აგვისტოს ეწვევა და სასტუმრო „მარიოტში“ დაბინავდება, სადაც კატალონიელები ყველა ნომერს აიღებენ. სფფ-ს პრეზიდენტის, ზვიად სიჭინავას ინფორმაციით, „ბარსელონას“ 102

ნომერი აქვს შეკვეთილი, სასტუმროში კი სულ 112 ადგილია, იმის გამო, რომ ფეხბურთელები წინასამატჩოდ არავინ შეაწუხოს, კლუბი ყველა ნომრის აღებას აპირებს. „ბარსელონა“ 9 აგვისტოს პირველ ვარჯიშს „მიხეილ მესხზე“ გამართავს, 10-ში კი „დინამო არენაზე“ ორივე გუნდი ივარჯიშებს. სევილიელებიც 9 აგვისტოს ეწვევიან საქართველოს. უნაი ემერის გუნდი „პოლიდეი ინ“-ში დაბინავდება და იმავე დღეს, თბილისის „დინამოს“ ბაზაზე ივარჯიშებენ. ორივე გუნდის ვარჯიში, მედიისთვის, თავიდან ბოლომდე ღია იქნება, გულშემატკივრებისთვის კი - დახურული.



როგორც ცნობილი გახდა, თბილისში, 11 აგვისტოს გასამართი სუპერთასის ოფიციალური გახსნის ცერემონიალს პოლონური კომპანია დადგამს. როგორც „პრაიმტაიმს“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ზვიად სიჭინავამ ამცნო, პოლონურ კომპანიასთან ხელშეკრულება უეფამ გააფორმა და საქართველო გახსნის ოფიციალური ღონისძიების დეტალებში არ ერევა. პოლონელთა ჯგუფი საქართველოს უკვე სტუმრობდა და დანებებული ღონისძიების მოსამზადებელი დეტალების დაგეგმვა. თუკი იმას გავითვალისწინებთ, რომ უეფა ბოლო წლებში საკმაოდ მცირეხნიან გახსნის ცერემონიალებს ატარებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს გახსნის ცერემონიალიც საკმაოდ შთამბეჭდავი და მოკლე იქნება. უეფას სუპერთასის თბილისის 11 აგვისტოს უმასპინძლებს. სუპერთასისთვის ერთმანეთს ორი ესპანური კლუბი, „ბარსელონა“ და „სევილია“ დაუპირისპირდებიან.

## უეფას სუპერთასის გახსნის ცერემონიალს პოლონელები მოამზადებენ





კახეა კუდავა:  
„საქმეებზე  
მიხედვით  
უზენაეს  
სასამართლოს  
უფლებას  
სამართლებრივ  
დავას  
გავაგრძელებ  
სტრასბურგის  
სასამართლოში,  
სადაც  
განათლების  
სამინისტროს  
მოგების  
1%-ც არ აქვს“

ნელი თორდია

უკვე ცნობილია, რომ წელს სასკოლო სახელმძღვანელოები მცირე რაოდენობით დაიბეჭდება და ყველა ახალ სახელმძღვანელოს პირველკლასელებიც კი ვერ მიიღებენ. გავრცელებული ინფორმაციით, განათლების სამინისტროს ბიუჯეტიდან ახალი სახელმძღვანელოებისთვის წელს მხოლოდ 1 500 000 ლარია გამოყოფილი, როცა 2013 წელს ეს ციფრი – 16 მილიონს, 2014 წელს კი 9 მილიონს შეადგენდა. სანიკიძის უწყების განმარტებით, სასკოლო სახელმძღვანელოების მცირე რაოდენობით ბეჭდვა ვარჯის სახელმძღვანელოების მარაგის არსებობას უკავშირდება. კიდევ ერთი სიახლე, რომელიც სასკოლო სახელმძღვანელოების თემას უკავშირდება, ისაა, რომ წელს მთლიანად იცვლება დაწყებითი კლასების სასწავლო პროგრამა. უკვე დასრულებული და დამტკიცებულია სახელმძღვანელოების გრიფორების ახალი წესი და სამინისტრო სასკოლო სახელმძღვანელოების ბეჭდვაზე სტამბებისთვის ტენდერის გამოცხადებას აპირებს. ჯერჯერობით უცნობია, მიიღებენ თუ არა ტენდერში მონაწილეობას განათლების სამინისტროსთან დაპირისპირებული გამოცემლობები, რომლებიც უწყებას საავტორო და ინტელექტუალური საკუთრების დარღვევაში ადანაშაულებენ და მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას სამართლებრივი გზით ცდილობენ. შეგახსენებთ, რომ გამოცემლობებმა „დიოგენემ“, „არტანუჯმა“, „ინტელექტმა“ და „ლოგოსპრესმა“, საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით, სასამართლოს მიმართეს. მოსარჩელეთა მტკიცებით, განათლების სამინისტრომ უნებართვოდ გამოიყენა გამოცემლობების დაკვეთით, მეცნიერების მიერ მოზადებული სასწავლო პროგრამები, რითაც

გამომცემლობებს 15 მილიონის ზარალი მიაყენა. შარშან თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოცემლობების მოთხოვნა უსაფუძვლოდ ცნო და მოსარჩელებს მატერიალური ზარალის ანაზღაურებაზე უარი განუცხადა. გამოცემლობებმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციოში გაასაჩივრეს. 12 ივნისს, თბილისში დატრიალებული ტრაგედიის წინა დღეს, დასრულდა სააპელაციო სასამართლო, რომელმაც პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. სასამართლომ დააკანონა რეკეტი, რომელიც განათლების სამინისტრომ ჩაიდინა, – აცხადებს გამოცემლობა „ინტელექტის“ ხელმძღვანელი კახეა კუდავა და დარწმუნებულია, რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოზე სანიკიძის უწყებას საქმის მოგების არავითარი შანსი არა აქვს.

კახეა კუდავა, გამოცემლობა „ინტელექტის“ ხელმძღვანელი:

– გამოცემლობა „ინტელექტის“

საწყობში ინახება 400 000 მოქმედი, გრიფორებული სახელმძღვანელო, რომელიც განათლების სამინისტრომ წაგვართვა. შემდეგ კი, ინტელექტუალური და საავტორო უფლების დარღვევით, დაიწყო მათი ბეჭდვა. იმის საშუალებაც კი არ მოგვცეს, რომ დაბეჭდილი სახელმძღვანელოები გაგვეყიდა. ვყიდდით მხოლოდ კერძო სკოლებში, რომლის კონტინგენტი მოსწავლეთა მთლიანი რაოდენობის 7%-ია. წელს ჩვენ გავაკეთებთ სახელმძღვანელოებზე ფასდაკლებებს და ვისაც შექმნის სურვილი ექნება, ამას ნამდვილად შეძლებს. ყველა გამოცემლობის საწყობში ერთი მილიონი ეგზემპლარი მაინც აწყვიდა და ჩვენ მზად ვართ, ჩვენს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს გვერდით დაეფიცვით და უნიგნოდ არ დავტოვებ.

– მიიღებთ თუ არა მონაწილეობას განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ახალ ტენდერში?

– ჯერ გრიფორების ახალი წესი გამოაქვეყნონ, ავტორებსა და გამოცემლებს გვანახონ და ვნახოთ... ნაკითხავთ, რას აცხადებენ, როგორ აცხადებენ, არის თუ არა კანონიერი მათი ნაბიჯები და ა.შ. ჩვენსა და განათლების სამინისტროს შორის, არავითარი ნდობა აღარ არსებობს, ამიტომ მაგათი აღარაფერი გვჯერა. ისინი ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს სჩადიან და ამას ჩვენ სასამართლოებში დავამტკიცებთ. რაც შეეხება გრიფორების ახალ წესსა და სამინისტროს აქტივობებს, ამაზე ვერაფერს გეტყვით, იმიტომ, რომ განათლების სამინისტროს გამოცემლებთან არავითარი კომუნიკაცია არ აქვს. გამოცემლებსა და ავტორებს საერთოდ არ ცნობენ და ყველაფერს თავის ჭკუაზე აკეთებენ.

– როგორც ბრძანეთ, საკუთარ სიმათლეს სასამართლოებზე დაამტკიცებთ, თუმცა, პირველი ინსტანციის სასამართ-

ლომ თქვენი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა...

– არც მეორე ინსტანციამ დააკმაყოფილა. ზუსტად, ტრაგედიის წინა დღეს, 12 ივნისს გვექონდა სასამართლო პროცესი. სააპელაციოს მოსამართლე ნინო ქადაგიძემ ჩვენს ადვოკატებს ასეთი კითხვა დაუსვა: თქვენი თქმით, განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების ბეჭდვა უნდა აუკრძალოთ? დიახ, ჩვენ სწორედ ასე ვცხადებთ, რომ განათლების სამინისტროს უნდა აკრძალოს სხვისგან უკანონოდ წართმეული სახელმძღვანელოების ბეჭდვა, მაგრამ მოსამართლეს კი განათლების სამინისტროს ენაზე გველაპარაკებოდა. მიუხედავად იმისა, რომ დიდი იმედი არ გვაქვს, აუცილებლად მივმართავთ უზენაეს სასამართლოს. შემდეგ კი სამართლებრივ დავას გავაგრძელებთ სტრასბურგის სასამართლოში, სადაც განათლების სამინისტროს მოგების 1%-ც არ აქვს. არც მარგველაშვილი და არც სანიკიძე არ იცნობენ გამოცემლებს. ხელიც კი არ ჩამოურთმევიათ არც ერთისთვის. რაც მოხდა, იმას ყაჩაღობისა და გაკულაკების გარდა, ვერაფერს ვუწოდებ. ამ ეტაპზე 4 გამოცემლობა 15 მილიონის ზარალის ანაზღაურებას ითხოვს. ეს არის დამდგარი და მოსალოდნელი ზარალი. ჩვენგან რამდენი გააგრძელებს სტრასბურგში დავას, დრო გვიჩვენებს. ჩვენ არ და ვერ შევწყვეტთ ბრძოლას. ეს არის 22 წლის გამოცემლობა. განათლების რეფორმა რომ დაიწყო, იმ დღიდან ვმუშაობთ და ერთ მშვენიერ დღეს გამოგვეცხადა პრეზიდენტობის მსურველი, სიმბათიური, ახალგაზრდა კაცი, რომელსაც მიზნის მისაღწევად მხოლოდ ივანიშვილის ავტორიტეტი არ ეყოფოდა და საქმის გასაიოლებლად ჩვენთვის წართმეული ნიგნები მოსახლეობაში უფასოდ დაარია. იგივეს აგრძელებს დღევანდელი მინისტრიც. სანიკიძის გრიფორების წესები თუ ტენდერები ცალკე საუბრის თემაა და ეს თემა განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.

ირაკლი მამალაძე

„თელასის“ გენერალური დირექტორის წინააღმდეგ საბოტაჟი იგეგმება, ასე ფიქრობს „თელასში“ ბევრი. სერგეი კობცევის წინააღმდეგ „ნაციონალური მოძრაობის“ კლანმა საინფორმაციო ომი უკვე წამოიწყო, ბოლო პერიოდში სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოები და ბეჭდური მედია აქტიურად აქვეყნებს მაკომპრომეტირებულ მასალებს, სადაც „თელასის“ დირექტორი, რომელიც რუსეთის მოქალაქეა, როგორც ქართველთა მოძულე მოხსენიებულია კორუმპირებულ პიროვნებად. მტკიცებულებად კი „თელასის“ გენერალური დირექტორის მიერ შექმნილი 100 000-დოლარიანი მანქანა სახელდება, რომელიც რეალურად კომპანიის საკუთრებაშია და არა გენერალური დირექტორის. რაც შეეხება ქართველების მიმართ ქსენოფობიურ დამოკიდებულებას, ამის დამადასტურებელი ფაქტები კობცევის წინააღმდეგ აგრესიულად განწყობილია იატაკქვეშა მოძრაობამ ჯერ ვერ წარმოადგინა.

რა ხდება „თელასში“ და რამდენად რეალურია გავრცელებული ინფორმაცია თბილისის ენერგოგამანაწილებელ კომპანიაში შესაძლო გაფიცვისა და საბოტაჟის შესახებ? „პრაიმტაიმს“ ამ თემაზე „თელასის“ მოქმედი თანამშრომლები ესაუბრნენ, რომლებსაც ამ ეტაპზე არ სურთ ვინაობის გამხელა.

ინტერვიუ „თელასის“ მოქმედ თანამშრომელთან:

– რა ხდება „თელასში“ და როგორ შეგიძლიათ დაახასიათოთ „თელასის“ მოქმედი გენერალური დირექტორი? მართლაც სძულს მას ქართველები?

– შემოიღია, მთელი პასუხისმგებლობით გითხრათ, რომ არც ერთ დირექტორს, ვინც კი „თელასის“ არსებობის ისტორიაში ყოფილა, არ სძულდა ქართველები და ეს არ გამოუხატავს მოღვაწეობის არც ერთ ეტაპზე. იგივე შემოიღია ვთქვა კერგი კობცევი. თუ მას სძულს ქართველები, მერნმუნეთ, ის არის ძალიან პოლიტიკორექტული ადამიანი, პრინციპული და მომთხოვნი დირექტორი, თუმცა ამავდროულად აფასებს ჩვენს შრომას და ითხოვს მუშაობას. ამას ახლავს ნახალისებაც, წელს ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ღონისძიება ჩატარდა, სადაც ენერგეტიკოსების დღე მოგვილოცეს და დანამატის სახით 300-დან 5000 ლარამდე პრემიები დარიგდა. უნდა ვთქვა ისიც, რომ ჩვენი კომპანია აქტიურ საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა. ჩვენს დირექტორს რომ ქართველები სძულდეს, მიუსაფარ ბავშვთა სახლებსა და უსინათლო ადამიანებს არ დაეხმარებოდა საქართველოში.

– თუ ასეთი კარგი ადამიანია, მაშინ რატომ გაჩაღდა მის წინააღმდეგ საინფორმაციო

## საპოტაჟის სქემა გაუიფრულია



### „მათ გადაწყვიტეს, რომ დროა დაბრუნდნენ და ფულის კეთება დაიწყონ“

**ომი?**

– მტრები სწორედ ასეთ ადამიანებს ჰყავთ, ეს ყველაფერი მიმართულია იქითკენ, რომ „თელასში“ დაბრუნდეს ის ტოპ-მენეჯმენტი, რომელიც წლების მანძილზე მილიონებს ჰპარავდა ბიუჯეტს. ამის არაერთი დამადასტურებელი ფაქტი არსებობს. დღეს რადიკალურად არის შეცვლილი სიტუაცია. მე შემიძლია, ფაქტებით გელაპარაკოთ. პირველ რიგში, ამის უკან დგას პროფკავშირების ხელმძღვანელი, რომელიც დღემდე არ ასაჯაროებს ბიუჯეტის ხარჯებს. ამის მიზეზი კი დარღვევები და უკანონოდ მითვისებული თანხებია. ვსაუბრობ მალხაზ ლონიაშვილზე, ადამიანზე, რომელმაც „თელასის“ პროფკავშირები გაძარცვა და ბაკურიანში რამდენიმე სასტუმრო წამოჭიმა. აგრეთვე, სასტუმროს ფლობს თბილისშიც და ეს პროცესები სევამს რალაც შეკითხვებს. შეიძლება არსებობს რალაც კითხვები, მაგრამ ამ ადამიანისგან ამორალურია ამის მოსმენა, როცა წლების მანძილზე ხმას არ იღებდა. უნდა აღინიშნოს, რომ „თელასის“ ისტორიაში პირველად დაკმაყოფილდა პროფკავშირების მოთხოვნა და იმ ადამიანებს, ვისაც ქიმიურ ნივთიერებებთან აქვთ შეხება, დანამატები გაეზარდათ. ეს ახალი დირექტორის კეთილი ნებაა.

**– როგორ ფიქრობთ, ვინ დგას იმ სქემის უკან, რომელიც მოქმედი გენერალური დირექტორის ჩამოცილებას ისახავს მიზნად?**

– ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ „თელასის“ მოქმედი დირექტორის დისკრედიტაცია მოხდეს. დღეს „თელასში“ ნამდვილად კეთდება საქმე. ნაკლოვანებები ნამდვილად არის და არის გათიშვებიც, მაგრამ ეს განპირობებულია წლების მანძილზე დაგროვილი პრობლემებით. ინვესტიციები, რომელიც 2005 წლიდან 2012 წლამდე განხორციელდა „თელასში“, არ იქნა ეფექტურად განხორციელებული და ბევრი პროექტი განხორციელდა უხარისხოდ. ამის გამოსწორება კი ახლა მიმდინარეობს. რაც მთავარია, საერთაშორისო სტანდარტების

მიხედვით, SAID-SAIF კოეფიციენტებით.

ანუ პირველი გათიშვების ხანგრძლივობა და მეორე ერთეულ დროში გათიშვების რაოდენობა ახასიათებს ენერჯოკომპანიების ეფექტურობას.

ქსელები რომ არ გათიშოს, სჭირდება ინვესტიცია და ეს 2005-2012 წლებთან შედარებით გაუმჯობესებულია.

**– შეგიძლიათ, გვიხსრათ, დღეს რა პრობლემებია „თელასში“?**

– პრობლემები არის, მაგრამ ეს არ არის დაკავშირებული ახალ მენეჯმენტთან. მერნშუნეთ, კომპანია წინ მიდის და ამას ყველა ხედავთ. ის, რომ უამინდობისას უზნები ითიშება, დაკავშირებულია იმ ინვესტიციების არასწორად განხორციელებასთან, რომელიც წლების წინათ ქსელების გაუმჯობესებისთვის ჩაიდო. ახალ დირექტორს დახვდა უამრავი პრობლემა, მათ შორის დებეტური აბონენტები რომელთა დავალიანებაც 100 მილიონზე მეტია და ამ თანხებს ვერ ვიღებთ იმის გამო, რომ განხორციელდა საბოტაჟი კომპანიის წინააღმდეგ, „თელასის“ მოქმედი იურიდიული სამსახურის დირექტორის მხრიდან. ეს არის ერთგვარი სქემა, კერძოდ, დავალიანების ამოღებას თავისი ვადები აქვს. 3 წლის მანძილზე სამართლებრივი პროცესი თუ არ დაიწყო, დავალიანების მქონე აბონენტის წინააღმდეგ ის საქმე და, შესაბამისად, ვალი უკვე ხანდაზმულია. „თელასის“ იურიდიული სამსახურის უმოქმედობის გამო ძალიან დიდი ფინანსური ზარალი მიადგა როგორც კომპანიას, ასევე ბიუჯეტს.

**– ვინ არის იურიდიული სამსახურის უფროსი და რატომ შედიოდა მის ინტერესში ვალების ჩამოწრა?**

– დავით დოიჯაშვილი, ადამიანი, რომელიც გეგმავს საბოტაჟს და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია წინასწარ დაწერილ სქემაში. დოიჯაშვილი ყველაფერს აკეთებს, რომ კომპანიას ზიანი

მიადგეს. მეტიც, ის მონაწილეობს კორუფციულ გარიგებებში და ურიგდება მსხვილი დავალიანების მქონე აბონენტებს. ამ გარიგების შედეგად სამართლებრივ პროცესებს არ იწყებს მათ წინააღმდეგ, რის სანაცვლოდაც იღებს ქრთამს. სამაგიეროდ კი ვალები, რომლებიც კომპანიებს „თელასის“ წინაშე წარმოეშვათ, ხანდაზმული ხდება და ის ჩამოწრას ექვემდებარება. საბოლოო ჯამში კი ზარალდება სახელმწიფო და კომპანია.

**– თქვენი ინფორმაციით, არსებობს თუ არა რეალური სქემა,**

**„ამ ადამიანებმა 8 მილიონი მოიპარეს და ახლა „თელასში“ ბრუნდებიან“**

**რომლის მიხედვითაც მზადდება საბოტაჟი კომპანიის დირექტორის წინააღმდეგ?**

– ზურაბ არსოშვილი ყველას ახსოვს, ალბათ. როცა ის „თელასის“ კომერციულ დირექტორად დაინიშნა, იპოვა სერიოზული დარღვევები და სრულიად დამსახურებულად სამსახურიდან გაუშვა ტოპ-მენეჯმენტის გუნდი. ამ წმენდაში მოყვნი უდანაშაულო ადამიანებიც, რაც იყო უსამართლობა. მაგრამ რაც შეეხება ტოპ-მენეჯმენტს, ეს ხალხი წამდვილად ჰპარავდა ფულს სახელმწიფოს და კომპანიამ, არსოშვილის მიერ ჩატარებული წმენდის შედეგად გა-

ნათავისუფლებული ადამიანების ხარჯზე, 8 მილიონის მოგება ნახა. ეს ის თანხაა, რომელსაც წლების მანძილზე იპარავდა ტოპ-მენეჯმენტი. რა თქმა უნდა, ამ ადამიანებს ჰქონდათ გავლენა, ჰქონდათ ფული და, შესაბამისად, ჰყავდათ ქვედა რგოლებიც, რომლებმაც მაშინ გააპროტესტეს ამ ხალხის განთავისუფლება. ამას დავმთავა ცვლილება ხელისუფლებაში და „თელასიდან“ განთავისუფლებულმა კორუმპირებულმა თანამშრომლებმა მოახერხეს იმდენი, რომ პოლიტიკური დევნილების მანტია მოიცვეს. საუბარია 13 ადამიანზე, რომლებიც უკვე დაბრუნდნენ „თელასში“, მაგრამ ამ 13 ადამიანიდან 7 ნამდვილად დასაჭერია, არათუ თანამდებობაზე აღსადგენი.

**– როგორ დაბრუნდნენ ეს ადამიანები?**

– ამას ხელი შეუწყო ისევე იურიდიული სამსახურის უფროსმა დავით დოიჯაშვილმა. მან მიზანმიმართულად წაიყვანა პროცესი ისე, რომ ეს ადამიანები სასამართლომ აღადგინა თანამდებობებზე. ის, რომ მოსამართლემ დააკმაყოფილა მათი სარჩევები, არის დავით დოიჯაშვილის დამსახურება, ეს კი ერთადერთი მიზანს ემსახურება – აღდგეს ის ძალა „თელასში“, რომელიც მუდმივად წარმოადგენდა კორუფციულ სინდიკატს. როგორც ჩანს, მათ ჩათვალეს, რომ დროა, დაბრუნდნენ და გააგრძელონ ფულის კეთება. ამ ყველაფერს კი სათავეში უდგას „თელასის“ ყოფილი კომერციული დირექტორი დავით ქართველიშვილი და ვინმე ლადო მხელაძე. სწორედ ეს ადამიანები მართავენ პროცესებს. ამ ეტაპზე „თელასში“ მოქმედი იურიდიული დეპარტამენტის დირექტორისა და პროფკავშირების ხელმძღვანელის, მალხაზ ლონიაშვილის დახმარებით ეს ხალხი გეგმავს გააპროტესტებას და ეს უკვე გამოჩნდა, მაგრამ უმძიმეს პროცესების მომსწრე გავხდებით, თუ ამას წინ არ აღუდგება შესაბამისი სტრუქტურები.

**– დავით ქართველიშვილს, რომელიც ყოფილი ფინანსური დირექტორია, რა ინტერესები ამოძრავებს? ის ხომ აღარ მუშაობს „თელასში“?**

– ამ ეტაპზე გარედან მართავს პროცესებს, მაგრამ მისი საქმეც სასამართლოშია და ის ითხოვს თანამდებობაზე აღდგენას, რაზეც არსებობს პრეცედენტი. არის დიდი ალბათობა, რომ „თელასის“ იურიდიული სამსახურის უფროსის ძალისხმევით დავით ქართველიშვილიც დაბრუნდეს თავის თანამდებობაზე და ამის მოლოდინი რეალურად არსებობს.

**– რა ზომებს მიმართავთ „თელასის“ თანამშრომლები ამ გეგმის წინააღმდეგ?**

– ჩვენ ნამდვილად არ ვგეგმავთ, შევეგუოთ ამ ყველაფერს. ძალიან სამწუხაროა, როცა იცი, რომ შენ გვერდით მუშაობენ სისხლის სამართლის დამნაშავეები. ვაცხადებ მთელი პასუხისმგებლობით, რომ „თელასში“ დაბრუნებას გეგმავენ ადამიანები, რომელთა დროსაც ძალიან დიდი ფულის მოპარვას ჰქონდა ადგილი და ეს ფული დღეს ნამდვილად მიდის ბიუჯეტში. ეს არ უნდა დაუშვათ. ვაცხადებ, რომ იმ ცილისმწამებლური კამპანიის, ამ სიბინძურის უკან, რომელიც „თელასის“ მოქმედი დირექტორის წინააღმდეგ ხორციელდება, დგანან ეს ადამიანები. აქვე ვიცყვი იმასაც, რომ, თუ გამოძიებამდე და ბრალდებამდე მივალთ, მაშინ ვნახავთ, ვინ რა დააშავა და ვინ რა გააკეთა. არა მგონია, ორი წლის წინათ დანიშნული სერგეი კობცევის საქმიანობა და ის დაუსაბუთებელი ბრალდებები მოსატანი იყოს იმ უკვდავი და მუდმივმოქმედა ხელმძღვანელების დანაშაულებრივ საქმეებთან, რომელსაც ბატონები ზვიად ვაშაკიძე, მიხეილ ანთაძე და დავით დოიჯაშვილი სწადიოდნენ და სწადიან დღესაც. „თელასის“ მოქმედი თანამშრომლების მიერ მონოპოლიზებული ეს სკანდალური ფაქტები „პრაიმტიმმა“ არსებული ჟურნალისტური სტანდარტებით მოიპოვა.



# „ამ 13 ადამიანიდან 7 ნამდვილად დასაჭერია“

# ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015“-ის ჩატარებას საფრთხე არ ემუქრება

## EXCLUSIVE



**„მათ დაათვალიერეს ყველა ვენიუ და დარწმუნდნენ, რომ ოლიმპიური ფესტივალის ჩატარებას საფრთხე არ ემუქრება. ეს გამოცდა ჩვენმა მშენებლებმა ჩააბარეს“**

**მაგდა კლდიაშვილი**

საქართველოს დედაქალაქში მომხდარი სტიქიური უბედურების გამო, თბილისის დაუგეგმავად ევროპის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები ესტუმრნენ და ოლიმპიური სოფლისა და მშენებარე სპორტული ობიექტების ინსპექტირება განახორციელეს. როგორც გაირკვა, მიუხედავად სტიქიისა, დედაქალაქში დაგეგმილი ყველა მშენებლობა დათქმულ დროში ჩაეტევა, საქართველო კი თბილისის ახალგაზრდულ ფესტივალს ღირსეულად უმასპინძლებს.

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიური კომიტეტში, ამ საკითხთან დაკავშირებით პრეკონფერენცია გაიმართა. იმის გამო, რომ 13 ივნისს განვითარებული მოვლენების გამო საქართველო მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა, ევროპის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლებმა, ბაქოში, პირველ ევროპულ თამაშებზე ვიზიტი შეწყვიტეს და საქართველოში ჩამოსვლა გადაწყვიტეს.

ევროპის ოლიმპიურმა საზოგადოებამ თბილისში მომხდარისადმი

თანადგომა გამოხატა და მწუხარებაც გაიზიარა.

სპეციალური და არაგეგმური ვიზიტით თბილისში ევროპის ოლიმპიური კომიტეტის საკოორდინაციო კომისიის (COCOM) წევრები ჩამოვიდნენ. მათ დაათვალიერეს ქალაქი და მათ შორის, სპორტული ობიექტები. ობიექტების დათვალიერების შემდეგ COCOM-ის წევრებმა არსებული ვითარება ყურნალობით შეაფასეს.

„თბილისი 2015“-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ახვლედიანის განცხადებით, მიუხედავად მომხდარისა, ოლიმპიური ფესტივალის ჩატარებას საფრთხე არ ემუქრება.

**ალექსი ახვლედიანი:** „ეს არ არის დაგეგმილი შეხვედრა. 13 ივნისის სტიქიურმა უბედურებამ ევროპის ქვეყნებში დიდი შეშფოთება და მწუხარება გამოიწვია, ამიტომ ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტის პატრიკ ჰიკის გადამწყვეტილებით, თბილისში საკოორდინაციო კომისიის წევრები ჩამოფრინდნენ. მათ დაათვალიერეს ყველა ვენიუ და დარწმუნდნენ, რომ ოლიმპიური ფესტივალის ჩატარებას საფრთხე არ ემუქრება. ეს გამოცდა ჩვენმა მშენებლებმა ჩააბ-

არეს. თქვენ იცით, რომ ჩოგბურთის კორტები უშუალოდ სტიქიის ზონაში მდებარეობს. ამჟამად ყველა სპორტული არენა პრაქტიკულად დასრულებულია, მონტაჟდება უსაფრთხოების სისტემა“.

ახვლედიანის ინფორმაციითვე, დასრულებულია ოლიმპიური სოფლის მშენებლობა. რაც შეეხება სპორტის ახალ სასახლეს, ისიც დაგეგმილ დროში დასრულდება და გეგმა B-ს განხორციელება საჭირო აღარ გახდება.

საკოორდინაციო კომისიის თავმჯდომარემ, ჯოზეფ ლიბამ მათი ჩამოსვლის მიზეზები განმარტა. როგორც ლიბამ განაცხადა, ბაქოში მათთან ბევრი არასწორი ინფორმაცია ჩაეიდა. მასთან რეკავდნენ მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლები და შეშფოთებას გამოხატავდნენ, თითქოსდა თბილისი წყალში იყო ჩაძირული.

**ჯოზეფ ლიბა, საკოორდინაციო კომისიის თავმჯდომარე:** „ეს არის ექსტრაორდინარული ვიზიტი, რადგან ჩვენ მას არ ვეგეგმავდით. ბაქოში, სადაც ჩვენ ევროპის თამაშებზე ვიმყოფებოდით, გავრცელდა ხმები, თითქოს თბილისი წყალშია ჩაძირული. ჩვენ გუშინ ჩამოვედით და დავრწმუნდით, რომ თქვენი მთ-

**„გაპრცელდა ხმა, თითქოს თბილისი წყალშია ჩაძირული. ჩვენ გუშინ ჩამოვედით და დავრწმუნდით, რომ თქვენი მთავრობა, ხალხი მოპილიზებულია, მიმდინარეობს ალღენითი საუბაროები“**

ავრობა, ხალხი მოპილიზებულია, მიმდინარეობს ალღენითი საუბაროები. ჩვენ შევხვედით პრემიერ-მინისტრს, რომელმაც დაგვამშვიდა და ყოველგვარი მხარდაჭერა გამოგვცხადდა. სასიხარულოა, რომ, ასევე, დროზე ესწრება სპორტის ახალი სასახლე, სადაც ხელბურთის შეჯიბრებები ჩატარდება. ჩვენ დამზიდებულები მივდივართ ბაქოში, რათა რამდენიმე კვირაში თბილისში უკვე ოლიმპიურ ფესტივალზე დავბრუნდეთ“.

საკოორდინაციო კომისიის მენეჯერმა, კატერინა ნიმცოვამ აღნიშნა, რომ „თბილისი 2015“-ს შესანიშნავი გუნდი ჰყავს და მათ ამ რთულ სიტუაციაშიც კარგად გაართვეს თავი სამუშაოს.

**კატერინა ნიმცოვა, საკოორდინაციო კომისიის მენეჯერი:** „საორგანიზაციო კომიტეტს საკმაოდ

რთული ამოცანა აქვს, რადგან სულ ცოტა დრო რჩება. მაგრამ ისინი გრძობენ თითოეული ადამიანის, მედიის მხარდაჭერას. მე მხოლოდ ერთს დავამატებ, „თბილისი 2015“-ს შესანიშნავი გუნდი ჰყავს“.


ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელი, ალექსი ახვლედიანი დარწმუნებულია, რომ ფესტივალი მაღალ დონეზე ჩაივლის, მისი დასრულების შემდეგ კი საქართველო მაღალ შეფასებას მიიღებს.

ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს, თბილისი 26 ივლისიდან 2 აგვისტომდე უმასპინძლებს. მტკიცებით შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ჩატარებას თბილისში საფრთხე არ ემუქრება.





# როგორი გრაფიკით გაითიშება ანალოგური საეთერო სიგნალი საქართველოში?



## ციფრული მაუწყებლობის სააგენტო

2006 წლის ჟენევის ხელშეკრულებით აღებული ვალდებულება საქართველომ 2015 წლის 17 ივნისის თვისთვის წარმატებით შეასრულა. ციფრული მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობის რეფორმის განსახორციელებლად, უკიდურესად შემჭიდროებულ ვადებში, შემდეგი სამუშაოები ჩატარდა:

- აიგო და ექსპლუატაციაში გაეშვა ციფრული მიწისზედა სატელეკომუნიკაციო სიგნალის გავრცელებისთვის საჭირო სრულფასოვანი ქსელური ინფრასტრუქტურა, რის შედეგადაც **2015 წლის მარტიდან, სახელმწიფო მულტიპლექსპლატფორმის საშუალებით, საქართველოს მასშტაბით, წარმატებით ფუნქციონირებს პარალელური (ანალოგური და ციფრული) მაუწყებლობის რეჟიმი ე.წ. სიმულკასტი.**

- სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის მთავრობამ შეიმუშავა სუბსიდირება, რის შედეგადაც 211 000-მდე სოციალურად დაუცველი ოჯახისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ოჯახებისთვის შეისყიდა და უზრუნველყო ციფრული მიწისზედა სიგნალის მიღების სერტიფიცირებული აღჭურვილობა, ე.წ. სეთოფ ბოქსები.

- წარმართა ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია საქართველოში არსებული ყველა მედიასაშუალებების გამოყენებით, რის შედეგადაც მოსახლეობისთვის რეფორმის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია პრესის, ელექტრონული გამოცემების, ტელევიზიისა და რადიოს, ვებ

და სოციალური გვერდების, თითოეული ოჯახისთვის დაბეჭდილი და მინოდებული მრავალენოვანი საცნობარო ბუკლეტებისა თუ ცხელი ხაზის საშუალებით.

დღეს ქვეყანა სრულ მზადყოფნაშია ახალ ტექნოლოგიურ პლატფორმაზე გადასასვლელად, თუმცა საქართველოში განვითარებული სტიქიური მოვლენებისა და შექმნილი ვითარების გამო, ანალოგური საეთერო სიგნალის გათიშვის თარიღი 17 ივნისიდან პირველ ივლისამდე გადავადდა. აღნიშნული გადაწყვეტილებით საქართველო არ დაარღვევს საერთაშორისო ვალდებულებებს, რადგან მეზობელი სახელმწიფოები, მათ შორის, აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი, სხვადასხვა მიზეზების გამო, არ თიშავენ ანალოგურ საეთერო სიგნალს და, შესაბამისად, საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის არ წარმოიქმნება ციფრული სიგნალით გამონეულები. თარიღის გადავადება, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოს კომერციულ მულტიპლექსოპერატორებს, მაუწყებლებს, სამომხმარებლო ტექნიკის იმპორტიორებსა და მოსახლეობას, რომ შედარებით უკეთესად მოემზადონ ანალოგური ტელემაუწყებლობის გათიშვისთვის.

საქართველოში ანალოგური საეთერო ტელემაუწყებლობის გათიშვის გრაფიკი მთავრობამ უკვე დაამტკიცა. გრაფიკის მიხედვით, **2015 წლის პირველ ივლისს, 10:00 საათზე**, ანალოგური სიგნალი გაითიშება თბილისში, საგარეჯოში, კოჯორში, მარნეულსა და

რუსთავეში, აგრეთვე გაითიშება გარდაბნის, მარნეულის, საგარეჯოს, მცხეთის და დუშეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განთავსებული ხელშემშლელი ანალოგური სატელევიზიო გადამცემები.

**9 ივლისს, 10:00 საათზე**, ანალოგური საეთერო სატელევიზიო გადამცემი სადგურები გაითიშება გორში, ბეკამში, დუშეთსა და ხაშურში, აგრეთვე, გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, დუშეთისა და მცხეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განთავსებული ხელშემშლელი ანალოგური სატელევიზიო გადამცემები.

**18 ივლისს, 10:00 საათზე**, მოქმედი ანალოგური მიწისზედა საეთერო სატელევიზიო გადამცემი სადგურები გაითიშება ქუთაისში, ტყიბულში, ცაგერში, ფოთში, ჩოხატაურში, ოზურგეთში, ზესტაფონში, მარტვილში, სამტრედიოში, ხონში, სენაკში, აგრეთვე გაითიშება აბაშის, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თერჯოლის, ლანჩხუთის, მარტვილის, ოზურგეთის, სამტრედიის, სენაკის, ტყიბულის, ქობულეთის, ჩოხატაურის, წყალტუბოს, ხარაგაულის, ხობის და ხონის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განთავსებული ხელშემშლელი ანალოგური სატელევიზიო გადამცემები.

**30 ივლისს, 10:00 საათზე**, ანალოგური მიწისზედა საეთერო სატელევიზიო გადამცემი სადგურები გაითიშება ბათუმში, ხულოში, ქედსა და შუახევში, აგრეთვე, ლანჩხუთის, ოზურგეთის, ქედის, ქობულეთის, შუახევის, ხელვაჩაურის,

ხობისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განთავსებული ხელშემშლელი ანალოგური სატელევიზიო გადამცემები.

**6 აგვისტოს, 10:00 საათზე**, მოქმედი ანალოგური მიწისზედა საეთერო სატელევიზიო გადამცემი სადგურები გაითიშება ზუგდიდში, ნალენჯიხაში, ჩხორონწყუსა და ჯვარში, აგრეთვე გაითიშება ზუგდიდის, მარტვილის, ჩხორონწყუს, ნალენჯიხისა და ხობის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განთავსებული ხელშემშლელი ანალოგური სატელევიზიო გადამცემები.

**18 აგვისტოს, 10:00 საათზე**, ანალოგური საეთერო სატელევიზიო გადამცემი სადგურები გაითიშება ბორჯომში, ბაკურიანში, აბასთუმანში, ახალციხეში, ასპინძაში, ახალქალაქსა და ნინოწმინდაში, აგრეთვე გაითიშება ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განთავსებული ხელშემშლელი ანალოგური სატელევიზიო გადამცემები.

**25 აგვისტოს, 10:00 საათზე**, ანალოგური საეთერო სატელევიზიო გადამცემი სადგურები გაითიშება დმანისში, ბოლნისსა და ნალკაში, ასევე ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულისა და ნალკის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განთავსებული ხელშემშლელი ანალოგური სატელევიზიო გადამცემები.

**25 აგვისტოს, 10:00 საათზე**, მოქმედი ანალოგური მიწისზედა საეთერო სატელევიზიო გადამცემი

სადგურები გაითიშება ყაზბეგში, თიანეთში, ონში, ამბროლაურში, ლენტეხში, მესტიამი, ჭიათურასა და საჩხერეში, აგრეთვე, ამბროლაურის, თიანეთის, ლენტეხის, მესტიის, ონის, საჩხერის, ყაზბეგის, ჭიათურისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განთავსებული ხელშემშლელი ანალოგური სატელევიზიო გადამცემები.

**25 აგვისტოს, 10:00 საათზე**, ანალოგური საეთერო სატელევიზიო გადამცემი სადგურები გაითიშება ცივის მთაზე, სიღნაღში, ყვარელში, ლაგოდეხში, დედოფლისწყაროში, გურჯაანსა და თელავში, აგრეთვე, ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, თიანეთის, ლაგოდეხის, საგარეჯოსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე განთავსებული ხელშემშლელი ანალოგური სატელევიზიო გადამცემები.

მოსახლეობის უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ციფრული მაუწყებლობის სააგენტო კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობასთან დაკავშირებული სიახლეები გადამომხმთ სააგენტოს ვებ ([www.digitaltv.ge](http://www.digitaltv.ge)) და სოციალურ ([www.facebook.com/Digitaltv.ge](http://www.facebook.com/Digitaltv.ge)) გვერდებზე. რეფორმის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება, სხვადასხვა საშუალებებთან ერთად, დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში ასევე შესაძლებელია ცხელი ხაზის (1480) მეშვეობით.

# ლევან ბრიგოლია: „პირდაპირ ვაცხადებ, ბიზნესლიგა პროფესიულ ფეხბურთს ხელს უშლის“

## EXCLUSIVE

„ეროს აკოფოვი ერთ-ერთი საუკეთესო ევროპაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეკარეები არ გვყავს“

მაგდა კლდიაშვილი

ერთ თვეზე მეტია, რაც საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრები ლევან ბრიგოლიამ ჩაიბარა. მწვრთნელმა გუნდი ყოველდღიურ ვარჯიშზე გადაიყვანა, რადგან „იბერია სტარი“ დაიშალა და ნაკრების ფეხბურთელების დიდი ნაწილი ფიზიკურად მოუზადებელია. გრიგოლია პირველია, ვინც სმამალა უპირისპირდება ბიზნეს-ჩემპიონთა ლიგას და მის დამფუძნებელ ზაალ ჩიტაძეს, რომელსაც თავისი ლიგის მონაწილეთათვის აკრძალული აქვს ფუტსალის ჩემპიონატზე გამოსვლა და ნაკრებში თამაში.

– რამ განაპირობა საქართველოს ფუტსალის ნაკრებში მწვრთნელის შეცვლა?

– ალიკ სარქიანიანის გუნდიდან ნასვლა მისი გადამწყვეტილება იყო. მინდა, მაგალითად ვუთხრა მას და ნებისმიერ დროს, კონსულტაციასაც მივიღებ მისგან. ჩვენ დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს და ეს მეგობრობა სხვა კუთხითაც ვაგრძელებ. მან დიდი ხანი იმუშავა „იბერია სტარში“ და მისი გამოცდილება აუცილებლად დაგვეჭირდება. მინდა ავთო ასათიანსაც მაგალითად ვუთხრა და არავინ გამოვტოვო,

ვისაც ნაკრებში უმუშავია. თანამშრომლობის კარი ყველასთვის ღიაა.

– ნაკრებს წინ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ელოდება, როგორ ემზადებით?

– ჯერ ზუსტად ცნობილი არ არის ქვეჯგუფი. ველოდებოდით, რომ რეიტინგში 21-ე ადგილზე დავჯდებოდით, მაგრამ ევროპის გუნდებმა მოახერხეს და რამდენიმე ამხანაგური მატჩი ითამაშეს, რის გამოც, საბოლოოდ 26-ე ადგილზე აღმოვჩნდით და საკვალიფიკაციო ეტაპით მოგვიწევს დაწყება. „იბერია სტარის“ დაშლით რა საშინელება მოხდა, მოგეხსენებათ. ფუტსალის ნაკრების სიის მთავარი ბირთვი სწორედ „იბერია სტარი“ იყო. ამიტომ დღეს ნაკრების აბსოლუტური უმრავლესობა ლეგიონერია. მათი ფიზიკური მომზადების დონით კმაყოფილი არ ვარ, ამას ნაკრები ვერ დაეყრდნობა, ამიტომ მოხდა სპეციალური პროგრამის შედგენა. გაფართოებული შემადგენლობა გამოვიძახებ, სადაც 30 ფეხბურთელი და 7 მეკარეა. მინდორზე მუდმივად არის 16 ფეხბურთელი და 4 მეკარე. წვრთნის პრინციპი არის სპორტის თეორიის მიხედვით. სამეტაპიანი მოსამზადებელი პროგრამა გვაქვს, რომელიც 28-28 დღეს გრძელდება. გრაფიკში რომ ზუსტად ჩავეტიოთ, სწორედ ამიტომ ვაგვხდით იძულებული, ეს ყველაფერი ივინისმი დაგვეწყოს.

– შეკრება და ამხანაგური თამაშები გაქვთ დაგეგმილი?

– შეკრებაც და ამხანაგური თამაშებიც. ორი შეკრება გვექნება, საქართველოში რომელიმე საფეხბურთო ბაზაზე. დისციპლინის მხრივ საქართველო გვჭირდება. აქ მოვახერხებთ ყველაფერს. ფეხბურთის ფედერაცია გვეხმარება.

ასეთი მხარდაჭერა არასდროს ჰქონია ფუტსალს. რაც არ უნდა მოეთხოვოთ მათ, ზვიად სიჭინავა, მუდამ ჩვენ გვერდითაა. პირველი მოსამზადებელი ეტაპის ბოლოს გვექნება ორი ამხანაგური თამაში უზბეკეთში, ბიჭები მიიმედებენ, მაგრამ ეს აუცილებელია. ძლიერი გუნდი ამიტომ ავარჩიეთ. საქართველოს ნაკრებისგან მაღალ შედეგებს ვითხოვთ, საწყისი უზბეკეთის ნაკრებია.

– ნაკრებმა ორი ამხანაგური მატჩი გამართა უზბეკეთსა და პორტუგალიასთან, რომ შეაჯამოთ, რომელ რგოლში უჭირს ყველაზე მეტად გუნდს?

– შეტევა. ჩემი სტილია ეს. ბიჭებსაც ვუთხარი. ყველას თავისი ხედა აქვს ფეხბურთში. ჩემი გემოვნება შეტევაა. ნაგება არავის უყვარს, მაგრამ ღირსეულად უნდა წავაგო. ფეხბურთი მოგებაცაა და წაგებაც, იქით მივდივართ, რომ უმეტესობა მოვიგოთ, ამიტომ შეტევაში უნდა ვითამაშოთ.

– ფუტსალის ნაკრებს მეკარის პრობლემაც ჰქონდა. „იბერია სტარის“ მეკარეს, ეროს აკოფოვს, სომხეთის ნაკრებში აქვს ნათამაშები, ამიტომ საქართველო მას ვერ გამოიყენებს. მოაგვარეთ ეს პრობლემა?

– არ დაგეთანხმებით, ძლიერი მეკარეები გვყავს. ბუკიაც და კეფაშვილიც საკმაოდ გაიზარდნენ. გვყავს ჯაბა ჯანგურია, „იბერია სტარის“ კიდევ ერთი ყოფილი მეკარე, რომელიც ახლა აზერბაიჯანში თამაშობს, და ალარ გვიჭირს. თუმცა, დაგეთანხმებით იმაში, რომ ეროს აკოფოვი ერთ-ერთი საუკეთესო ევროპაში, მაგრამ ეს



იმას არ ნიშნავს, რომ მეკარეები არ გვყავს. მეკარეებისთვის ინდივიდუალური პროგრამა და მათი განვითარების სამუშაო გვაქვს.

– ფუტსალის ნაკრებს არ აქვს ბაზა, მოგვარდება ოდესმე ეს პრობლემა?

– მთავარ მწვრთნელთან ერთად, ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტიც ვარ. შესაბამისად, საორგანიზაციო საკითხებში – ჩახედული. დანახარჯის უდიდესი პროცენტი მოდის დარბაზის დაქირავებაზე. თუ ნაკრებისთვის ბაზა არ ვაკეთებ, წარმოუდგენელია რამეზე საუბარი. ზვიად სიჭინავა ნელ-ნელა ქმნის ინფრასტრუქტურას. რუსთავეში აკადემია შენდება და დაგეგმილია, რომ ფუტსალისთვისაც ამენდეს დარბაზი, რის შემდეგაც ამოიხსნება პრობლემა. ზაზი მინდა გავუსვა ერთ საკითხს, ადრე ფუტსალი და დიდი ფეხბურთი გაუცხოებული იყო ერთმანეთისგან, მუდამ ბრძოლა მიდიოდა. დღეს კი ჩვენ ერთი ოჯახი ვართ და ეს ზვიად სიჭინავას დამსახურებაა. საზოგადოებამ, ვინც ფეხბურთს მართავს, უნდა გაიგოს, რომ შეგვიძლია, ფუტსალიდან ვარსკვლავები მივანოდოთ მათ. „საბურთალოს“ სკოლიდან 15 წლის ფეხბურთელს, გიორგი ჯინჯოლაძეს გამოვუძახებთ, ვიმუშავებთ მასთან და დავეხმარებით, რომ ფუტსალის გამოცდილებითა და ცოდნით დიდი ფეხბურთი ითამაშოს. ჩვენ შეგვიძლია მათ დიდი სარგებლობა მოვუტანოთ.

– ეროვნული ნაკრები სამეგრელოს ნაკრებს დაუპირისპირდა.

გაჩნდა მოსაზრებები, რომ ფუტსალი სეპარატიზმს აღვივებს. როგორ უპასუხებთ ამ ბრალდებას?

– სამეგრელოს რეგიონის ნაკრებთან მესამე ამხანაგური მატჩი იყო, მანამდე სამცხესა და აჭარის რეგიონებს ვეთამაშეთ. ჩვენ ჩავაქვეს ფუტსალი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. ექსპერიმენტული ნაკრები დაგვყავს იქ, სადაც დარბაზები, რომ ხალხს სანახაობა ვაჩვენოთ. თუ პირამიდის პრინციპით არ დავიწყეთ საქმის განვითარება, როგორ გავაკეთოთ, მითხაროთ. მთელი ბრალია ამ სისტემით მუშაობს, ჩემპიონატი აქვთ ასე აწყობილი, ასე ვატარებთ საქართველოს თასს. ფუტსალის განვითარების ერთ-ერთი დეტალია რეგიონული ნაკრებების შექმნა. სამეგრელოს ნაკრები არ არის ყველაზე ძლიერი ნაკრები, უნდა დავეხმაროთ იქ, სადაც ეს სჭირდება. ჩავიდეთ მწვრთნელები და კონსულტაციები გავუწიოთ ადგილზე ადგილობრივ კადრებს. ყველაფერი აქ იკრებება, თბილისში, და არაფერი ხდება, ვერ ვითარდება. ბიზნესლიგა პროფესიულ ფუტსალს ხელს უშლის. პირდაპირ ვაცხადებ ამას. ხელს უშლის, რადგან ფეხბურთელები ვერ მოგვყავს. იმის მაგიერ, რომ ბიზნესის ფულით მოჰქონდეს და კლუბებს ქმნიდეს, მინდა და თვითონ ერთობა, როდესაც ბიზნესი მუნიციპალურ კლუბებსა და ძველ სკოლებში ანგრევს ყველაფერს და აშენებს შენობებს. ამას დამატება ის, რომ ახლა ბიზნესი დარბაზში ერთობა ორგანიზებულია.

„ადრე ფუტსალი და დიდი ფეხბურთი გაუცხოებული იყო ერთმანეთისგან, მუდამ ბრძოლა მიდიოდა. დღეს კი ჩვენ ერთი ოჯახი ვართ და ეს ზვიად სიჭინავას დამსახურებაა“



# უეფას ბოლო ინსპექტირება თბილისში და სუპერთასის მოლოდინში

EXCLUSIVE

2015

**დავით ნარმანია:** „ჩემთვის, როგორც თბილისის მერისთვის და ამ ქვეყნის რიგითი მოქალაქისთვის, უაღრესად მნიშვნელოვანია ის მოვლენა, რასაც აგვისტოში ვუმასპინძლებთ. ბევრი ქალაქის მერი ინატრებდა ამ ღონისძიებას, ამიტომაც ბედნიერი ვარ, თბილისში ევროპის სუპერთასი ჩემი მერობის დროს რომ ტარდება“



**მაცადა კლდიაშვილი**

საქართველოს დედაქალაქი 11 აგვისტოს დიდ ფეხბურთს უმასპინძლებს. სუპერთასისთვის ბრძოლაში ერთმანეთს ორი ესპანური გრანდი, ჩემპიონთა ლიგის მფლობელი „ბარსელონა“ და ევროპალიგის გამარჯვებული „სევილია“ დაუპირისპირდებიან. სუპერთასისთვის, უეფას დელეგაციამ, მოსამზადებელი სამუშაოების ბოლო ინსპექტირება ჩაატარა, შემდეგ კი სუპერთასში მონაწილე გუნდების წარმომადგენლებთან ერთად სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიაში“ ერთობლივი პრესკონფერენცია გაიმართა.

პრესკონფერენციაზე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან, უეფას „ბარსელონასა“ და „სევილიას“ წარმომადგენლებთან

ერთად, თბილისის მერი, დავით ნარმანიაც ესწრებოდა.

სუპერთასს „დინამო არენა“ მასპინძლობს. სტადიონის სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის კი თანხებს დედაქალაქის მერია და ცენტრალური ბიუჯეტი ხარჯავს. სულ, ეს სამუშაოები 20 მილიონი ლარი ჯდება. აქედან, 14 მილიონს, სწორედ დედაქალაქის მერია ხარჯავს, ნ-ს კი - ცენტრალური ბიუჯეტი. თბილისის მერიას სპეციალური დოკუმენტზეც აქვს ხელი მოწერილი, ამიტომ ქალაქის ხელმძღვანელებთან ერთად, სუპერთასისთვის მოსამზადებელ სამუშაოებში აქტიურად არის ჩართული.

დავით ნარმანია იმით ამაყობს, რომ სწორედ მისი მმართველობის პერიოდში უწევს ქვეყნის დედაქალაქს ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების მასპინძლობა.

**დავით ნარმანია:**

- მივესალმები თბილისში ჩამოსულ სტუმრებს. ჩემთვის, როგორც თბილისის მერისთვის და ამ ქვეყნის რიგითი მოქალაქისთვის, უაღრესად მნიშვნელოვანია ის მოვლენა, რასაც აგვისტოში ვუმასპინძლებთ. ბევრი ქალაქის მერი ინატრებდა ამ ღონისძიებას, ამიტომაც ბედნიერი ვარ, თბილისში ევროპის სუპერთასი ჩემი მერობის დროს რომ ტარდება. უკვე დიდი ხანია, შეიქმნა სპეციალური სახელმწიფო კომისია, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად სრული ძალისხმევით მუშაობს ამ ღონისძიების მაღალ დონეზე ჩასატარებლად. გპირდებით, საამისოდ ძალებს არ დავიშურებთ. ღირსეული დახვედრა და მასპინძლობა ჩვენზეა, კარგი თამა-

ში და სანახაობა კი „ბარსელონასა“ და „სევილიაზე“.

თბილისის მერის ინფორმაციით, სტადიონის სამუშაოები ახლა ბოლო სტადიაზეა. მონტაჟდება ინდივიდუალური სკამები, სხვა ყველა საქმე კი, ფაქტობრივად, დამთავრებულია.

**დავით ნარმანია:**

- დამონტაჟდა ტურნიკები, ახალი განათება, განმარტების სისტემა. ჩატარდა კონსტრუქციის გამაგრებითი სამუშაოები, დამონტაჟდა ალტერნატიული ელექტროკვების სისტემა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ზვიად სიჭინავამ ყურადღება უსაფრთხოებაზე გაამახვილა. როგორც სფფ-ს პრეზიდენტი ამბობს, აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობს უეფასთან, რომელიც სტიქარდების მომზადებაში მათ დახმარებას უწევს.

**ზვიად სიჭინავა:**

- ვამზადებთ 400-ზე მეტ სტიქარდს, 11 აგვისტოს მატჩზე დაგვემარტებინ სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული გამოცდილი სტიქარდებიც. ერთი სიტყვით, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ გერმანიის ნაკრების ვარჯიშზე მომხდარი ფაქტი არ განმეორდეს, ან მსგავსი რამ არ მოხდეს.

სუპერთასში მონაწილე კლუბების წარმომადგენლები კმაყოფილები არიან მიმდინარე სამუშაო პროცესებით. „ბარსელონას“ წარმომადგენელმა, რამონ პუიოლმა აღნიშნა, რომ „დინამო არენას“ სახით, ქვეყანას დიდი სპორტული ობიექტი შეემატება.

„სევილიას“ წარმომადგენელი, ხოსე მარია კრუსი კი უფრო სიტყვაუხვი აღმოჩნდა. მან თბილისის „დინამო“ და ვიტალი დარასელიაც გაიხსენა. საქართველოს კი დედაქალაქში მომხდარი სტიქიური უბედურების გამო მიუსამიძრა.

სუპერთასზე დასასწრები ბილეთები ელექტრონულად გაიყ-



**„ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ გერმანიის ნაკრების ვარჯიშზე მომხდარი ფაქტი არ განმეორდეს, ან მსგავსი რამ არ მოხდეს“**



იდება. უეფამ, [biletebi.ge](http://biletebi.ge)-სთან კონტრაქტი გააფორმა, რომელშიც ევროპული ფეხბურთის მმართველო ორგანიზაციისგან 45 ათას ევროს მიიღებს, რათა ბილეთებზე ფასის ზრდა არ მოხდეს. 31 ათასი ბილეთი ქართველი გულშემატკივრისთვის არის გათვალისწინებული, 2700-2700 კი - მონაწილე გუნდების ფანებისთვის.

**ზვიად სიჭინავა:**

- [biletebi.ge](http://biletebi.ge)-ს 31 ათასი ბილეთის ექსკლუზიურად გაყიდვის უფლება აქვს - ქართველ გულშემატკივარზე. „ბარსელონასა“ და „სევილიას“ ქომაგებზე კი 2700-2700 ბილეთია გამოყოფილი. აქედან, გაუყიდავი ბილეთები ჩვენს განკარგულებაში გადმოვა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უფლება ექნება, ისინი კორპორატიულად და არალიმიტირებულად გაყიდოს.

კლუბები საქართველოში 9 აგვისტოს ჩამოვლენ. ცნობილია, რომ კატალონიელები „მარიოტში“ დაბინავდებიან და „მიხეილ მესხ-

ზე“ ივარჯიშებენ იმავე დღეს. სევილიელები კი „ჰოლიდეი ინს“-ში დაბინავდებიან და 9 აგვისტოს თბილისის „დინამოს“ ბაზაზე ჩაატარებენ სანვრთელ პროცესს.

რამდენიმე დღეში, საქართველოში ჩემპიონთა ლიგის, ევროპის ლიგის და სუპერთასები მოგზაურობას დაიწყებენ. სამივე თასი მთელ საქართველოს მოივლის. მოგზაურობა ქართული ფეხბურთის აკვანში, ფოთში დაიწყება. ზუსტი მარშრუტი უცნობია, მაგრამ ცნობილია ის, რომ ქვეყნის ცამეტზე რეგიონში ჩავა ეს ტიტულოვანი თასები. თასების მოგზაურობა დედაქალაქში დასრულდება.

სუპერთასზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა ორშაბათს, დილის 9 საათიდან დაიწყება. ერთ რეგისტრირებულ მომხმარებელს, საკუთარი პასპორტით, მხოლოდ 4 ბილეთის ყიდვა შეეძლება.

მატჩზე დასასწრები ბილეთები 7, 15 და 30 ევრო(ეკვივალენტით ლარში) ელირება.



ხილი და ბოსტნეული - ვიტამინების და მიკროელემენტების წყაროა, რომელიც საჭიროა, რომ ყოველდღიურად მივიღოთ. მაგრამ ის, რასაც ჩვენ მაღაზიებსა თუ საკომლ-ეურნეო ბაზრებში ვყიდულობთ, გაჯერებულია პესტიციდებითა და ქიმიკატებით. შენამოული ხილისა და ბოსტნეულის მავნე ნივთიერებებისგან სრულად გა-

თავისუფლება ძალიან რთულია, თუმცა არსებობს გზა, როგორ შევამციროთ მათში ქიმიკატები. ზოგადად, პესტიციდების ძირითადი რაოდენობა თავს იყრის ხილის და ბოსტნეულის გარსზე. ამიტომ, ყიდვისთანავე, ის კარგად უნდა გავრეცხოთ და როგორც ცნობილი დიეტოლოგი გეილ აღემანი გვიჩვენებს, რამდენიმე წუთით მოვათავსოთ ვაშლის

ძმრის ხსნარში. ხსნარი კი ასეთი პროპორციით უნდა მომზადდეს 10:1, ანუ ათი ჭიქა წყალს უნდა დავუმატოთ ერთი ჭიქა ძმარი. ხსნარში გატარებული ხილი და ბოსტნეული კიდევ ერთხელ უნდა გავრეცხოთ და მხოლოდ ამის შემდეგ მივირთვათ. აქვე დავაზუსტებთ, რომ ეს მეთოდი არ გამოიყენება კენკროვან ხილზე, რადგან მათ თხელი გარსი აქვთ.

**რა შეიძლება გავაკეთოთ მარტივად, ძველი საბურავებისგან**  
 თუ თქვენს ავტოფარეში ძველი საბურავები გიყრიათ, ნუ იჩქარებთ მათ გადაყრას, რადგან შესაძლოა, ამ გამოუსადეგარი ნივთიდან, ლამაზი დეკორაცია შექმნათ. მთავარია ფანტაზია და შექმნის სურვილი. ჩვენ რამდენიმე მაგალითს შემოგთავაზებთ, რომლებიც ვფიქრობთ, მოგეწონებათ.



**პრეატივი თქვენი აბარაკისთვის**

თუ თქვენს ეზოში მოჭრილი ხეა და ეზოს ვიზუალს აფუჭებს, უბრალოდ, „გააცოცხლეთ“ ის. თუ როგორ, ამას ფოტოებით მიხვდებით.



**გააცოცხლეთ მოჭრილი ხეები**



*წინაპირობები*

**ხილი და ბოსტნეული**

თუ მშენებლობა დაასრულეთ და სამშენებლო მასალა მოგრჩათ, კერძოდ კი ბეტონის ბლოკები, მაშინვე შეუდექით საქმეს და მათ ახალი დანიშნულება შესძინეთ. მაგალითად შეგიძლიათ გამოიყენოთ ეზოს ყვავილების ქოთნებად.



**ბეტონი ინტერიერში**



*წინაპირობები*

# ზარანდიების ტრაგედია - ინდირას კისკისი მისგან სკოლის დერეფანებში

**my View**  
ნიმუ მკვლევარი

13 ივნისის ღამეს ინდირა და ლიზი ზარანდიები შეყვარებულბო-  
თან ერთად რესტორნიდან გამოვი-  
დნენ. ინდირას შეყვარებული სხვა  
მიმართულებით მიდიოდა და მე-  
გობრებს დაემშვიდობა. დანარჩენ-  
ებმა მარჯანიშვილის მეტროსთან  
ტაქსი გააჩერეს და სახლში ბრუნ-  
დებოდნენ... წვიმდა... პირველის 28  
წუთზე გმირთა მოედნიდან ინდირა  
შეყვარებულს ტელეფონით ელ-  
აპარაკა. ამ წუთიდან მათი კვალი  
ქრება...

22 წლის ინდირა მამულებმა „მზ-  
იურის“ ტერიტორიაზე იპოვნეს, 25  
წლის ლიზი დის დაკრძალვამდე ორი  
დღით ადრე აღმოაჩინეს ზოოპარკის  
ტერიტორიაზე...

20 ივნისს დები ზარანდიები მშ-  
ობლოურ ხობში დაკრძალეს. უამრ-  
ავმა ადამიანმა დაიტირა ეს ხალასი  
გოგონები.

**ჯაბა თოლორდავა (მეგობარი):**

- ძალიან რთულია სიტყვებით ახ-  
სნა, როგორი წესიერი ბავშვები იყენ-  
ენ ლიზა და ინდირა. სწავლაზე ორიენ-  
ტირებული, პატიოსანი გოგონე-  
ბი. მთელი ოჯახი წავიდა თბილისში,  
რომ გოგონებს ესწავლათ. დედამისი  
გარემოვაჭრე იყო, ასე წვალეებით  
ახერხებდა შვილებისთვის ცოდნა  
მიეცა. ლიზის ოცნება იყო თეთრი  
ხალათი ჩაცვა. ერთი პერიოდი სტ-  
უდენტულაქმი ერთად ვცხოვრობდით.  
ინდირა რადიო „საქართველოს ხმ-  
აში“ მუშაობდა, ნამყვანი იყო, ლი-  
ზი მარნეულში, სტომატოლოგიურ  
კლინიკაში. ერთი წელია გოგონებმა  
მუშაობა დაიწყეს და შობლებს შე-  
ეშველნენ. როგორც იტყვიან, სული  
მოითქვს და უბედურებაც დაატყდ-  
ათ თავს...

**- დიდი ხანია რაც ხობიდან წა-  
ვიდნენ?**

- სამუდამოდ არ წასულან, უბრა-  
ლოდ, შვილებთან არჩიეს ყოფნა. ნ  
წლის წინ, როცა ლიზი სტუდ-  
ენტი გახდა, ბინა იქირავ-  
ეს და დაიწყო სწავლა, გაჭირვებით ასწავლეს  
შვილებს.

**- მშობლები, ალ-  
ბათი, მძიმე მდგომარეობაში არიან...**

- ხელით დაგვ-  
ყავს ორივე. წარმ-  
ოიდგინეთ, ეს ორი  
ანგელოზივით გოგო  
მაცივარში ასვენია, რო-  
გორ უნდა იყვნენ მათი მშ-  
ობლები... დიაზეპამზე გვყავს,  
საშინელ მდგომარეობაში არიან,  
წამლებს ვასმევთ, რომ დაიძინონ,  
გაუძლონ ამ ყველაფერს... ჩვენ-  
თან ასეთი წესია, მეშვიდე დღეს  
ასაფლავებენ მიცვალებულს. ამ  
შემთხვევაში ისედაც არ აპირებდა  
დედა ინდირას დაკრძალვას, სანამ  
ლიზის არ იპოვნიდნენ, ამბობდა,  
ერთი თვეც რომ გავიდეს, ლიზის  
თუ არ ვიპოვნით, არ დავასაფლ-  
ავებ ინდირასო. ლიზი ისეთ მდგო-  
მარეობაში მოგვიყვანეს, არც გა-  
ვიხსნია მიცვალებული... დღემი  
რამდენჯერმე გვიწევს სასწრაფოს  
გამოძახება, დღესაც გოგონების  
ბიძა გახდა შეუძლოდ, ძვლივს მო-  
ვასულიერეთ.

**„ლიზი ისეთ  
მდგომარეობაში  
მოგვიყვანეს,  
მიცვალებული არც  
გავიხსნია“**

**ქეთი გაბისი-  
ანი (სკოლის დი-  
რექტორი):**

- 2007 წლიდან  
იმ სკოლის დირექტ-  
ორი ვარ, რომელიც დე-  
დროს უფროს დას, ლიზის უკვე და-  
მთავრებული ჰქონდა სკოლა. ინდი-  
რას რაც შეეხება, მასზე უსასრულოდ  
შემიძლია საუბარი. ფანტასტიური  
ბავშვი იყო, არაჩვეულებრივი, მოსწ-  
ავლე, კარგი თვისებებით, შინაგანი  
კულტურით, განათლებით. მასწავლე-  
ბლები უფროს დაზეც იგივეს ამბო-  
ბენ. მზიარული და პოზიტიური იყო  
ინდირა, ვერასდროს იგრძობოდა, რა-  
მე თუ აწუხებდა, რაიმე პრობლემა თუ  
ჰქონდა. ერთ-ერთი მასწავლებელი,  
ხათუნა გერგაია, სოციალურ ქსელში  
წერდა, ეს ბავშვები ორი მზე იყვნენო.  
მართლა მზეები იყვნენ, ანათებდნენ,  
ათბობდნენ ირგვლივ გარშემოყო-  
ფებს, არაჩვეულებრივ სიტუაციას,

**„არ აპირებდა  
დედა ინდირას  
დაკრძალვას,  
სანამ ლიზის  
არ იპოვნიდნენ,  
ამბობდა, ერთი  
თვეც რომ გავიდას,  
ლიზის თუ არ  
ვიპოვნით, არ  
დავასაფლავებ  
ინდირასო“**

განწყობას უქმნიდნენ.  
ინდირას ფეხები სტკიოდა, ბავშ-  
ვობიდან მენჯების პრობლემა ჰქონ-  
და. დედამ ძალიან ბევრი იბრძოლა  
ამ პრობლემისთვის, რომ ინდირას კე-  
ლაე გაეცლო. გოგონამ რამდენიმე ოპ-  
ერაცია გადაიტანა. მაღალ კლასებში



**„მართლა მზეები იყვნენ, ანათებდნენ, ათბობდნენ ირგვლივ  
გარშემოყოფიანს, არაჩვეულებრივ სიტუაციას, განწყობას უქმნიდნენ“**

**„ერთი წელია გოგონებმა მუშაობა დაიწყეს და  
შობლებს შეეშველნენ. როგორც იტყვიან, სული  
მოითქვს და უბედურებაც დაატყდათ თავს...“**



**„ეს ორი  
ანგელოზივით გოგო  
მაცივარში ასვენია,  
როგორ უნდა იყვნენ  
მათი მშობლები...  
დიაზეპამზე  
გვყავს, საშინელ  
მდგომარეობაში  
არიან, წამლებს  
ვასმევთ, რომ  
დაიძინონ, გაუძლონ  
ამ ყველაფერს...“**

**„ინდირა სუბროვით ავბოვდა,  
მის მსოფლიო უნდა გავხსნაო“**

**„თითქოს ასე  
დაეშვიდებოდნენ  
სკოლას... არ  
ვიცი რა ვთქვა,  
ინდირას კისკისი  
მისგან სკოლის  
დერეფანებში“**

- სოციალური ქსელით გავიგე ინ-  
დირასა და ლიზის ამბავი. დღემდე არ  
მჯერა, სიზმარში მგონია თავი. ჩვენ  
ერთად გავიზარდეთ. ინდირას მოწყ-  
ენილს ვერ ნახავდი, სულ იცინოდა,  
სიცოცხლით სავსე იყო, ლიზა შედარ-  
ებით დინჯი იყო. ორივეს ჰქონდა,  
მინზები, ოცნებები, რომლის ფეისბუქსტა-  
ტუსმა მთელი საქართველო შეძრა.  
ანა (დები ზარანდიების მამიდა-  
შვილი):

- რა იყო ინდირას მიზანი?  
- ხუმრობით ამბობდა, მის მსოფ-  
ლიო უნდა გავხსნო. სერიოზული  
მიზანს რაც შეეხება, ცნობილი, წარმ-  
ატებული, საუკეთესო ქალი უნდოდა  
გამხდარიყო, რომ ყველას ეამაყა მი-  
სით. ინდირა 4 ივლისს 23 წლის გახდ-  
ებოდა...  
- როგორ არის ინდირას შეყვარ-  
ებული?  
- მოკშია და ეს ბუნებრივიცაა. უყ-  
ვარს და ტირის. გვერდიდან არ მოშო-  
რებია ცხედარს.  
- ლიზაზე რისი თქმა შეგიძლია?  
- ლიზა, ყოველთვის შემდგარი,  
ჩამოყალიბებული პიროვნება იყო.  
განონასწორებული, დიდი ადამიანის  
შთაბეჭდილებას ტოვებდა ბავშვობა-  
შიც კი. სწავლაზე ორიენტირებული,  
სულ კითხულობდა, ახლის ძიებაში  
იყო მუდამ.



**„დღემი რამდენჯერმე გვიწევს სასწრაფოს  
გამოძახება, დღესაც გოგონების ბიძა გახდა  
შეუძლოდ, ძვლივს მოვასულიერეთ“**



# “ლოპი ეკოლოგიური კატასტროფები გახშირდება”



## ბიძგბი ბარბილაძე: „აღამიანი ფულს თუ გადაიხდიდა, ეროვნულ პარკში ხანძრის გარენისთვისაც კი არ დასჯიდნენ“



**EXCLUSIVE**

ნში შეიტანეს ცვლილება, რომელსაც ერქვა შეთანხმება გარემოს დაცვის სფეროში. ეს ცვლილება სრულიად წარმოუდგენელ რამეს ითვალისწინებდა. კერძოდ, ადამიანს, რომელიც წინასწარ ფულს გადაიხდის, შეეძლო ნებისმიერი ქმედება დაუსჯელად ჩადინა. ფულს თუ გადაიხდიდა, ეროვნულ პარკში ხანძრის გაჩენისთვისაც კი არ დასჯიდნენ. აღარ ვლამაზობ ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებულ საკითხებზე და ნათელ წიგნში შეტანილი ცხოველების მკვლელობაზე. ამით, ფაქტობრივად, ეკოლოგიური კატასტროფებისთვის განიჭეს მიწის საქართველო. ეს იყო სრულიად წარმოუდგენელი და მწარე რეალობა, ამიტომ 2012 წელს საკონსტიტუციო სასამართლოში პირადად შევიტანე სარჩელი და დავასაბუთე, რომ ეს ცვლილება თავიდან ბოლომდე ენაშაღმდეგებოდა კონსტიტუციის 37-ე მუხლს, რომელშიც ჩვენი ინიციატივით წერია, რომ ყველა ადამიანს აქვს უფლება, იცხოვროს მისი ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში. საკონსტიტუციო სასამართლომ სრულიად სამართლიანად ჩათვალა, რომ კანონში შეტანილი ცვლილება ენაშაღმდეგებოდა ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებს და გააუქმა, როგორც ანტიკონსტიტუციური. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ წინა ხელისუფლების ულტრალიბერალური იდეოლოგია დანაშაულებრივია. ჩვენ კიდევ არ ვიცით, ამ იდეოლოგიისა და წინა ხელისუფლების სისტემური დანაშაულის შედეგად, კიდევ რამდენი უბედურება დაგვხვდება წინ. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ „დანაღმული“ ქვეყანა დაგვიტოვა და კიდევ სად, რომელი „ნალი“ აფეთქდება, არ ვიცით.

– თუმცა, ვიცე-პრემიერმა კახი კალაძემ განაცხადა, რომ მომხდარ უბედურებაში ყოფილი ხელისუფლების დანაშაულს ვერ ხედავს.

– მე წავიკითხე ეს ინტერვიუ და მართალი გითხრათ, გამიკვირდა. როგორც ვიცი, ამასთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და როცა ყველა ფაქტი დაიდება, იმედი მაქვს, რომ კახი კალაძე შეიძლება პოზიციას.

– ბატონო გიორგი, ერთ-ერთი ვერსიით, სტიქიური უბედურება კახეთში სტყევის სანაღმდეგო რეაქტივების გასროლამ გამოიწვია. ამაზე რას გვეტყვი?

– გამოიკვლია. მე მარტო „მწვანეთა პარტიის“ ლიდერი ვი არა, მეცნიერებათა დოქტორიც ვარ. გივი სვანიძე, რომლის სახელობის ქუჩაზეც ტრაგედია მოხდა, ჩემი მასწავლებელი და იმ ინსტიტუტის ხელმძღვანელი იყო, რომელიც ვმუშაობდი. ის ვახლდათ უაღრესად დიდი მეცნიერი და მის ინსტიტუტში იყო უზარმაზარი განყოფილება, რომელიც სწორედ ღრუბლებზე ზემოქმედების პროცესებს სწავლობდა. ღრუბლებზე ზემოქმედების პროცესების პრინციპი ყველანაირად გამორიცხავს მათ სადმე გადაადგილებას. წარმოიდგინეთ ღრუბლის მასშტაბი. ეს არის უზარმაზარი წარმონაქმნი, რომლის სიმაღლე შეიძლება კილომეტრს და მეტრსაც აღწევდეს. როგორც სპეციალისტი, გეუბნებით, რომ მისი ადგილიდან დაქვრავა შეუძლებელია. ღრუბლებზე აქტიური ზემოქმედების მიზანია, რომ რეაგენტი, რომელიც სროლების შედეგად შეაქვთ ან თვითმფრინავის დახმარებით აყრიან, ყინულის კრისტალების წარმოქმნას შეუძლოს ხელი და მის მაგივრად, იმავე ადგილას ნალექი წარმოქმნას.

– თქვენი აზრით, ეკოლოგიური კატასტროფის შემდეგ, ემუქრება

თუ არა საფრთხე ვერც ხეობასა და მზიურის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული მრავალსართულიანი კორპუსების მდგრადობას?

– საქართველოში 1997 წლიდან მოქმედებს ჩემ მიერ შექმნილი კანონი ნყლის შესახებ. რა თქმა უნდა, ეს კანონი გამოიგნეს და სამინისტროები დამართეს, მაგრამ იქ მანაც დარჩა მუხლი, რომელსაც წყლის დაცვითი ზონები ჰქვია. ამ მუხლში განვირეილა, რა დამორებით შეიძლება მდინარეების ნაპირებზე მშენებლობა თუ სხვა ტიპის საქმიანობა.

– ამათ, ფაქტობრივად, ეკოლოგიური კატასტროფებისთვის განიჭეს მთელი საქართველო“

ეს დაცვითი ზონები სხვადასხვა მდინარეებზე სხვადასხვაა. ვერც შემთხვევაში, ნაპირებიდან 30 მეტრის დამორებით, არავითარი სამეურნეო საქმიანობა (გარდა ჰიდროტექნიკური მშენებლობისა) არ შეიძლება და ამას კანონი პირდაპირ კრძალავს. ეს მუხლი დღესაც მოქმედია, ამდენად, ყველა ნაგებობა, რომელიც მდინარე ვერედან 30 მეტრზე ახლოს მდებარეობს, კანონდარღვევითაა აშენებული. გარდა ამისა, არსებობს კანონი სამშენებლო საქმიანობის შესახებ და იქ მთავრობის დადგენილებით განვირეილა რა პროცედურები უნდა გაიაროს მშენებლობებმა. ვერც ხეობაში მიმდინარე მშენებლობების შემთხვევაში ესეც დარღვეულია, იმიტომ, რომ თავად მშენებელი აცხადებდა, თან ვაშენებდით და თან ვაპროექტებდით. როგორ შეიძლება, რომ პროექტს მთლიანობაში არ ჩატარებოდა ექსპერტიზა? ამიტომ ვამბობ, რომ სისტემა მთლიანად უნდა გასამართლდეს, როგორც დანაშაულებრივი და ქვეყნისთვის ზიანის მომტ-

ანი. საუბრის ბოლოს გეტყვით, რომ სამწუხაროდ, საქართველოში ეკოლოგიური კატასტროფები გახშირდება და ეს დაკავშირებულია გლობალურ დათბობასთან. გლობალური დათბობა იწვევს კლიმატის ცვლილებებს, რაც ყველაზე მტკივნეულად აისახება მთიან რეგიონებში. მაგალითისთვის გეტყვით, რომ აღმოსავლეთ საქართველოში არსებული მონაცემებით, ნალექების ინტენსივობა გაზრდილია 6-7%-ით და ჰაერის საშუალო ტემპერატურა გაზრდილია 0,6 გრადუსით. მომატებულია ქარიშხლების რაოდენობა და ა.შ. არ გეგონოთ, რომ ეს უმნიშვნელო ზრდაა, ეს საკმაოდ დიდი ციფრებია. ეს ყველაფერი ხელს უწყობს მენყურული და ლვარცოფული პროცესების წარმოქმნას და გააქტიურებას. ვინაიდან ეს ყველაფერი ადამიანების სიცოცხლესთან და უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული, გარემოს დაცვითი და სამშენებლო კანონმდებლობა ამასთან უნდა იყოს მიბმული. ამჟამად ეს ყველაზე მთავარია.



# „პრაიმტიმის“

## სალომე ჩადუნელი

„პრაიმტიმის“ ინიციატივით, ქარდავების ოჯახი იმ მაშველებს შეხვდა, რომლებმაც ისინი სიკვდილისგან იხსნეს. მათ ერთად გაიხსენეს სტიქიის ღამე და სამაშველო ოპერაციის მიმდინარეობა.

წყალდიდობის ღამეს წყლით დაფარული სახლიდან ოჯახი მაშველების ხუთკაციანმა ჯგუფმა გამოიყვანა. ირაკლი მაისურაძე პირველი იყო, ვინც სახლში შევიდა და მაშველებთან: სანდრო არემიძესთან, თორნიკე ხუციშვილთან, ემზარ გოგავასთან და სერგო სადუნიშვილთან ერთად ექვსი ადამიანი და ოჯახის ძალი სტიქიის ზონიდან გამოიყვანა. ირაკლი მაისურაძემ, მტაცებლის სალიკვიდაციო ოპერაციაზე ყოფნის გამო, შემდეგში ოჯახის მონახულება ვერ მოახერხა.

დაზარალებულები წყნეთისხევის დასახლებაში, მდინარე ვერეს ნაპირს ცხოვრობდნენ. დევნილები არიან, აფხაზეთიდან წამოსვლის შემდეგ მინა შეიძინეს და სახლი ააშენეს. „ვერეს ხეობა აფხაზეთს მაგონებსო“, – ამბობს ჩვენთან საუბარში გულნაზ ქარდავა. დანაკარგს სიმშვიდით ხვდებიან, მთავარია, ცოცხლები გადავრჩითო.

მარინე გერგედავას თქმით, სახლში ცხოვრება შეუძლებელია, ყველაფერი დაკარგეს. მთავრობა უპირდებათ, რომ სასტუმროდან გასვლის შემდეგ, ბინის ქირით უზრუნველყოფს ოჯახს და შემდეგ ზარალის კომპენსირებასაც მოახდენს.

## გულნაზ ქარდავა:

– მე გახლავართ გულნაზ ქარდავა სოხუმიდან. ამჟამად ვცხოვრობდი თბილისში, წყნეთისხევის #60-ში. როდესაც ვერე დიდებოდა, კი, მდინარე კალაპოტიდან გადმოდიოდა ხოლმე, მაგრამ ის, რაც 13-ში მოხდა, საშინელებაა. ასე ჯერ არ ადიდებულა ვერე. ადიდებული ვერე სახლის სარდაფებს ტბორავდა ხოლმე, მაგრამ ასეთი საგანგაშო არაფერი ყოფილა ადრე. და როდესაც 13-ში ვერე გადმოვიდა, გვეგონა, მხოლოდ მცირედით დატბორავდა ეზოებს და სახლში დარჩენა გადავწყვიტეთ. ვინც ნაპირთან ახლოს ცხოვრობდა, ის ოჯახები გაერიდნენ და წავიდნენ. ჩვენ კი ამ განსაცდელის პირისპირ დავრჩით. იმედი გვექონდა, რომ სახლში ვერ შემოვიდოდა, მით უმეტეს მეორე სართულზე. სანამ ეს ტრაგედია დატრიალდებოდა, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს რამე უნდა მომხდარიყო, ამინდიც ისე უცებ შეიცვალა. დაიწყო ძლიერი წვიმა, ფანჯრებიდან ვიყურებოდით, და ვაკვირდებოდით წყლის დონეს. შემდეგ მარის შეეშინდა, სანდროს ბებიას, თქვა, რომ წავსულიყავით, მაგრამ სანდროს ბაბუა არ დაეთანხმა, ამ წვიმაში ბავშვი სად ვატაროო, თან სანდროს ეძინა და ბავშვის გაღვიძება არ გვინდოდა, შეგვეცოდა. ამის მერე, 1-ის ნახევარი იქნებოდა, რომ უცებ მოვარდა წყალი. მერე უკვე გარეთ გასვლის შეგვეშინდა. რომც გვეცადა, მაინც ვერ გავიდოდით, წყალს დიდი ხეები მოჰქონდა და საშიში იყო გასვლა. დავრჩით სახლში. თავს იმით ვიმშვიდებდით, რომ მეორე სართულზე არ ამოვიდოდა, მაგრამ წყალი ისე იმატებდა, რომ უკვე ამაშიც ეჭვი შეგვეპარა. ზემოთ ავიდით, სალოცავ კუთხესთან მივიდით და ღმერთს გადარჩენას ვთხოვდით...



# სტიქიის შაჰედავ მაშველები პირველად ხვდებიან ოჯახს, როგორც სიკვდილისგან იხსნენ



ამის მერე მარინე დაივიწყა, ტობი იხრჩობაო (ძალი), გარედან წვალობდა ძალი შემოსვლას, ფანჯარას ახტებოდა, თან წყლის დონე უკვე პირველი სართულის ფანჯრებს სწვდებოდა. მივარდა უცებ ჩემი ძმა, ფანჯარა გააღო და ძალი შემოიყვანა. ასე გადარჩა ტობი დახრჩობას.

ყოველ წუთში ვრეკავდით 112-ში. გვეუბნებოდნენ, წამოსულები არიან მაშველებიო. და ასეთ მოლოდინში ვიყავით. იმედით ველო-

დით ვინმეს გამოჩენას.

ჩვენ წინ კოტეჯები იდგა. ერთ კოტეჯში ერთი მოხუცი ბაბუა ცხოვრობდა, რომელსაც სახლიდან ვუყურებდით, როგორ ანათებდა ფანჯარს და სიგნალს იძლეოდა, რომ იქ იყო, ჩვენ კიდევ ვერაფერს ვაკეთებდით მის გადასარჩენად. უცებ ერთ-ერთმა იყვირა, ბაბუა წყალმა წაიღოო. ამაზე უკვე ძალიან ავფორიანდით და უკვე ძალიან შეგვეშინდა. იმ საღამოს მისი შვილი შევნიშნე ეზოში, ქოლგ-

ით დადიოდა, ვიფიქრე, ალბათ, ნივთები გამოაქვს გარეთ-მეთქი, თურმე ბაბუაზე ნერვიულობდა, ეხვეწებოდა, წავიდეთო. მერე იქ რა მოხდა, არ ვიცი, ის ბიჭი აღარ ჩანდა, და ვერ გეტყვით, რა მოხდა.

ამის მერე, უკვე წყალმა ჩვენი სახლის ფანჯრები შემოანგრია და უცებ აივსო პირველი სართული, თითქმის მეორე სართულზე ამოვიდა, უკვე წვივები დაგვიფარა, მუხლამდე რომ მოვიდა, უკვე ბა-

ვშვის გადარჩენაზე ვფიქრობდით. და ამ დროს გამოჩნდა მაშველი ბიჭი (ირაკლი). სახლში შემოვიდა და გვითხრა, ახლა ნავი მოვა და აქედან გავაღწევთო, მაგრამ წყლის დონე უკვე ყელამდე იყო და ჩვენ უკვე გადანყვებილი გვექონდა, რომ სანდრო გაეყვანა ირაკლის. მაგრამ ირაკლიმ გვითხრა, რომ ყველას გაგვიყვანდა, ნუ გეშინიათო. ცოტა ხანში ირაკლიმ თავისი მეგობრების დახმარებით გამოგვიყვანა და სიკვდილისგან გვისხნა.



# ინიციატივა



## EXCLUSIVE

„ირაკლიმ გვითხრა, რომ ყველას გაგვიყვანდა, წუ გავინითო. ცოტა ხანში მან თავისი მეგობრების დახმარებით გამოგვიყვანა და სიკვდილისგან გვინსნა“



**თორნიკე ხუციშვილი, მამუელი:**

– როდესაც იქ მივედით დაახლოებით 11 საათი იქნებოდა. პირველი, რაც დავინახეთ, იყო პანიკა. ხალხი ხევიდან გარბოდა და ყვიროდა, რომ იქ იმ სახლში ბავშვი იყო. როდესაც სახლს მივუახლოვდით, საშინელი მდგომარეობა დაგვხვდა. წყლის დონე იმატებდა და საშიშროებაც იყო იმისა, რომ სახლი დანგრეულიყო ან, საერ-

თოდაც, წყლით გავსებულიყო. ირაკლიმ (მამუელი) თვალეში შემომხედა და თქვა: „იქ ბავშვია“. და უცებ გადახტა წყალში, სახლში შევიდა და დავეინყეთ იქ მყოფთა ლოკალიზება. ეს იყო დიდი რისკი, შეიძლებოდა დავლუპულიყავით კიდეც, მაგრამ იმ ფაქტორმა, რომ იქ ბავშვი იყო, უფრო მოგვცა ძალა იმისა, რომ იმ სახლიდან ბავშვი უნდა გამოგვეყვანა. და გამოვიყვანეთ კიდეც. ძალიან დიდი

ბედნიერებაა, რომ ხალხი გადავარჩინეთ, ჩვენი მოვალეობა პირნათლად შევასრულეთ. ადამიანების საფრთხისგან დაცვა ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა და ვამაყობთ, რომ იმ მომენტში იქ ყველაფერი კარგად დამთავრდა.

**სანდრო არეშიძე, მამუელი:**

– როცა იქ მივედით, სრული არეულობა დაგვხვდა. ძალიან დიდი ხმაური იყო და ეს ხმაური

ადიდებულ მდინარეს მოჰქონდა. წარმოიდგინეთ, არც შუქი იყო, თან ძლიერად წვიმდა და ხილვადობა ჭირდა. შემდეგ ხალხში ვიკითხე, სად არიან დაზარალებულები-მეთქი, და მიგვასწავლეს. მივედით იმ ადგილას და გარშემო ისეთი სიტუაცია იყო, რომ, როცა ამოვედით, ყველას ვუთხარით, ის ტერიტორია დაეტოვებინათ და უსაფრთხო ადგილას გადასულიყვნენ. იყო საშიშროება, რომ მთლიანად

წაელო წყალს ის ტერიტორია. ყველამ დატოვა იქაურობა. დაზარალებულები გამოვიყვანეთ და ჩვენც გამოვედით. შემდეგ ჩვენი ბიჭებიდან ვილაცამ იკითხა, კიდევ ხომ არ დარჩა ვინმეო, და თქვეს, რომ აღარავინ იყო იქ. მოსახლეობასთან ერთად მოვშორდით იმ ადგილს. ხალხი უსაფრთხო ადგილას გადავიყვანეთ და შემდეგ დავწყნარდით, როცა ხალხმა უსაფრთხოდ იგრძნო თავი.



## „სამტრედიას“ ახალმა მწვრთნელმა მოქმედების სრული თავისუფლება მიიღო

### EXCLUSIVE

**მამადა  
კალაძევილი**

გია ცეცაძე დღეიდან „სამტრედიას“ ოფიციალურად ჩაიბარებს. ახალგაზრდა სპეციალისტმა გუნდის დაკომპლექტება თითქმის დაასრულა, ახლა კი მიზნად ფეხბურთელების შეთამაშება აქვს ჩაფიქრებული. მათთვის, ვისაც შგონია, რომ წელს „სამტრედია“ მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს, ცდება, რადგან ცეცაძეს მაღალი მიზნები ერთი წლის შემდეგ აქვს ჩაფიქრებული, მანამდე კი „სამტრედიაში“ პროგრესი უნდა განიცადოს. ჩაერევა თუ არა ვიცე-პრემიერ კახი კალაძის მამა, კარლო კალაძე ახალი მწვრთნელის საქმიანობაში და რა გარანტიები მიიღო გია ცეცაძემ - „პრაიმტიმის“ ექსკლუზიური ინტერვიუ „სამტრედიაში“ მთავარ მწვრთნელთან, გია ცეცაძესთან.

**გუნდის დაკომპლექტება დასრულდა?**

- გუნდის დაკომპლექტება, ფაქტობრივად დასრულებულია. თითქმის, ყველა ახალი სახეა. ძველი შემადგენლობიდან გიორგი დათუნაიშვილი და მეკარე, კახა მესამე მეკარე იყო. თამაშ არიან სამტრედიელი ბიჭები, კერძო ევადე, ახალაია, შილაკაძე, ისინიც დარჩებიან, თავისთავად.

**გამოდის, რომ ახალგაზრდული გუნდი გეყოლება. რისთვის იბრძობებ?**

- 20-22 წლის ბიჭები არიან. რამდენიმე უფრო პატარაცაა, 18-19 წლის, მაგრამ უმეტესობა 20 წელს არის გადაცილებული. ახალგაზრდული კი ჰქვია, მაგრამ მგონია, რომ საქართველოს ჩემპიონატში ჩამოყალიბებული და ზრდასრული ფეხბურთელები არიან. ამ ასაკში მათ ბავშვებს ვეღარ ვუნოდებ. გეტყვით, რატომ დავთანხმდით ამ მუშაობას და რატომ მივდივარ ამ გუნდში. ერთწლიანი გუნდის გაკეთება არ უნდათ, პერსპექტიული გუნდი იქნება. პირველივე წელს მაღალი მიზნები არ გვექნება. ყველა თამაში იქნება მოსაგები და გავალთ დადებითი შედეგებისთვის. არ უნდა გავვარდეთ, ამას არ ვამბობთ, მაგრამ არც ჩემპიონები

გავხდეთ, ამას ვიძახებ.

**კლუბის ხელმძღვანელობასთან ეს მიზნები შეთანხმებულია?**

- რა თქმა უნდა, შეთანხმებულია. კონკრეტულად ასეთია დავალება, რომ წელსვე ევროსარბიელზე გავიდეთ, არ გვაქვს. ერთი წლით ადრე არ დავინებებ ლაპარაკს, მაგრამ შემდეგი წლიდან პერსპექტიული დაგეგმარება გვაქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ გუნდი არ იქნება ერთწლიანი. მინიმუმ ორი ან სამი, რომ „სამტრედიაში“ პროგრესი განიცადოს.

**უმაღლესი ლიგაში გარკვეული პერიოდი გორის „დილას“ წვრთნიდით. გუნდი იგებდა თუ აგებდა, თქვენ შემტევ ფეხბურთის ათამაშებით „დილას“, ახლა უღალატებთ საყვარელ სტილს?**

- არანაირად არ ვუღალატებთ. შემტევი ფეხბურთი არ ნიშნავს იმას, რომ 11 კაცი წინ გარბოდეს და იდგეს მონინააღმდგის საჯარიმოსთან. დაბალანსებულ თამაშს ვითამაშებთ. შემტევაზე გვექნება აქცენტი გაკეთებული. თანამედროვე ფეხბურთში, მკვეთრად გამოკვეთილ თავდაცვაზე არ იღებს არავინ აქცენტს. ყველა გუნდი ასე თამაშობს. ჩვენ უნდა ვცადოთ შემტევა. მთავარია, სწრაფი, კომბინაციური და შემტევი ფეხბურთი. სწრაფი და კომბინაციური თამაში იწვევს შეტევაში სწორ თამაშს და შეტევის დროსაც, თავდაცვასაც ეხება ეს. კარში ავტობუსის ჩატენას არ ვაპირებთ. ვითამაშებთ დაბალანსებულ ფეხბურთს, რომელიც სტრატეგიით შეტევაზე იქნება გათვლილი.

**შეკრებას როდის იწყებთ, უცხოეთში გაივლით მოსამზადებელ ეტაპს?**

- 22-ში გუნდის პრეზენტაციაა, გულშემატკივართან და ჟურნალისტებთან სამტრედიაში. 24 ივნისს მივიღებთ ბაზალეთის ტბაზე. დუშეთში ვივარჯიშებთ. ეს იქნება ცხრა ივლისამდე, ცხრაში ჩამოვალთ, ორი დღე დაისვენებენ ბიჭები, 12-ში კი თურქეთში გავემგზავრებით სამი კვირით.

**ხანგრძლივი შეკრება შეთამაშებისთვის გჭირდება?**

- რა თქმა უნდა. ახალი გუნდი კეთდება. ყველა უმაღლესი ლიგის გუნდებიდან არის მოსული, მაგრამ ჩემ გემოზე მინდა რომ მოვიყვანო. პირველ ეტაპზე, დიდხანს შეკრება გამოგვივა, მაგრამ საჭიროა, რათა გუნდი ჩამოყვავილით, შევკრათ

**„ვთვლი, რომ როცა მწვრთნელი გუნდში მუშაობს, ის უნდა იყოს სრულიად თავისუფალი და ბატონ-პატრონი თავის საქმისა. ისე შედეგი ვერ მოვა“**

ფიზიკურად და ტაქტიკურად, საფუძველი უნდა ჩაუყაროთ.

**რეგიონებში გულშემატკივრობა საკმაოდ სპეციფიკურად იცინა, გამოწვევისი არც სამტრედიაა. თასის ფინალზე დაპირისპირება მოხდა ფეხბურთელებსა და გულშემატკივარს შორის. თქვენ როგორ აპირებთ მათთან ურთიერთობების დალაგებას?**

- მიმანია, რომ ფეხბურთი გულშემატკივრისთვის არსებობს. ახალს არაფერს ვამბობ. ჩვენ, ყველა ვარაუდში, გულშემატკივარს უნდა გავუწიოთ ანგარიში. შეკვეთა მათი მხრიდან მოდის. მაგისტომ კეთდება გუნდი სამტრედიაში და საერთოდ, ფეხბურთი იმისთვის არსებობს, რომ ითამაშო გულშემატკივრისთვის. ეს უბრალო სიტყვები არ არის. ჩვენ გვექნება კომუნიკაცია გულშემატკივართან, მათ ეცოდინებათ ჩვენი გეგმების შესახებ. ჩემი მოგონილი არ არის. ყველგან აპრობირებულია და ასეთი მეთოდია, რომ ყველა კლუბს აქვს კომუნიკაცია გულშემატკივართან. მათ აზრს გავითვალისწინებთ. ვეცდებით, მათი გემოვნება დავაკმაყოფილოთ. ერთადერთი, რაც ვთქვი და ხელმძღვანელობასაც ვუთხარი, პირველივე წელს შედეგებზე ლაპარაკი ზედმეტია. თანამედროვე ფეხბურთში ლოგიკას უკვე დიდი მნიშვნელობა აქვს და უცებ არ ხდება მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა. გუნდმა უნდა ითამაშოს სანახაობრივი ფეხბურთი, ამ მხრივ გამორჩეულები ვიქნებით, რაც, დარწმუნებული ვარ, გულშემატკივრისთვისაც მისაღები იქნება. თუმცა, ეს შედეგს არ გამოიწვევს. გვაქვს კონკრეტული მიზანი, რომელსაც აუცილებლად უნდა მივაღწიოთ.

**რას იტყვით, ერთი წლის შემდეგ 16 გუნდიანმა ჩემპიონატმა გამართლდა?**

- 16 გუნდიანი უნდა იყოს, ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუკი კლუბებს ექნებათ ფინანსური სტაბილურობა. რომ მივყვით იმას, როგორ არიან კლუბები საზღვარგარეთ, რა შემოსავლები აქვთ, ვერც ერთი კლუბი ვერ მივა საქართველოში მათთან ამ კომპონენტებთან, მაგრამ ასე გამოდის, რომ ჩვენთან ფეხბურთი არ უნდა იყოს. მეორე მომენტია, სახელმწიფო, ავად თუ კარგად, ეხმარება. 12 გუნდიანი ჩემპიონატში ლარიბი გუნდი მაინც ლარიბი იქნება. მიზანი, რასაც 16 გუნდიანი ჩემპიონატი ემსახურება, მისაღებია. 12 გუნდიანი რომ ყოფილიყო, „ხესტაფონი“ მაინც გავარდებოდა, რადგან ფინანსური პრობლემები შეექმნა. პირიქით, რაც ასაკობრივი გუნდებია, დაკომპლექტდება აქედან, მასობრიობა მოიმატებს ხალხში, ფეხბურთელები დასაქმდნენ, მაგრამ, აუცილებლად უნდა იყოს მყარი ფინანსური მდგომარეობა, კერძო კლუბი იქნება თუ სახელმწიფო.

**უცნობი არავისთვის არის,**

თადერთი, რაც ვთქვი და ხელმძღვანელობასაც ვუთხარი, პირველივე წელს შედეგებზე ლაპარაკი ზედმეტია. თანამედროვე ფეხბურთში ლოგიკას უკვე დიდი მნიშვნელობა აქვს და უცებ არ ხდება მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა. გუნდმა უნდა ითამაშოს სანახაობრივი ფეხბურთი, ამ მხრივ გამორჩეულები ვიქნებით, რაც, დარწმუნებული ვარ, გულშემატკივრისთვისაც მისაღები იქნება. თუმცა, ეს შედეგს არ გამოიწვევს. გვაქვს კონკრეტული მიზანი, რომელსაც აუცილებლად უნდა მივაღწიოთ.

**რას იტყვით, ერთი წლის შემდეგ 16 გუნდიანმა ჩემპიონატმა გამართლდა?**

- 16 გუნდიანი უნდა იყოს, ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუკი კლუბებს ექნებათ ფინანსური სტაბილურობა. რომ მივყვით იმას, როგორ არიან კლუბები საზღვარგარეთ, რა შემოსავლები აქვთ, ვერც ერთი კლუბი ვერ მივა საქართველოში მათთან ამ კომპონენტებთან, მაგრამ ასე გამოდის, რომ ჩვენთან ფეხბურთი არ უნდა იყოს. მეორე მომენტია, სახელმწიფო, ავად თუ კარგად, ეხმარება. 12 გუნდიანი ჩემპიონატში ლარიბი გუნდი მაინც ლარიბი იქნება. მიზანი, რასაც 16 გუნდიანი ჩემპიონატი ემსახურება, მისაღებია. 12 გუნდიანი რომ ყოფილიყო, „ხესტაფონი“ მაინც გავარდებოდა, რადგან ფინანსური პრობლემები შეექმნა. პირიქით, რაც ასაკობრივი გუნდებია, დაკომპლექტდება აქედან, მასობრიობა მოიმატებს ხალხში, ფეხბურთელები დასაქმდნენ, მაგრამ, აუცილებლად უნდა იყოს მყარი ფინანსური მდგომარეობა, კერძო კლუბი იქნება თუ სახელმწიფო.

**უცნობი არავისთვის არის,**

რომ ვიცე-პრემიერ კახი კალაძის მამა, კარლო კალაძე, გუნდში ტრიალებს და ბევრ დეტალს ის ათანხმებს და აგვარებს. იმაზეც ლაპარაკობდნენ, რომ წინა მწვრთნელების საქმიანობაში უხეშად ერეოდა. მიიღეთ მოქმედების თავისუფლების გარანტიები?

- ვთვლი, რომ როცა მწვრთნელი გუნდში მუშაობს, ის უნდა იყოს სრულიად თავისუფალი და ბატონ-პატრონი თავის საქმისა. ისე შედეგი ვერ მოვა. სახელებზე და გვარებზე კონკრეტულ პასუხს ვერ გავცემთ. ჩემი აზრი ასეთია, ასე რომ იყოს, სამუშაოდ არ მივიდოდი. „სამტრედიაში“ ხელმძღვანელებისგან, ოფიციალური პირებისგან, გულშემატკივრებისგანაც მოვიდა ასეთი ხმები, მაგრამ პირიქით, იმედი აქვთ და მხარდაჭერას მპირდებიან. ჩემთვის ფეხბურთი მარტო სამსახური არაა, ცხოვრების ნაწილია. რა პრინციპებითაც ვცხოვრობ, ფეხბურთშიც ისე ვარ. ამის საფრთხე არ დამინახავს და დარწმუნებული ვარ, რომ არც იქნება.

**ეროვნულ ნაკრებში, კახი ცხადად ასისტენტად რჩებით?**

- ნაკრები ჩვენი ქვეყნის გუნდია. მის გარეშე უკვე აღარ შემიძლია. ერთი სული მაქვს, როდის შეიკრიბება, იმდენად ნაყოფიერი მუშაობა მიდის. ვიკრები, ძალიან კარგად არის ყველაფერი და ამაზე უარს ვერ ვიტყვი.



**„12 გუნდიანი ჩემპიონატში ლარიბი გუნდი მაინც ლარიბი იქნება. მიზანი, რასაც 16 გუნდიანი ჩემპიონატი ემსახურება, მისაღებია“**

# ქუჩის მუსიკოსები სოციალურად დაუცველი ადამიანების დასახმარებლად

„სიმღერა  
მაინც  
ისეთი  
რამეა,  
ყველა  
განწყობაზე  
მღეროდნ  
ქართველი  
კაცი“



# EXCLUSIVE

**my View**  
ნინო მჭედლიძე

18 ივნისს, კლუბში One Side არასამთავრობო ორგანიზაცია „პოზიცია“ ახალი პროექტის – „ქუჩის მუსიკოსები სოციალურად დაუცველი ადამიანების დასახმარებლად“ ფარგლებში მორიგი ღონისძიება გამართა.

ამჯერად ქუჩის მუსიკოსებს ჯგუფი „ვაკის პარკი“ სოლო კონცერტით შეუერთდა. ღონისძიებიდან შემოსული თანხა მთლიანად გოგოლაძეების ოჯახს გადაეცა, რომლის მცირეწლოვანი შვილიც, ბარბარე, უცხოეთში გადაუდებელ სამედიცინო ოპერაციას საჭიროებს.

**გურამ ადამაშვილი (არასამთავრობო ორგანიზაცია „პოზიციის“ ხელმძღვანელი):**

ჩვენ შევექმენით პროექტი, - „ქუჩის მუსიკოსები სოციალურად დაუცველი ადამიანების დასახმარებლად“. ვფიქრობთ, რომ ამ პროექტით ორ კარგ საქმეს ვაკეთებთ, ერთი, რომ გავუკეთეთ ორგანიზება, ქუჩის მუსიკოსების მოგროვებას და შემდეგ მათი შემოქმედების პოპუ-

ტს მოისმენს მაცურებელი. ეს პროექტი გაგრძელდება უსასრულოდ. ყოველი თვის ბოლოს არასამთავრობო ორგანიზაცია „პოზიცია“ ყოველი ასეთი საღამოთი დაეხმარება კონკრეტულ ადრესატს.

**- დღეს ვის ეხმარებთ?**  
- დღეს ვეხმარებით ბარბარე გოგოლაძეს, რომელსაც გადაუდებელი სარეაბილიტაციო კურსი და ოპერაცია ესაჭიროება. ოპერაცია თურქეთში უნდა გაკეთდეს. ჩვენ ჩვენი საღამოთი ვცდილობთ სარეაბილიტაციო თანხა, 400 ლარი მაინც შევუგროვოთ.

**ზაზა ხუციშვილი:**

საკმაოდ მძიმე დღეები გვაქვს და მხოლოდ იმიტომ, რომ კეთილ საქმეს ემსახურება, გადავწყვიტეთ, არ შეგვეცვალა კონცერტის თარიღი. ეს პატარა გოგონა ჩვენ დახმარებას ელოდება. თუ სარეაბილიტაციო თანხა სწრაფად მოგროვდება, დანარჩენი სტიქიით დაზარებულთა ფონდში გადაირიცხება. მძიმე დღეებია და საკონცერტო განწყობა არავის აქვს. დიდი ხნით ადრე დაიგეგმა ეს კონცერტი. რამდენჯერმე ვკითხე ორგანიზატორებს, ხომ არ შეიძლებოდა გადაედება. გასართობი კონცერტი რომ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, გადავდებდით, მაგრამ ვინა-



„ეს პატარა გოგონა ჩვენ დახმარებას ელოდება. თუ სარეაბილიტაციო თანხა სწრაფად მოგროვდება, დანარჩენი სტიქიით დაზარებულთა ფონდში გადაირიცხება“

ლარიზაციას და მეორე, მთავარი - ქველმოქმედება, რომელიც ვფიქრობ, თითოეული ადამიანის სოციალური პასუხისმგებლობაა. პროექტი არ არის ერთჯერადი ხასიათის. მისი პრეზენტაცია 28 მაისს გავმართეთ ამავე კლუბში. მიხარია, რომ შემოგვიერთდა ჯგუფი „ვაკის პარკი“. დღეს სწორედ მათ სოლო კონცერ-

ტიდან ეს გოგონა გველოდება, იმედი აქვს ჩვენი, როგორ უნდა გადაგვედო... სიმღერა მაინც ისეთი რამეა, ყველა განწყობაზე მღეროდა ქართველი კაცი. იმასაც ამბობდა, „ბევრჯერ ვყოფილვარ ამ დღეში, მაგრამ არ დამიკვნესიაო“. რას ვიზამთ, მოხდა ასეთი უბედურება. უნდა გავაგრძელოთ ჩვენი ქვეყნის

მშენებლობა, თბილისის მშენებლობა, დასუფთავება და გაჭირვებული ადამიანების დახმარება.

**- თქვენ როგორ ჩაებით ქველმოქმედებაში?**  
- ამ აქციის პირველ კონცერტზე, სადაც ქუჩის მუსიკოსები მონაწილეობდნენ, მე

სტუმრის სტატუსით ვიყავი მონაწილე. როცა ვნახე ეს ერთსულოვნება და ის ბედნიერი ბიჭუნა, რომელიც ჩვენთან ერთად იყო და სიხარულით უყურებდა კონცერტს, სურვილი გამიჩნდა, მეც ვყოფილიყავი ამ სიკეთის მონაწილე.

„პოზიციის“ ორგანიზებით მაისში უკვე ჩატარდა ანალოგიური ღონისძიება, რომელზე შემოსული ფულადი შემოწირულობაც 15 წლის მოზარდის, სოციალურად დაუცველი მიხეილ სხვიტარიძის ოჯახს გადაირიცხა.

# ქართული ღივა, რომელიც მზადაა,

**my View**  
სალომე ჩაღუნელი

„ის არის ნამდვილი ღივა“, – ასე შეაფასა ანრი ჯონხაძემ „X ფაქტორის“ კონკურსანტი სოფო ბათილაშვილი, რომელსაც პროექტის განმავლობაში, ვოკალური სიძლიერის დამტკიცება და მისკენ მომართული უარყოფითი განწყობების გაქარწყლება რამდენჯერმე მოუწია. ოთხი სკამის კონკურსის შემდგომმა „ლაივმა“, რომელიც სოფოსთვის საბედისწეროდ იქცა, საზოგადოებას კიდევ ერთი ნიჭიერი შემსრულებელი გააცნო. „არასოდეს დანებდე“ – ეს სოფოს საყვარელი ფრაზაა, ამ დევიზით ცხოვრობს და „X ფაქტორშიც“ არ აპირებს დანებებას. გოგონა, რომელსაც საკუთარ უპირატესობად გულწრფელობა მიაჩნია, ტურიდან ტურამდე ვითარდება და ვოკალური რევოლუციის მოწმეებს გვხვს. ორშაბათის „ლაივზე“ მუსიკალური მიმართულებას იცვლის, სიახლისთვის ემზადება და გულშემატკივარს სიურპრიზებსაც ჰპირდება. მრავალფეროვანი მიზნები აქვს და ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე წერტილის დასმას არ აპირებს.

სოფო ბათილაშვილი თბილისის 83-ე სკოლაში სწავლობს, მეათე კლასი დაამთავრა. ამბობს, რომ წარმატებული მოსწავლეა. „X ფაქტორის“ გამო სკოლის გაცდენა ხშირად უწევს. თუმცა მასწავლებლებისგან საყვედურის ნაცვლად მხარდაჭერას იღებს.

**სოფო:** „X ფაქტორში ყოველდღიური რეპეტიციები გვაქვს, მაგრამ ტელეფონით მასწავლებლებსა და კლასელებს ყოველთვის ვეკონტაქტები. ასე თუ ისე, საქმის კურსში ვარ. სხვათა შორის, მარტო საქებარ სიტყვებს მეუბნებიან, წარმატებებს მისურვებენ. გაცდებულები იყვნენ, არ წარმოედგინათ, თუ შემძლო, სცენაზე გავსულიყავი, მეძლერა და ასეთი შეფასება დამემსახურებინა“.

სოფო ბავშვობას იხსენებს და ამბობს, რომ მოუსვენარი იყო, ყველაფერს აფუჭებდა და ტეხდა. მამამისის მანქანას ემბლემაც კი მოაძრო.

„მაგიდიდან პირდაპირ ცხვირით ვხტებოდი და შემდეგ სხვებს ვაბრალებდი“, – ყვება ის.

მშობლებთან და ორ ძმასთან ერთად ცხოვრობს. მუსიკალური ოჯახი ჰყავს, დედა ვოკალის პედაგოგია, ძმები – მოყვარული მომღერლები, მამა კი მოცეკვავე იყო. ოჯახის წევრები ყველაზე დიდი გულშემატკივრები არიან, შენიშვნებსაც აძლევენ სოფოს და რჩევებსაც. მუსიკით პაატარა ასაკიდან დაინტერესდა. კლასიკით დაინყო, შემდეგ ფოლკლორზე გადავიდა, მერე ჯაზით, როკითა და პოპით დაინტერესდა. საყვარელი მომღერლები ბიონსე და სტივენ ტაილერი არიან, ქართველი შემსრულებლებიდან ირაკლი ჩარკვიანი უსმენს.

**სოფო:** „სულ მესმოდა დე-



## „თავიდან მეგონა, რომ რამე მჭირდა, სარკეში ვიხედავოდი, მერე მივხერხიე“

**სოფო ანრიზე:**  
„ყოველთვის ინარჩუნებს ზღვარს, ჩარჩოებში აქცევს შენიშვნებს ისე, რომ არ გვეწყინოს“



დას სიმღერა სახლში. როცა სტუმრები მოდიოდნენ, ყოველთვის მღეროდა. მეც მასწავლიდა საბავშვო სიმღერებს, დაახლოებით 6-7 წლის ასაკიდან დავიწყე ფორტეპიანოზე სიარული, დავამთავრე ხელოვნების ექვსწლედ 21-ე სკოლაში. ფოლკლორით დავიწყე, ვმღეროდი ან-სამბლ „მერმისში“, ორი წელი სოლისტი ვიყავი და ბოლო სამი წელია, მივხვდი, რომ სხვა უფრო უფრო მიტაცებს და ამიტომ ვარ ახლა „X ფაქტორში“.

**– რა შეცვალა შენში „X ფაქტორმა“?**  
– არ შევცვლილვარ, მოტივაცია მომემატა და მეტის კეთების სურვილი გამიჩნდა.

**– შენი აზრით, რა გამოგარჩევს სხვა კონკურსანტებისგან?**  
– გულწრფელი ვარ და გულით ვმღერი ყოველთვის.

**– გახდები „X ფაქტორი“?**  
– არ ვფიქრობ, გავხდები თუ არა, არც მინდა ამაზე

ფიქრი. მინდა, რომ ვიფიქრო კონკრეტულ „ლაივებზე“ და ზედმეტ ილუზიებში არ გადავვარდე.

სოფო იზიარებს ყველა სხვა კონკურსანტის მოსაზრებას და აცხადებს, რომ პროექტში მეგობრული გარემოა. განსაკუთრებით არავის დაახლოვდა, თუმცა ყველა „ლაივზე“ აუტსაიდერებთან ერთად ტირის და განიცდის.

**– ვის განიხილავ შენს მთავარ კონკურენტად?**  
– ყველა ერთმანეთის კონკურ-

**„ძალიან მინდა საქართველოში მუსიკალური კოლეჯი გავაკეთო, სადაც ბავშვები ისწავლიან და სრულყოფილ მუსიკალურ განათლებას საქართველოშივე მიიღებენ“**

ენტია, ვერ გამოვყოფ, კონკურენტების თვალთშეშებით არ ვუყურებ, თუმცა მაინც კონკურსია და გამოდის, რომ ერთმანეთს ვეჯიბრებით.

არ ელოდა, რომ ბავშვების კატეგორიის მენტორი ანრი იქნებოდა. სოფოზე ჰქონდა ეჭვი, გოგონა, ბავშვებს სოფო უფრო ადვილად გაუგებდა, გაუკვირდა, თუმცა ანრის მალევე დაუმეგობრდა.

**სოფო:** „მენტორი არის უსაყვარლესი, ვმეგობრობ, ხშირი კო-

ფიქრი. მინდა, რომ ვიფიქრო კონკრეტულ „ლაივებზე“ და ზედმეტ ილუზიებში არ გადავვარდე.

სოფო იზიარებს ყველა სხვა კონკურსანტის მოსაზრებას და აცხადებს, რომ პროექტში მეგობრული გარემოა. განსაკუთრებით არავის დაახლოვდა, თუმცა ყველა „ლაივზე“ აუტსაიდერებთან ერთად ტირის და განიცდის.

**– ვის განიხილავ შენს მთავარ კონკურენტად?**  
– ყველა ერთმანეთის კონკურ-

# იზიზვილოს საკუთარი პროფესიით

„მაგიდიდან პირდაპირ ცხვირით ვხტებოდი და შემდეგ სხვებს ვაბრალებდი“

სოფო ბათილაშვილი  
ექსკლუზიურად  
„პრაიმტაიისთვის“  
**EXCLUSIVE**

„ველარ გავაგრძელებდი კონკურსში მონაწილეობას, ვფიქრობდი, საერთოდ ხომ არ წამოვიღე კონკურსიდან-მეთქი“



ბოთი თვისებები სცენაზე გადმოვიტანო. ამას ფუთობ დროს, არ მიყვარს სეირნობა. გარეთ გასვლა – აი, ასეთი ხასიათი მაქვს.“

ფილმების ყურება უყვარს, ხატავს, წერს, მომავალს მუსიკას უკავშირებს, თუმცა თეატრალურ განათლებაზეც ფიქრობს, კონსერვატორიაში ჩაბარებასა და სწავლის უცხოეთში გაგრძელებას აპირებს.

– შესაძლებელია, იყო საქართველოში მომღერალი და გქონდეს შენი შემოსავალი?

– საქართველოში შოუბიზნესი რთულია, იმიტომ, რომ არ არის შეიძლება ფული ვერ იშოვო, ვერ გაყიდო ალბომი, ვილაცას პურის ფული არ აქვს და შენს ალბომს ვერ იყიდის. როცა ადამიანს რაღაც ყველაზე მეტად გიყვარს, თუ იშრომებ და მონაწილეობ, საბოლოოდ დაგიფასდება, ამიტომ არ მეშინია შიმშილის, მზად ვარ, ვიმშობილო ჩემი პროფესიით.

– რა არის შენი საბოლოო მიზანი? რა მიზანს უნდა მიაღწიოს მომღერალმა სოფომ?

– ბევრი მიზანი მაქვს, ერთი კონკრეტული წერტილი არ არის, რომ მივიღე და გაჩერდე. ოცნებად მაქვს ქცეული, რომ გავიზრდები და ჩამოვყალიბდები, როგორც პროფესიონალი ჩემს საქმეში, ძალიან მინდა საქართველოში მუსიკალური კოლეჯი გავაყვით, სადაც ბავშვები ისწავლიან და სრულყოფილ მუსიკალურ განათლებას საქართველოშივე მიიღებენ.

სოფოსთან ინტერვიუს მისი მამა, დავით ბათილაშვილიც ესწრებოდა.

**სოფოს მამა:**  
„ლამით მოსდის მუზა, ერთი-ორჯერ მეზობლები შევანუხეთ და ბოდიშის მოხდა დაგვჭირდა“

ნტაქტი გვაქვს. ვერ იგრძნობ, რომ სხვაობაა ასაკში, პოპულარობაში. მკაცრია, მაგრამ ყოველთვის ინარჩუნებს ზღვარს, ჩარჩოებში აქცევს შენიშვნებს, ისე რომ არ გვეწყინოს. ძალიან გამომართლა, რომ ანრი ჩემი მეტრორია.

– შენთვის კონკურსში გადამწვევტი პერიოდი იყო ხმის პრობლემა, ვერ იმღერე ისე, როგორც გინდოდა. რა განცდები გქონდა? ელოდი, რომ ანრი გადაგიყვანდა?

– გავცივდი, ამას დაემატა ნერვიულობა, სტრესი და ყველაფერმა ხმაზე იმოქმედა. წინა დღესვე შეგუებული ვიყავი იმ ფაქტს, რომ ამ ხმით ვეღარ გავაგრძელებდი კონკურსში მონაწილეობას. ვფიქრობდი, საერთოდ ხომ არ წამოვიღე კონკურსიდან-მეთქი, იმიტომ რომ წინა დღეს ვერც კი ვლაპარაკობდი, შერცხვების მეშინოდა. ძალიან რთული პერიოდი გადავიტანე, სცენაზეც მეტყობოდა, რომ გადასვლას არ ველოდი, მაგრამ ყველანაირად ვიბრძოდი. როცა დარბაზში ჩემს გულშემატკივრებსა და ანრის მიმიკებს ვხედავდი, როგორ მედგა მხარში, არ მინდოდა, იმედი გამეცრუებინა ჩემი გულშემატკივრებისთვის და ხმით რაც არ შემეძლო, მოძრაობაში გამოვხატავ-



„არ მეშინია შიშხილის, მზად ვარ, ვიზიზვილო ჩემი პროფესიით“

დი. ანრიმ გაიცინა და მაშინ მივხვდი, რომ ყველაფერი კარგად იყო.

– რამდენად რთული აღმოჩნდა შემდეგი „ლაივი“?

– ყველაზე სანერვიულო იყო, იმიტომ, რომ ანრიზე და ჩემზე წამოსული აგრესია რაღაცნაირად უნდა გამენეიტრალიებინა. საპასუხისმგებლო იყო, მაგრამ თავი ხელში ავიყვანე და ვაჩვენე, რაც შემეძლო.

თავისუფალ დროს ისევე მუსიკას უთმობს, მომღერლების კონცერტებს უსმენს, მათი გამოსვლებიდან სწავლობს და პრაქტიკაში გადმოაქვს.

სოფო: „ყველა დეტალს ვაკვირდები, რომ დადე-

თავიდან უარი გვითხრა, თუმცა ბოლოს მაინც ისაუბრა შეილზე. განაცხადა, რომ ამაყობს, რადგან სოფომ იმაზე მეტი შეძლო, ვიდრე მოელოდა. ამბობს, რომ სოფოსთან ერთად პოპულარული თავადაც გახდა.

დათო: „ამ დონეზე თუ იქნებოდა სოფოს ვოკალი, ნაკლებად მეგონა. სიამაყეა, მენტორებისგან და მასწავლებლისგან დადებითი ემოცია რომ მოდის. დღე და ღამე შეუძლია გაასწავლოს მუსიკისთვის, კონკრეტული რამის ძიებაში. ღამით მოსდის მუზა, ერთი-ორჯერ მეზობლები შევანუხეთ და ბოდიშის მოხდა დაგვჭირდა.“

„სანამ „X ფაქტორში“ გამოვიდოდი, ნაწყენები იყვენ, ბავშვებს სიმღერით ძილს ვუფრთხობდი. რაც „X ფაქტორში“ გამოვედი, მირეკავენ, კიდევ გვიმღერო. უკვე აღარ აქვთ პრეტენზია“, – გვიყვება სოფო.

ამბობს, რომ ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, არ გადაუწყვეტია, რომელ ჟანრში განვითარდება. იმდენს წერს ფორტეპიანოსთან, ინგლისური ტექსტით. სურს, დახვეწოს, ჩანეროს და თუ შესაძლებელი იქნება, ალბომსაც გამოუშვებს, თუმცა ჯერჯერობით შორეულ პერსპექტივად მოიაზრებს. ერთი რამ დარწმუნებით იცის – სცენას არასდროს დათმობს, საკუთარი თავი იპოვა, ბედნიერია, როცა სცენაზე დგას და ხალხს უმღერის. და არ სურს, ეს ბედნიერება დათავრდეს.

სოფო: „ჩემს გულშემატკივრებს ვეტყვი, რომ მათი მადლობელი ვარ, მხარში მიდგანან და თავს არ ზოგავენ, რომ გამამხნევონ ზარებით, ფსიქოლოგიურად. ვეცდები, იმედი არ გაუცრუო და წინ და წინ ვიარო.“

## my View ნილო მჭადლიძე

რამდენიმე წლის წინ, მსახიობმა, მალხაზ ქვრივიშვილმა, თავისი მეორე ცოლი, მასზე 27 წლით უმცროსი, მარიამ ახობაძე გაგვაცნო. წყვილი სიათავეში ცხოვრობდა მათი სიყვარულის ამბავს პრესის ფურცლებსა თუ ტელეშოუებში. ცოლქმარს მალე ვაჟი შეეძინა. ანდრია ახლა 3 წლის არის. ორი წლის წინ ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ მალხაზ ქვრივიშვილი მეორე ცოლსაც გაშორდა. თუმცა ამ ინფორმაციას არც ცოლი და არც ქმარი არ ადასტურებდა. ამიტომ, ჩავთვალეთ, რომ ეს ამბავი საზოგადოების ჭორიკანა ნაწილის გამოგონილი იყო.

რამდენიმე დღის წინ მსახიობ ანრი ბიბინიშვილის ფეისბუქგვედზე მარიამთან ერთად გადაღებული ფოტოები ენახე და მათი ურთიერთობით დავიინტერესდი. აღმოჩნდა, რომ მახოსთან განშორების შემდეგ, მარიამი ანრის გაჰყვა ცოლად.

მამ ასე, წყვილი ექსკლუზიურად უყვება „პრაიმტიმს“ მათი სიყვარულის ისტორიას. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ამჟამად ანრისა და მარიამს მხოლოდ მეგობრობა აკავშირებს. ისინი ერთმანეთს ცოტა ხნის წინ დაშორდნენ.

- ანრი, პირველ რიგში, შენ პირველ ცოლზე მიაბნე, ვინც მარიამის გამო მიატოვე.

- 2013 წლის 4 იანვარს ოთხწლიანი სიყვარული დავაგვირგვინე ქორწინებით და სამწუხაროდ 30 იანვარს ჩვენი ქორწინება დამთავრდა.

- ვინ იყო შენი პირველი ცოლი?

- ნინო ჰქვია, გვარი არ გვიანდა. ცნობადი სახე არ არის. ორი კვირა ვიყავით ერთად. 4 იანვარს მოვიყვანე, 19 იანვარს მოსკოვში გავფრინდი, 30 იანვარს ჩამოვფრინდი და იმ ღამეს დავშორდი ერთმანეთს, ვილაცხვებ ჩარევით.

- ვისი ჩარევით?

- მესამე გაჩნდა, ვულვალატი, ოღონდ ამას სიახაყით არ ვამბობ, რა თქმა უნდა. გულწრფელად ვნანობ.

- ორი კვირის მოყვანილ ცოლს როგორ უღალატე?

- როცა ცოლი მოვიყვანე, რეალურად სხვაზე ვიყავი შეყვარებული. ეს მალევე აღმოვაჩინე. აუუსხენი ყველაფერი და დამთავრდა...

- ის სხვა, ვინც გიყვარდა, მარიამ ახობაძე იყო?

- კი, ასეა. პირველად მარიამი ტელეეკრანზე, დაგაცემა „პროფილში“ ენახე. გავიყიდი მის ვიზუალზე, მისი თვალების გამოსხივებაზე... მაშინ ვთქვი, რომ ეს გოგო ჩემი გახდებოდა.

- „პროფილში“ მარიამი ქმართან, მალხაზ ქვრივიშვილთან ერთად იყო. ხომ ასეა?

- კი, ოღონდ არანაირი ბილნი გათვლა არ მქონია.

მარიამი:

- მან თქვა ასეთი რამ, თუ ოდესმე ეს გოგო დაშორდება ქმარს, ის აუცილებლად ჩემი გახდება.

ანრი:

- კაცის შეურაცხყოფა არც მიფიქრია, კაცს ცოლი წაართვა? ეს არაკაცობაა. ყველა ვინც ვილაცხვებ ცოლს დასაღვეს, არაკაცია... გავიდა წლები, მე და მარიამი, სრულიად შემთხვევით, ერთმანეთს შარდენზე შევხვდით. მის დაქალს წავეკამათე. ამ დროს შეგამჩნიე მარიამი, რომელმაც ჩამიხსოვ ყველაფერთან და ყველასთან კამათის სურვილი. ვიცანი, ეს ის გოგო იყო, ვინც მე ტელეეკრანიდან ძალიან მომეწონა. და როცა ქმრის გარეშე დავინახე, ჩავვიძიე, გავარკვიე, დაშორებული იყო თუ არა ქმართან. და როცა გავიგე, რომ თავისუფალი იყო, პირველი



„მესამე გაჩნდა, ვულვალატი, ოღონდ ამას სიახაყით არ ვამბობ, რა თქმა უნდა. გულწრფელად ვნანობ“

„კაცის შეურაცხყოფა არც მიფიქრია, კაცს ცოლი წაართვა? ეს არაკაცობაა. ყველა ვინც ვილაცხვებ ცოლს დასაღვეს, არაკაცია...“

„როცა ცოლი მოვიყვანე, რეალურად სხვაზე ვიყავი შეყვარებული“



ფრაზა, რაც მარიამს ვუთხარი იყო, სადმე უფრო უკეთ ხომ არ გავიცნოთ ერთმანეთი-მეთქი. იმ ღამეს კარგად გავიცანი ერთმანეთი, ზედმეტად კარგად (იციან). მერე, ოთხი თვე მარიამი გაქრა ჩემი ცხოვრებიდან. ამ დროს მე დეპრესია მჭირდა, წვერი კოჭებამდე მქონდა მოშვებული. თვეების შემდეგ მარიამი ისევ მოვიდა ჩემთან, შარდენზე და გულში ჩამიკრა ისე, როგორც არავის არასდროს და მითხრა ფრაზა, - „თვალეებით გიცანი“. რადგან ფიზიკურად მართლა ძალიან შეცვლილი ვიყავი. მეც ვიცანი მარიამი და იმ დღიდან, სექტემბრის

შუა რიცხვებიდან მოყოლებული, ოთხი იანვრის დღიდან 24 საათის რეჟიმში ერთად ვიყავით.

- ამ პერიოდში შენ შეყვარებული გყავდა, როგორ ახერხებდი მარიამთან ყოფნას?

- სიყვარული, რომელიც ძალიან რთულ პერიოდში დამეხმარა, მაგრძნობინა სრულფასოვან ადამიანად თავი, იყო ჩემი პირველი სიყვარული, ნინო. მაგრამ ბოლოს აღმოვაჩინე, რომ გრძნობა განელდა, დავრწმუნდი, რომ სიყვარული სხვა რამე ყოფილა.

- ეგ არ არის ჩემს კითხვაზე პასუხი. როგორ ახერხებდი შეყვარებული და საყვარელი ქალი ერთდროულად გყოლოდა?

- ისე, როგორც ყველა დამნაშავე მამაკაცი. მიყვარდა სხვა და ტყუვდებოდა სხვა.

- როგორი სევდიანი ხარ, ეს შე-

ნი მსახიობური ნიჭის დამსახურებაა, თუ რეალურად განიცდი ამ ამბავს?

მარიამი:

- დარდობდა, მაგრამ არც ისე ღრმად.

- თუ მიხვდი, რომ ეს სიყვარული იყო ნამდვილი და ის ოთხწლიანი - ტყუილი, რატომ მოიყვანე ცოლად ნინო?

- ჩავთვალე, რომ ადამიანმა ადამიანობის ბრწყინვალე მაგალითი მაჩვენა, მასთან პასუხისმგებელი ვიყავი, ვერ მივეცი თავს იმის უფლებას,

„მარიამისა და მახოს შვილს არაერთხელ დაუძახია ჩემთვის მამა. ყოველთვის ვეუბნებოდი, რომ მე ვარ ანრი, მამა არის მახო. ასე იყო და ასე იქნება მუდამ, იმიტომ რომ მალხაზ ქვრივიშვილი არის კაცი!“

# დ გალხაჲ ქვრივიშვილის ყოფილი ცოლი



**„იბ ღამეს  
პარბად  
ბავიჯანით  
ერთმანეთი,  
ზედგეიტად  
პარბად“**

**„თუკი  
სიყვარული  
არსებობს, კაცი  
ბორდელიდან  
გამოიყვანს ქალს  
და მას კარგ  
ქალად  
აქცევს...“**

**„მარიამისა და  
მახოს შვილს  
არაერთხელ  
დაუძახია ჩემთვის  
მამა. ყოველთვის  
ვეუბნებოდი, რომ  
მე ვარ ანრი, მამა  
არის მახო. ასე  
იყო და ასე იქნება  
მუდამ, იმიტომ  
რომ მალხაზ  
ქვრივიშვილი არის  
კაცი!“**



პირველ რიგში, ჩემი კოლეგა, ახლოს არ ვიცნობ მას და აქედან მინდა ვუთხრა, რომ ძალიან დიდ პატივს ვცემ. და არასდროს მის კაცობაზე და მის სტატუსზე მარიამთან მიმართებაში ანრის არ გადაუმეტებია. მეტიც, მარიამისა და მახოს შვილს არაერთხელ დაუძახია ჩემთვის მამა. ყოველთვის ვეუბნებოდი, რომ მე ვარ ანრი, მამა არის მახო. ასე იყო და ასე იქნება მუდამ, იმიტომ რომ მალხაზ ქვრივიშვილი არის კაცი!

**- შენ და მახოს გისაუბრიათ მას მერე, რაც მარიამი ცოლად მოიყვანე?**

- როცა მე და მარიამმა ერთად ყოფნა გადავწყვიტეთ, მქონდა სურვილი დავალაპარაკებოდი მას. თუმცა მან უარი თქვა. აბსოლუტურად მესმის მისი, მის ადგილას რომ ვყოფილიყავი, ალბათ, მეც იგივენივრად მოვიქცეოდი.

**- რის თქმას აპირებდი?**

- მინდოდა მეთქვა, როგორც კაცს კაცისთვის, რომ არასდროს გადავავტარებ კაცის ფენომენს, ყოველთვის ამ ფარგლებში მოვექცევი მარიამს, რომ არასდროს ვაკადრებდი იმას, რაც კაცისთვის შეურაცხყოფელი იქნება.

**- ისეთი შთაბეჭდილება მოგჩება, რომ მამასთან მიდობილი ხელის სათხოვნელად.**

**მარიამი:**

- არ გენყინოს, ანრი, მაგრამ, მე ვეთანხმები ჟურნალისტს. მახოს ყოველთვის ჰქონდა ჩემ მიმართ რაღაც მამობრივი ინსტინქტის მსგავსი. ეს, ალბათ, ჩვენი ასაკობრივი სხვაობის ბრალიც იყო. მახო ჩემთვის დღემდე მამასავით არის. დღესაც მარცხენა ხელზე მიკეთია ბეჭედი, რომლითაც მახომ პირდაპირ ეთერში ხელი მთხოვა. მაგრამ იმიტომ მიკეთია, რომ მომწონს. დიდ პატივს ვცემ მახოს, სხვანაირად არც შეიძლება, ის ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი საჩუქრის, ჩემი შვილის მამაა. და თუ მოხდება ისე, რომ მალხაზ ქვრივიშვილს ვინმე ცუდად შეეხება, მე ვიქმენი მისი პირველი დამცველი.

**- ანრი, ქართული ტრადიციების გათვალისწინებით, ერთ კითხვას დაგისვამ, თუ არ ჩამქოლავთ, როცა მარიამი მოგყავდა, საზოგადოების იმ ნაწილზე თუ იფიქრე, რომელიც მისი მოყვანისთვის გაგკიცხავდა?**

- არასდროს მითქვამს და ახლა ვიტყვი. მეოცე საუკუნის საქართველოში, როცა განათხოვარი ქალი, რატომღაც, ძალიან ცუდ ქალად ითვლებოდა, მამაჩემმა მოიყვანა შეილიანი ცოლი. მე მყავს და დედის მხრიდან, რომელმაც გამზარდა და რომელსაც ჩემი ბიოლოგიური მამა ჩემზე მეტად უყვარს. თვეების იყო ჩემი და, როცა დედა ქმარმა მიატოვა, მხარზე მოკიდებული დაჰყავდა დედას ჩვილი ჩაის საკრეფად. დღეს მამას ჩემზე მეტად უყვარს ჩემი და, ჩემი ნახევარდა, ცხარე ცრემლებით ტიროდა, როცა ჩემი და გათხოვდა... ასე რომ, თუ კი სიყვარული არსებობს, კაცი ბორდელიდან გამოიყვანს ქალს და კარგ ქალად აქცევს. ამდენად, არ მაინტერესებს ვინ რამდენჯერ, როდის და სად არის გათხოვილი. ადამიანებს ნარსულთ არ ვაფასებ. ნარსულში ძალიან ბევრი ათეისტი იყო, დღეს ძალიან ბევრი მოექცა, რა ვქნათ, ანათემას გადავცეთ? ხომ სისულელეა. ამიტომ ნარსული დავიგინეთ და ვიცხოვროთ ანმყოთი.

რომ ის მოტყუებული ყოფილიყო ჩემგან. რატომღაც მეგონა, რომ ამით კარგს ვაკეთებდი და რომ ამ ყველაფერს სიცოცხლის ბოლომდე გავუძლებდი. მაგრამ უფრო დიდი ტყუილი გამომივიდა... ტყუილში ცხოვრება არ შემეძლო, ვერც ნინომ შეძლო და თვითონ დაასრულა ურთიერთობა. 26 სექტემბერს მარიამ ქვრივიშვილი ცოლად მოიყვანე.

**- ქვრივიშვილი?**

**მარიამი:**

- ჯერ ისევ მახოსთან ვარ ქორწინებაში, მის გვარზე ვარ.

**ანრი:**

- მოკლედ, ერთი თვის შემდეგ დავმორდი მე და მარიამი.

**- როგორ?**

- აი, ასე, ადგა და წავიდა, მეც ვზა და ვულოცე. ერთ კვირაში დამირეკა, დღეს ჩვენი ნიშნობის დღე უნდა ყოფილიყო. მე მახსოვს, მაგრამ შენ ნახევდი-მეთქი,

ვუთხარი. მოკლედ, ბოლოს სიყვარულმა იმარჯვა, ერთმანეთთან მივედი, შევერიგდით. მთლიანობაში ორი წელი ერთად ვიყავით, აქედან რვა თვე ცოლ-ქმრის სტატუსით, მაგრამ არც ხელი მოგვიწერია და არც ჯვარი დაგვიწერია.

**- სად ცხოვრობდით?**

- თავიდან ნაქირავებში ვცხოვრობდით, მერე მარიამის დედა გვითხრა, არ არის სწორი ზედმეტი ხარჯის გაღება, ერთად ვიცხოვროთო და გადავდით მასთან. ერთხელ მითხრა ქალბატონმა ელენემ, მინდა გიმშვილო. ამით ყველაფერი იყო ნათქვამი... ჩვენი ურთიერთობის შესახებ არასდროს გვისაუბრია საჯაროდ. მხოლოდ ჩვენმა მეგობრებმა იცოდნენ.

**მარიამი:**

- დღეს მომიწინა ხმამალა მეთქვა ის, რომ მახოს დავმორდი და ანრი მიყვარს. უბრალოდ, ჩვენ ერთად აღარ ვცხოვრობთ. ახლა ცოლ-ქმარი არ ვართ, ძალიან

კარგი მეგობრები ვართ, მაგრამ არავინ იცის რა იქნება წინ, როგორ გაგრძელდება ჩვენი ურთიერთობა.

**- მარიამ, რატომ დაშორდით ერთმანეთს შენ და მახო?**

- მახო ძალიან კარგი ადამიანია, კარგი მამა და მეუღლე იყო. უბრალოდ, ვერ შევეწყვეთ ერთმანეთს. ოთხი წელი ვიცხოვრეთ ერთად და მეხუთე წელს მივხვდით, რომ ვერ ვუგებდით ერთმანეთს.

**- მარიამ, ახლა რას საქმიანობ?**

- ამჟამად არაფერს, მაგრამ...

**ანრი:**

- მე გაგავრძელებ... მარიამი ძალიან მალე დაუბრუნდება თავის ძველ პროფესიას, ფოტომოდელიბას, სადაც თავისი ნიჭი სწორად აღმოაჩინა.

**მარიამი:**

- სხვათა შორის, „იმედმა“ გააშუქა ერთ-ერთი ჩემი ნარმატება, მაგრამ

მერე ჩემმა ყოფილმა ქმარმა აღარ მინდოდა გამეგრძელებინა კარიერა. ვერ შეეგუა ჩემს პროფესიას.

**ანრი:**

- როცა ღამაში ცოლი გყავს, რთულია შეეგუო, როგორ უყურებს მას ხალხი.

**მარიამი:**

- თან 27 წლით პატარა ცოლი რომ გყავს...

**- ანრი, შენ როგორ ეგუებოდი?**

- თუ დარწმუნებული ვარ ქალში, რომელიც ჩემ გვერდით არის, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სიტუაციაში ვენდობი. პირიქით, მიხარია, როცა ჩემ გვერდით არის ქალი, რომელიც ყველასთვის სასურველია. მით უმეტეს, რომ მარიამი ბრწყინვალე კაცის გვერდით ვნახე პირველად. ხმამალა მინდა ვთქვა, რომ მალხაზ ქვრივიშვილი ძალიან კარგი კაცია.

**„ღეგეღე, ჩემთვის  
მასო მამასავით არის.  
ღეგეღე პარცხენა  
ხელზე მიკეთია ბეჭედი,  
რომლითაც მახო  
პირდაპირ ეთერში  
ხელი მთხოვა. მაგრამ  
იმიტომ მიკეთია, რომ  
მომწონს. დიდ პატივს  
ვცემ მახოს, სხვანაირად  
არც შეიძლება, ის ჩემი  
ცხოვრების ყველაზე  
დიდი საჩუქრის, ჩემი  
შვილის მამაა“**



**„პრაიმტაიმის“ ინიციატივა  
სტიქიის შემდეგ მავველები პირველად  
ხვდებიან ოჯახს, რომელიც გადაარჩინეს**



ISSN 1987-7404



9 771987 740005